

ისტორიკ-გადასწავლითი-ჯაინალი №6 (18), 2012, ივლისი თხუნი 2 ღანი

ისტორიკიანი

თაფახის
საფღაჟის
საიფაღღა

ბღანიასოჰაბი
ჰოფი
სოსნღიანი
თაფაფი

საქაჰთჟაღო
ოზანი
ქაჰიჟაბი



ქაჰთჟაღაზის ბოჰაღი ქაჰაჟა

ღაჟან ბოთა

ბოღრთა ჟარაბი

8 ზიგანაღ

ზიგანი VIII

ფასი 3 ღარი

ზიგანი „ისტორიკიანი“ ერთაღ – 5 ღარი

ჯასოზი
ქაჰთჟაღი
იჯანაჰი
ჟოღოზთი

ღაჟიოზაჰაჟა –
ბოზაჰაბაღი,
ბაბაჰა ჟაჰი
ღაჟაღაღი
ჟოზღა

ჰოზოჰი
ჯოზოაღიჯას
ღიჯაღაბა
აჟაჰიჯა



სახიჩვი

ახალი ამბები

რამდენად ზუსტია და ჰინდის
ანატომიური ნახატები? ----- 6
ლონდონში მარკ ტვენის გახსნილი
ბიბლიოთეკა დახურეს ----- 7
ლაგოდეში ელინისტური ხანის
ქვსამარხებს მიაკვლიეს ----- 7
პარპია — რადარები უმცირეს
დეფორმაციასაც აღწუსსავენ ----- 8
სტალინის თანატოლი ანტონა ხვიჩავა
საჩინოში ცხოვრობს... ----- 10
კავკასიის კალეიდოსკოპი ერთ წიგნად --- 11

საქართველოს საზღვრები

დავითგარეჯა — მოგვარებული, მაგრამ
ჯერ დაუქვემდებარებელი პროვინცია ----- 12

საქართველოს ისტორიის საილუმინაციო
თამარის საფლავის საილუმინაცია ----- 18

ქართველები ჯოჯოხეთში
უცნობი ქართველი იუნკერი
კოლონეთში ----- 26

ბიჩი ქალები
თინა ჭავჭავაძე ----- 30

ისტორიის საილუმინაციო
როგორ აღმოაჩინეს ჩინელებმა ამერიკა --- 32



40



48



53



62



68



74



60

სახიჩვი

სანახოზათა ისტორია	
გლადიატორები როში — სისხლიანი	
თავაშვი —————	40
ბიბლიური ისტორიები	
ბიბლიური ანტიგვირები —————	48
მსოფლიო ხეობები	
ისლამი —————	53
მსოფლიოს ხანები	
ტურკები — საპარის უღაბნოს	
მცხოვრები —————	60
ბიზნის ისტორია	
საუკეთესო „ფაბრიკ“ ბიზნისისთვის -----	62
ლედე უსოფი მთაშენები	
საქართველო და ქართველები	
ოსმალურ არმიებში -----	68
სოფიები	
ბივი ბერიკაშვილის „ბიოგრაფიული	
ფილი“ -----	74
ქილიტი	
ბესო ბერულავილი — უნდა ვიცოდეთ, ვინ	
ვართ, საიდან მოვართ, ვინ იყვნენ ჩვენი	
წინაპრები, რატომ გავირჩინეთ თავი... -----	79
„ისტორიანი“ ბავშვებისთვის	
500 ფაქტი ისტორიიდან -----	82
სკანდორდი -----	90

ჩვენს ხელახლოვდა სვეტი

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ირ- გვლივ ქართველ საზოგადოებაში უკანასკნელ ხანს დიდი აჟიოტაჟი ატყდა. აზერბაიჯანელი მესაზღვრე- ები ქართველ მომლოცველებს აღარ უშეებდნენ უდაბნოსა და ჩიჩხიტურის მონასტრებამდე. რა ხდება?

1921 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს გასაბ- ჭობის შემდეგ, დაიწყო ამიერკავკასიის რესპუბლი- კებს შორის საზღვრის გამიჯვნის პროცესი. ის ტე- რიტორია, რაზეც დღეს დაუა გვაქვს, ჯერ კიდევ რჩე- ბოდა საქართველოს შემადგენლობაში. საზღვრის გამიჯვნის პროცესი რამდენჯერმე განმეორდა. XX საუკუნის 30-იანი წლების შეთანხმებით საზღვარმა გაიარა უდაბნოსა და ჩიჩხიტურის მონასტრებზე, სწორედ იმ თხემზე, სადაც ცდილობენ აზერბაიჯა- ნელები საზღვრის გატარებას. მოგვიანებით, 70-80- იან წლებში, ახალი შეთანხმების საფუძველზე გა- რეჯის მონასტრები დაუბრუნდა საქართველოს საბ- ჭოთა რესპუბლიკას და აქ გარეჯის მუზეუმ-ნაკრძა- ლი დაარსდა. აზერბაიჯანთან საქართველოს აქვს 403-კილომეტრიანი სასაზღვრო ზოლი და იმ შეთან- ხმებით, რომელიც ამ ორ სახელმწიფოს შორის მე- გობრობისა და თანამშრომლობის საფუძველზე და- იდო, აღიარებულია პირობითი საზღვარი, რომელიც საბჭოთა პერიოდში საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოცია- ლისტურ რესპუბლიკას შორის იყო გაგლებული, თუმ- ცა ჩვენი მეზობელი რატომღაც XX საუკუნის 30- იანი წლების რეალობას იღებს საფუძვლად. ჟურნა- ლი „ისტორიანი“ მომავალშიც განიხილავს საქარ- თველოს საზღვრის ისტორიის საკითხებს. შეეცდე- ბით, დოკუმენტური წყაროების საფუძველზე მოუუთ- ხროთ მკითხველს, როგორ ყალიბდებოდა თანამედ- როვე საქართველოს სასაზღვრო ზოლი.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ლევან გოთუას რო- მანის „გმირთა ვარამის“ ბეჭდვა ამ ტომით მთავ- რდება. ბევრს ვმსჯელობდით, რომელი ისტორიუ- ლი თხზულებით გაგვეგრძელებინა ტრადიცია. არ- ჩვეანი შეჩერდა ანა ანტონოვსკაიას რომან „დიდ მო- ურავზე“, რომელიც თავის დროზე ექვს წიგნად და- იბეჭდა და მიიჩნეოდა საქართველოს ისტორიაზე შექმნილ ყველაზე დიდ ისტორიულ რომანად. ამას- თანავე, იგი ნახევარი საუკუნეა არ გამოცემულა. ავ- ტორს ამ ნაწარმოებისთვის მიენიჭა სტალინური პრემია. 1942 წელს კი რომანის მოტყუებზე გადაი- დეს ფილმი „გიორგი სააკაძე“.

ბევრს ვმსჯელობდით, რომელი ისტორიული თხზულებით გაგვეგრძელებინა ტრადიცია. არჩევანი შეჩერდა ანა ანტონოვსკაიას რომან „დიდ მოურავზე“

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტი-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი
ოქროპირ ვიქტორი
ნინო ჯაფარიძე

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 237-78-07, 238-78-70
e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამომწერი სთვის მიმართეთ პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა.ჯი“.
ტელ.: 238-26-73, 238-28-74, 214-09-91

რამდენად ზუსტია და ვინჩის ანატომიური ნახატები?

ლეონარდო და ვინჩიმ თავისი სამეცნიერო გამოკვლევებითა და აღმოჩენებით თანამედროვეობას რამდენიმე ასწლეულით გაუსწრო.

ბუკინგემის სასახლეში, „დელოფის გალერეაში“ გამოიფინება მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ანატომიური ნახატები. რამდენად ზუსტია ისინი?

სიცოცხლის განმავლობაში ლეონარდო და ვინჩიმ ადამიანის სხეულის ანატომიას ათასამდე ჩანახატი და ესკიზი მიუძღვნა. მას უნდოდა სცოდნოდა, როგორ არის აგებული ადამიანის სხეული და როგორ მოქმედებს ის. და ვინჩი 1519 წელს ისე გარდაიცვალა, რომ კვლევის დასრულება ვერ შეძლო. არ გამოქვეყნებულა მისი შრომებიც.

სპეციალისტ-ანატომები, ვინც მის ჩანახერებს სწავლობს, დარწმუნებული არიან, რომ და ვინჩის შრომებმა ანატომიაში ასწლეულებით გაუსწრო თანამედროვეობას და ადამიანის სხეულის შესწავლის საქმეში დახმარება ახლაც შეუძლიათ.

ლეონარდო და ვინჩის წიგნში შესაძლებელია 1489 წელს შესრულებული ნახატების სერიის ნახვა, რომელიც თავის ქალის დეტალურ ესკიზებს წარმოადგენს.


ბრიტანეთის ქალაქ ვარვიკის კლინიკური ანატომიის უნივერსიტეტის პროფესორი პიტერ აბრამსი ფიქრობს, რომ და ვინჩის ნამუშევრები მცირედით თუ განსხვავდება თანამედროვე მხატვრების ნახატებისგან, ვინც ადამიანის ანატომიაზე მუშაობს. მათ შორის ხერხემლის ნახატი, რომელიც, პროფესორ აბრამსის აზრით, ადამიანის სხეულის ამ ნაწილის პირველი ზუსტი ილუსტრაციაა ისტორიაში.

პიტერ აბრამსი დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ეს ნახატიც საკმარისი იყო, რათა ლეონარდო და ვინჩის სახელი ისტორიას შემორჩენოდა.

მომზადებულია BBC-ის მასალების მიხედვით



და ვინჩიმ ადამიანის სხეულის ანატომიას ათასამდე ჩანახატი და ესკიზი მიუძღვნა



ლონდონში მარკ ტვენის ბასნილი ბიბლიოთეკა დახურეს

ბრიტანეთის დედაქალაქის ბრენტის რაიონის საბჭომ ბიბლიოთეკა Kensal Rise-ის დახურვა გადაწყვიტა. ეს ბიბლიოთეკა 1900 წელს თავად მარკ ტვენმა გახსნა. ადგილობრივ ხელისუფლებას გადაწყვეტილება არ შეუცვლია, იმის მიუხედავად, რომ მოსახლეობამ 112-წლიანი ისტორიის მქონე დაწესებულების დახურვის წინააღმდეგ აქციებიც გამართა. მონაწილეებმა მის გადასარჩენად თანხების შეგროვებაც კი სცადეს.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ ბიბლიოთეკის დახურვა ორი მიზეზით გადაწყვიტა. ერთი, რომ მკითხველები ფაქტობრივად აღარ დარჩა და მეორე — მისი შენახვა ბიუჯეტს საკმაოდ ძვირი უჯდება.

სიმბოლურია, რომ ბიბლიოთეკის გახსნა დედოფალ ვიქტორიას დიდი ბრიტანეთის ტახტზე ასვლის შესამოცე წლისთავის აღნიშვნას დაემთხვა, ხოლო დახურვა — ვიქტორიას შვილიშვილის, დედოფალ ელიზაბეთ მეორის ტახტზე ასვლის საიუბილეო წელს.

ბრენტის რაიონის საბჭოს ბიბლიოთეკიდან



1900 წელს ბიბლიოთეკა თავად მარკ ტვენმა გახსნა

წიგნების გატანის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. საუკუნის წინანდელი შეთანხმებით, ოქსფორდის უნივერსიტეტმა შენობა ადგილობრივ თვითმმართველობას მხოლოდ იმ პირობით გადასცა, რომ ის პროფილს შეინარჩუნებდა. ბიბლიოთეკა თუ დაიკეტება, შენობა ავტომატურად უნივერსიტეტის ბალანსზე გადავა.

აქტივისტები, ვინც ბიბლიოთეკის დახურვის წინააღმდეგია, უნივერსიტეტთან მოლაპარაკებების გამართვას გეგმავენ, რომ შენობას ძველი პროფილი ამის შემდეგაც შეუნარჩუნდეს.

მომზადებულია MSNBC-ის მასალების მიხედვით

ლაგოდეში ელინისტური ხანის ქვასამარხები

ლაგოდეში, სოფელ თელაში ელინისტური ხანის ქვასამარხებს მიაკვლიეს. ბაისუბნის ხევში ახალი არქეოლოგიური ფენები, მდინარე ბაისუბნის მარცხენა ნაპირზე წლეულს, აპრილში კოკისპირული წვიმების შედეგად გამოვლინდა. ტერიტორია არქეოლოგიურ შესწავლას საჭიროებს. სპეციალისტთა აზრით, აღმოჩენილი ქვევრ- და ორმოსამარხები ელინისტური ხანისა უნდა იყოს, რომელიც იორ-ალაზნის ე.წ. ორმდინარეთში გავრცელებულ სპეციფიკურ იალო-ილუთუფეს კულტურას მიეკუთვნება.

თელას ბაისუბნის ხევის ფერდობის არქეოლოგიურ-კვლევით სამუშაოებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები წარმართავენ. ექსპედიციას არქეოლოგი იულონ გაგოშიძე ხელმძღვანელობს. დაგეგმილია მოპოვებული მასალის პასპორტიზაცია, ფოტოფიქსაცია და მათი გრაფიკული ჩანახატების მომზადება. სა-



არქეოლოგები ვიორგი და იულონ გაგოშიძეები

მუშაოების დასრულების შემდეგ, არქეოლოგიური მასალა ლაგოდეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში განთავსდება.

ინტო ჯაფარიძე



ვარძია — რადარები უმცირეს დეფორმაციასაც აღნუსხავენ...

ვარძიის ზუსტი დიაგნოსტიკა უახლესი სარადარო სისტემით ხორციელდება. უნიკალური არქიტექტურული კომპლექსის ტერიტორიაზე ის უკვე დამონტაჟებულია. მსგავსი ნანოტექნოლოგიური დიაგნოსტიკა ხანდაზმული ძეგლების უზუსტეს კვლევას გულისხმობს.

კვლევას უცხოელი სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. ახალი სარადარო სისტემის მონტაჟისა და ქართველი კოლეგების ტრენინგისთვის საქართველოში იტალიის გარემოს დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს პრეზიდენტი კლაუდო მარგოდინი კოლეგებთან ერთად ჩამოვიდა.

ფლორენციიდან სპეციალურად ჩამოსული გეოლოგები და სარადარო სისტემის ტექნი-

ლოგები: ანჯელო ბენედიტი, ალბერტო სომესა და დანიელე სპიციკინო, ქართველ კოლეგებთან ერთად, ვარძიის ლაბორატორიულ სამუშაოებს ადგილზე წარმართავენ.

კვლევაში ნაკვეთი კომპლექსების გარდა, მსგავსი სარადარო დიაგნოსტიკა განსაკუთრებით დიდი მასშტაბისა და მოცულობის მქონე ობიექტების — ხიდების, კარიერებისა და კაშხლების კვლევის მიზნით ხორციელდება.



*კვლევას იტალიელი სპეციალისტები
ხელმძღვანელობენ*



*ნებისმიერ დეფორმაციას რადარი
მილიმეტრების სიზუსტით აღრიცხავს*

ზემერძნობიარე რადარი 2 მმ-ის სიზუსტით აღრიცხავს ვარძიის ნებისმიერი სახის დეფორმაციას, ბზარების დინამიკას, შიდა მოძრაობასა და კლდოვან მასათა გადაადგილებას. შესაბამისად, შესაძლებელი გახდება ძეგლის დაზიანებული ადგილების ზუსტი საკონსერვაციო მეთოდოლოგიის განსაზღვრა და განხორციელება.

ყოველი განახლებული ინფორმაცია, რომელსაც რადარი აღწერს, ვარძიის ცენტრალური ლაბორატორიიდან თბილისისა და რომის მონაცემთა ბაზაში გაკონტროლდება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პროექტის მოცულობა ნახევარ მილიონ ლარს შეადგენს.

ენიო ჯაფარიძე





132 წლის ქალბატონი ანტისა ზვიჩავა

სტალინის თანატოლი ანტისა ზვიჩავა სარინოუი ცხოვრობს...

ღიახ, ასეა — წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოში ცხოვრობს უხუცესი ქალბატონი ანტისა ზვიჩავა, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, იოსებ ბესარიონის ძე სტალინის თანატოლია!

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2008 წელს გაცემული საქართველოს მოქალაქის პასპორტში მითითებულია ქალბატონი ანტისას დაბადების თარიღი — 1880 წლის 8 ივლისი. ასე რომ, საჩინოელების დიდზე დიდი ბებია 132 წლის გამხდარა!

ვინ იცის, რამდენ ქართველს გადაუკვლია ქალბატონი ანტისას თვალი. საქართველოს

დამოუკიდებლობა რომ გამოცხადდა, 38 წლისა ყოფილა! ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ მისი თანამედროვენი იყვნენ მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ნოე რამიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ლეო ქიაჩელი, მიხაკო წერეთელი, მუსტაფა ქეძალ ათათურქი...

ჯერ დამოუკიდებელ საქართველოში ცხოვრობდა, მერე კოლექტივიზაციის წლებს შეებია, მერე სამამულო ომის ტყვეილიც განუცდია... 1989 წლის 9 აპრილს ჩვენთან ერთად ტიროდა და აფხაზეთის დაკარგვას ახლაც გლოვობს... ერთი სიტყვით, საქართველოს ისტორიის ცოცხალი მოწმეცაა და შემოქმედიც...

ხალისიანი, ენერგიული და სიცოცხლით სავსე ქალი იყო ყოველთვის, იხსენებენ სოფლის უხუცესები. იმასაც ამბობენ, ბოროტება და შური მისთვის მუდამ უცხო იყო, ყველას სიკეთე უხაროდა და ამიტომაც გაძლო ამდენ ხანსო... ოღონდ ეგ არის, გული წყდება, რომ მისი თანატოლებიდან ადარავენ შემორჩა ცოცხალი...

თავის მრავალრიცხოვან შთამომავალს დღესაც მეგრულად ელაპარაკება, დღესაც ყველას ლოცავს და დღესაც ძალიან უყვარს სიცოცხლე...

სალომე შოშიტაშვილი



კავკასიის კალეიდოსკოპი ერთ წიგნად

„კავკასიის ეთნოლოგია“ — ყველაფერი ჩვენი ახლო სამეზობლოს შესახებ

კავკასია არა მხოლოდ გეოგრაფიული ოლქი, არამედ ისტორიულ-კულტურული რეგიონიცაა. კავკასიისა და მისი მკვიდრი ეთნოსების ერთიან ისტორიულ-კულტურულ ოლქში მოქცევა ძირითადად საერთო ანთროპოლოგიური ტიპით, მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფის ელემენტების მსგავსებით არის განპირობებული. ისტორიულად დიდი იყო კავკასიელ ხალხთა ერთობა სოციალური ურთიერთობებისა და სულიერი კულტურის სფეროში, ეტიკეტში, წეს-ჩვეულებებში. კულტურის საერთო ელემენტებთან ერთად კავკასიის თითოეულ ეთნოსს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ყოფა-ცხოვრება და ტრადიციები გააჩნდა.

სწორედ კავკასიის ყველა ავტოქტონი ეთნოსის გაცნობა შეუძლია მკითხველს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ეთნოლოგ როლანდ თოფჩიშვილის სქელტანიანი წიგნით „კავკასიის ეთნოლოგია“, რომელიც გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა. აღსანიშნავია, რომ წიგნს თან ერთვის კავკასიის ეთნიკური რუკა, რომლის ავტორიცაა ისტორიკოსი, პროფესორი გიორგი ჟუჟუნაშვილი.

ავტორი, ცნობილი ეთნოლოგი როლანდ



თოფჩიშვილი, რომელიც ათეული წლებია კავკასიის ხალხების ისტორიას შეისწავლის, ამომწურავად და მიუკერძოებლად მოგვითხრობს ამ ხალხების ეთნოგენეზზე, ეთნიკური ისტორიისა და მრავალფეროვანი ეთნიკური კულტურების შესახებ.

„კავკასიის ეთნოლოგია“ სახელმძღვანელოდა განკუთვნილი უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, მაგრამ იმავდროულად უთუოდ დააინტერესებს მკითხველთა ფართო წრესაც, ქვეყნის მეზობლების შესახებ ცოდნის გაღრმავება ძალიან მნიშვნელოვანია. აქვე იმასაც დავამატებდით, რომ ახალ წიგნში შეიძლება მკითხველმა ისეთი კავკასიელი „მეზობელი“ ხალხიც აღმოაჩინოს, რომელთა შესახებ მანამდე არაფერი იცოდა... მოკლედ, ამ წიგნში ჩერქეზების, ინგუშების, ოსების, ყარაჩაელების, ბალყარელების, ხუნძების, ყუბაჩელებისა და მეტ-ნაკლებად ნაცნობი ხალხების გვერდით გავცნობით ბოთლიხელებს, ტინდიელებს, ჭამალალებს, ლაკებს, კრიწებს, ბუდუხებს, თათებს... რამდენიმე ათეულ ეთნოსს, რომელთაც ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი ეთნიკური კულტურა და ისტორია აქვთ.

ნოდარ შოშიტაშვილი



TALIZI

თმის გაღანეკვის ცენტრი

ტაშკენის 27. ტელ: 2141515

WWW.TALIZI.GE

ჩიჩხიტურის კოშკი და თხემი, რომელზეც
ჯერჯერობით შეუთანხმებელი საზღვარი გადის
აზერბაიჯანული მხარის აზრით

დავითგარეჯა

მოგვარებული, მაგრამ ჯერ დაუძლეველი პრობლემა

ქართველ ტურისტებს, მოძღოცველებსა და სასულიერო პირებს დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის სრულად მონახულების შესაძლებლობა ექნებათ. ამის შესახებ საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები შეთანხმდნენ. სააკაშვილი-ალიევის პირისპირ შეხვედრის დიდი ნაწილი სწორედ კომპლექსში შემაჯავლი უდაბნოს მონასტრის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს დაეთმო.

დავითგარეჯის უნიკალური სამონასტრო კომპლექსი ქართველი საზოგადოების მღელვარების მიზეზი კიდევ ერთხელ გახდა. მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის 6 მაისიდან აზერბაიჯანელმა შესაზღვრებმა ქართველ მორწმუნეებსა და ტურისტებს უდაბნოს მონასტრისა და ჩიჩხიტურის კოშკის მონახულება აუკრძალეს.

სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ნათქვამმა, რომ ჩიჩხიტური და

უდაბნო აზერბაიჯანისაა. ნინო კალანდაძის ამ განცხადებამ საერო და სასულიერო საზოგადოების ნაწილი აღაშფოთა. დავითგარეჯის მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ილარიონმა მინისტრის მოადგილეს არაკომპეტენტური უწოდა.

„ეს პრობლემა ახალი არ არის და ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, არ ვიცი შეგნებულად თუ შეუგნებლად, ისე გაატარეს ადმინისტრაციული საზღვარი, რომ ამ კომპლექსის დაახლოებით 2% აზერბაიჯანულ მხარეზე აღმოჩნდა. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ სა-

ქართველოში დაბრუნებისთანავე, პრეზიდენტის მითითებით იმ დღესვე მოვითხოვეთ სასაზღვრო კომისიის შეკრებას იმისთვის, რომ ამ საკითხზე მუშაობა გაორმაგებული ძალისხმევით გააგრძელოთ“, — განაცხადა პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ.

საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დადგენაზე მუშაობა ჯერ კიდევ 1995 წლიდან მიმდინარეობს. დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიაც სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს დელიმიტაციისა და სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის უფროს ივერი მელაშვილის ინფორმაციით, დღეს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის 66% უკვე შეთანხმებულია. თუმცა კვლავ სადავოა ათეულობით მონაკვეთი. მათ შორის დავითგარეჯის ლავრის თავზე გადამაული ქედი. ეს ის მონაკვეთია, რომელიც ცხელი დისკუსიის თემად იქცა.

ივერი მელაშვილი: „რატომ მოხდა აზერბაიჯანელი მესაზღვრეების ამოსვლა უდაბნოს ლავრის ქედზე, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის უცნობია. მხარეთა შორის არსებობს შეთანხმება, ვიდრე საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის, დეტალების დახუსტებისა და

მათი რუკებზე დატანის პროცესი მიმდინარეობს, ადგილზე არსებულ დე ფაქტო სიტუაციას ისინი არ უნდა შეეხონ.

ეს შეთანხმება არა მხოლოდ დავითგარეჯის უდაბნოს ლავრაზე, არამედ სხვა მონაკვეთებზეც ვრცელდება. შესაბამისად, მომლოცველები, ბერები თუ ტურისტები ჩვეულებრივ გადადიოდნენ ქედის მეორე მხარეს და შედიოდნენ უდაბნოს მონასტრის სენაკებში“.

საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიის წევრი აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მხრიდან ასეთი ფაქტები წინა წლებშიც ხდებოდა, თუმცა იშვიათად. ყველა შემთხვევა მშვიდობიანად, დიალოგის გზით მოგვარდა და აზერბაიჯანელი მესაზღვრეებიც საწყის პოზიციას დაუბრუნდნენ.

ივერი მელაშვილი: „ასეთი ფაქტები აზერბაიჯანულმა მხარემ იმით ახსნა, რომ ადგილობრივ მესაზღვრეთა წარმომადგენლობა შეიცვალა და ახალმა ხელმძღვანელობამ საზღვრის დაცვის ჯგუფებისთვის ახალი მარშრუტები დაგეგმა. იმედი მაქვს, უდაბნოს ლავრის შემთხვევაშიც სწორედ ამ ტიპის გაუგებრობა იყო და არა წინასწარ გამიზნული ქმედება“.

6 მაისს აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მიერ უდაბნოს მონასტრისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაკავების შესახებ ქართულ

დავითის ლავრა
606წ ბმპლიმის ფოტოები





აზერბაიჯანელი მესაზღვრეების გაზარმები

მედიაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერი არასწორს უწოდებს.

„ჩვენი მესაზღვრეები წინ არ წაწეულან და გაკვირვებული ვარ, რომ ეს თემა ქართულ მედიაში არასწორად შუქდება. დავითგარეჯის მონასტერთან დაკავშირებით, საქართველო-აზერბაიჯანის შორის არავითარი გაურკვევლობა არ არსებობს. ქართველები, ვისაც სურდათ დავითგარეჯის მონასტელა, დაუბრკოლებლად ახერხებდნენ ამას და ასეა ახლაც. რაც შეეხება უცხოეთის მოქალაქეებს, ამისთვის განსაზღვრული ფორმალობები არსებობს“, — ამბობს **მლმარ აბდულაჰივი**.

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერი კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას, თითქოს დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში შემავალი უდაბნოს მონასტერი საქართველომ აზერბაიჯანის სხვა რომელიმე ტერიტორიაში გაუცვალა და ამის შესახებ შეთანხმება უკვე მიღწეულია. აბდულაჰივი ამბობს, რომ ამ მონაკვეთზე საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

მომხდარზე კომენტარის გაკეთება უჭირს აზერბაიჯანელ ექსპერტ **არასტუნ ორუჯ-ლიუს**. მიზეზად ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებსა და ინფორმაციის სიმწირეს ასახელებს.

„ამ ინციდენტთან დაკავშირებით ბაქოში, სამწუხაროდ, ბევრს არ ლაპარაკობენ. ოფიციალური განცხადება პრაქტიკულად არ გაკეთებულა. ამდენად, რთულია შეფასება, რა მოხდა სინამდვილეში. რა იყო ამ მოქმედებების მიზეზი და მოტივი.

დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით უსიამოვნო საუბარი ადრეც ყოფილა. მახსოვს საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის მწვავე განცხადება და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თავის გამამართლებელი პასუხი. ამჯერად კი არ მაქვს ინფორმაცია, რა მოხდა“, — იხსენებს არასტუნ ორუჯ-ლიუ.

აზერბაიჯანელი ექსპერტი ფიქრობს, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს ამ საკითხების გადაწყვეტისას შუამავალი არ სჭირდებათ: „გულახდილად და ღიად გეტყვით, არ გამოვრიცხავ, რომ აზერბაიჯანის ოფიციალურ სტრუქტურებშიც და საქართველოშიც, შესაძლოა იყვნენ ძალები, რომელთაც ამ ტიპის დაძაბულობის შექმნა ხელს აძლევთ.

არც ის დაგვაიწყდეს, რომ ჩვენ ირგვლივ არიან ქვეყნები, რომელთაც აზერბაიჯანი-საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობები მოსვენებას არ აძლევს.

ამიტომ, როცა ერთი მხარე ამბობს, რომ ინციდენტი მოხდა და მეორე ამას კატეგორი-

ულად უარყოფს, ეს არის სიგნალი, რომ აღნიშნული საკითხისა და ყველა იმ თემის განხილვა, რომელიც დღეს შეიძლება უმნიშვნელოდ ან, უმტკივნეულოდ გვეჩვენება, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს და თანაც ოფიციალურ დონეზე.

ვიდრე ეს საკითხი მხოლოდ მედიისა და საზოგადოების განხილვის თემა იქნება და არა ოფიციალური პირებისა, სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდება. სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამან, რთული განსაკვერტი არ არის“.

მონაკვეთი, რომელიც განხილვის საგანია, სიგრძით დაახლოებით 1200 მეტრია, ხოლო სიგანით — 5060 მეტი. ქედზე საბჭოთა კავშირის დროინდელი ადმინისტრაციული საზღვარია, რომელიც ახალი საზღვრის დადგენამდე სახელმწიფო საზღვრის ფუნქციას ასრულებს.

გარეჯის კომპლექსის ეს მონაკვეთი, საბჭოთა პოლიტიკის წყალობით, 1924 წლიდან აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა. 1991 წლიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ტერიტორია აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სადავოდ ითვლებოდა.

საბჭოთა დროინდელი საზღვრის იქით, ქე-

დის სამხრეთ ფერდზე, გამოქვაბულებია, სადაც ბერების სადგომი, სატრაპეზო და სამლოცველოა მოწყობილი. გარდა ამისა, ზედ ქედზე მდებარეობს უდაბნოს მონასტერი, რომლის ძირითადი ნაწილი აზერბაიჯანის მხარეს მოხვდა. ქედზე ყველა ძველი, ჩიხხიტურის კოშკიდან დაწყებული უდაბნომდე, ზედ საზღვარზეა. დანარჩენი სენაკები კი ქედის სამხრეთ ფერდზეა საზღვრის აზერბაიჯანის მხარეს. თუმცა ეს მანამ, ვიდრე ახალი საზღვარი არ დადგინდება

გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯანო კეკელია წლებია ამ პრობლემებზე მუშაობს. ერთი პერიოდი საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიის წევრიც იყო. პროფესორი ფიქრობს, რომ ტურისტებისთვის სამონასტრო კომპლექსის სრულად მონახულების უფლების მიცემა ამ საკითხს ვერ გადაჭრის.

ჯანო კეკელია: „ისტორიულად ეს ჩვენი ტერიტორიაა. საქართველოს გასაბჭოების პერიოდში, როცა ბოლშევიკები შემოვიდნენ, მათ ამიერკავკასიის ადმინისტრაციული დაყოფა მოახდინეს. სწორედ ამ პერიოდში, საქართველოსა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის საზღვა-

მეუფე იაკობი, გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, აზერბაიჯან-საქართველოს პირობით საზღვარზე





რი მათ დავითგარეჯის ტერიტორიაზე წყალგამყოფზე გაატარეს. ფერდობზე რაც იყო, დარჩა ჩვენთან. ჩიჩხიტური და უდაბნო კი — წყალგამყოფს მიღმა.

მართალია, დღეს მიღწეულია შეთანხმება, რომ ტურისტებს სამონასტრო კომპლექსის სრულად მონახულების შესაძლებლობა ექნებათ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

მეტად ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი და ამას უნდა თავის მოხმა. ხელისუფლებას კი ამის პოლიტიკურ ნებას ჯერჯერობით ვერ ვაძინებ“.

თბილისიდან სამოც კილომეტრში მდებარე დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. VI საუკუნეში ის თორმეტ ასურულ მამათაგან ერთ-ერთს, დავითგარეჯელს დაუარსებია.

საბჭოთა პერიოდში, გარეჯის სიახლოვეს განლაგებული იყო ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო პოლიგონი. სამხედრო წვრთნამ და სწავლებამ, რომელიც აქ ათწლეულების განმავლობაში იმართებოდა, სამონასტრო კომპლექსი საგ-



რძნობლად დააზარალა. 1988 წელს, სწორედ პოლიგონის დახურვის მოთხოვნით დაწყებული სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობა საბოლოოდ ეროვნულ მოძრაობაში გადაიზარდა და ეს ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დასრულდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოს მოქალაქეებსა და უცხოელ ტურისტებს სამონასტრო კომპლექსის მონახულება უპრობლემოდ შეეძლოთ. თუმცა 6 მაისიდან 20 მაისამდე, ანუ მანამდე, ვიდრე ამ თემაზე ორი ქვეყნის პრეზიდენტები პირის-

პირ ისაუბრებდნენ, აზერბაიჯანელი მესაზღვრეები იქ მხოლოდ სასულიერო პირებს უშვებდნენ.

საქართველოს ამჟამინდელი სტრატეგიული პარტნიორი აზერბაიჯანი დავითგარეჯას არა ქართულ, არამედ ალბანურ ძეგლად მიიჩნევს. არაოფიციალურად ცნობილია, რომ ბაქომ რამდენჯერმე თქვა უარი დავითგარეჯის სადავო მონაკვეთის თბილისისთვის სხვა ტერიტორიაში გაცვლაზე.

წინა ჯაფარიძე

თამარის საფლავის საიდუმლოება

ნაწილი I

ჩვენი ერის წარსულში ბევრი რამ არის ბურუსით მოცული, მაგრამ თითოეულ ქართველს რომ ჰკითხო, ყველაზე გასაიდუმლოებული მოვლენა რომელია საქართველოს ისტორიაში, ბევრი უყოყმანოდ თამარ მეფის დასაფლავების ბურუსით მოცულ ამბავს დაასახელებს. აგერ უკვე რამდენი საუკუნეა, რაც თამარის დასაფლავებისა და მისი დაკრძალვის ადგილი დავის სავანია. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მიუთითებენ თამარის საფლავს. ხალხი კი ათასგვარ ლეგენდას ყვება მეფექალის დაკრძალვის შესახებ. თამარის დასაფლავების ირგვლივ ზშირად გაიგონებთ არაერთ ისტორიას. ტრადიცია საკმაოდ მტკიცეა და ამიტომაც საქართველოს სხვადასხვა მხარეში დღესაც კი სჯერათ, რომ თამარი სწორედ მათ კუთხეშია დაკრძალული. საესებით სამართლიანად მიუთითებს მკვლევარი ივანე ლოლაშვილი, რომ „ქართველთა ყველა ტომს უნდოდა, თამარის ნეშტი მის მხარეში ყოფილიყო დაკრძალული“. თამარის საფლავს უთითებენ ვარძიაში, გელათში, სვანეთში, კახეთში...

თამარის გასაიდუმლოებული აკლდამის ვითომდა ადგილსამყოფლის ჩამოთვლა საკმაოდ შორს წაგვიყვანს. ამ თემაზე შექმნილ ლეგენდათა უმრავლესობა ერთმანეთს ჰკავს: თამარს საიდუმლოდ ასაფლავებენ. ზოგ თქმულებაში, თორმეტ კუბოს სხვადასხვა მიმართულებით წაიღებენ და ფარულად მარხავენ. არაეინ უწყის, რომელშია ჩასვენებული თამარი. ზოგი ლეგენდის მიხედვით, მესაფლავები თავს იკლავენ, რომ არ გასცენ და გაამჟღავ-



ნონ თამარის დაკრძალვის ადგილი. ასევე საინტერესოა, რომ რატომღაც თამარ მეფის საფლავის გასაიდუმლოება ხდება გარეშე მტრის შიშით. აი, მაგალითად, ხალხური გადმოცემა „თამარ მეფის საფლავი ვარძიაში“. ეს თქმულება უშუალოდ თამარს ათქმევინებს: „ვაი თუ მართლა მიცვალების შემდეგ ჩემი გვამი ამ ურჯულოს ხელში ჩაუვარდეს“. ამის გამო მეფემ ბრძანა: „როდესაც ჩემი აღსასრულის დღე მოვიდეს და გარდავიცვალო, ამ მონასტერში მიწის პირად დამასაფლავეთ და ეს სამი ბოძი ამ მონასტერს მაშინ შეუდგით“. მართლაც, თამარის გარდაცვალების შემდეგ, ოსმალთა ფაშამ მეფის საფლავის მოძიება და შეურაცხყოფა განიზრახა. „შევიდა ფაშა მონასტერში, ნახა სამი ბოძი და შედგა: არ იცოდა, რომელი ბოძისთვის მოეკიდა ხელი, რომელი ბოძი გადმოექცია და ამოეღო სამარიდან თამარის გვამი. ბევრი ფიქრის შემდეგ ფაშა პირველ ბოძს მიადგა და დაუწყო ნგრევა. ბოძმა ხმა ამოიღო და ფაშას უთხრა: — მე ტყუილად მანგრევე, აგე ამ მეორე ბოძის ქვეშ არის თამარი დასაფლავებული“. ფაშამ მეორე ბოძის დანგრევაც გადაწყვიტა, მაგრამ არც იქ და არც მესამე ბოძის ქვეშ არ აღმოჩნდა

თამარის საფლავი. „გაუკვირდა ფაშას, ღმერთს დიდება შესწირა და სთქვა: — ცოცხალიც დიდებული და ძლიერი იყავ და მიცვალებულიც არა ჰკარგავ შენს დიდებასა და ძლიერებასო“. ან არადა, მეორე ლეგენდა — „თამარ მეფის საფლავი გელათში“: „შაჰ აბასი დამუქრებია თამარს, სტამბოლი რომ ჩამოართვა თამარმა მოხერხებით... ამ მოტყუებისთვის ცოცხალი ხომ ვერ ჩაგიგდე ხელში, მკედარს მაინც გიშოვიო“. მიუხედავად იმისა, რომ ამ ლეგენდებში აშკარა ანაქრონიზმია როგორც ოსმალთა ფაშის, ასევე შაჰ-აბასის მოხსენიება (ამ ციკლის ნაწარმოებებში ეს ხშირი შემთხვევაა), მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ თამარის საფლავს მაღავენ მუსლიმან დამპყრობელთა გამო, მეტად ნიშანდობლივი დეტალია. მართებულად შენიშნა მკვლევარმა კონსტანტინე გრიგოლიამ, რომ ასეთი სახის თქმულებების გაჩენა მხოლოდ თურქ-ოსმალეებისა და ყიზილბაშური ირანის გამუდმებული შემოსევების შემდეგ შეიძლება წარმოშობილიყო.

უნებლიეთ იბადება კითხვა: ნუთუ რამე სიმართლე შეიძლება იმალებოდეს ამ გადმოცემათა მიღმა? რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ



ავარანი, კოჯრის ციხე



სვეტიცხოვლის ტაძარი, სადაც დასვენეს თამარ მეფე გელათში გადასვენებამდე

ოსმალეთის ფაშასთან თუ შაჰ-აბასთან თამარის დაპირისპირების ისტორიას. ეს ნამდვილად ხალხის ფანტაზიის ნაყოფია. ლაპარაკია იმ ტენდენციასზე, რომ რატომღაც ლეგენდებში საგულდაგულოდ მალავენ თამარის საფლავს. მაგრამ სანამ ამ შეკითხვაზე გავცემდეთ პასუხს, ორიოდე სიტყვით იმ ცნობათა შესახებ, რომლებიც თამარის გარდაცვალებისა და დასაფლავების თაობაზეა დაცული ოფიციალურ მატრიანეთა ფურცლებზე.

1206 წლის ზაფხულში თამარ მეფე ნაჭარმაგვეში ისვენებდა. სამეფო სასახლეში მხიარულება სუფევდა, მაგრამ გარშემო მყოფნი თვალნათლივ ამჩნევდნენ, რომ მეფე შეუძლოდ იყო. დღითი დღე უძლურდებოდა თამარი, დიდხანს სიარული უჭირდა. საუკეთესო მკურნალები მოუყვანეს მეფეს, მაგრამ ამაოდ, სენი თანდათან უფრო და უფრო ძლიერდებოდა. იქნებ ნაჭარმაგვეის ჰავამ აწყინაო და მეფექალი სასწრაფოდ თბილისში წამოიყვანეს. ქალაქის სანახებში, დასოდ წოდებულ ადგილას გაიყვანეს სნეული. აქ მეფეთა დასასვენებელი იყო ოდიოგანზე და იფიქრეს, იქნებ აქაურმა კლიმატმა არგოსო. მაგრამ არც ამ ღონისძიებამ გამოიღო შედეგი. ამასობაში ზამთარიც დადგა, მეფე თავის სასახლეში, აგარის ციხეში აიყვანეს. ხალხი ეკლესიებში ღამისთევით ლოცულობდა, უფალს შესთხოვდნენ თამარის კეთილდღეობას. მკურნალები კი ყვე-

ლაფერს აკეთებდნენ მეფის გადასარჩენად. მაგრამ ამოდ... 1207 წლის 27 იანვარს ქართველთა სახელოვანი მეფე გარდაიცვალა.

თამარის თანამედროვე ისტორიკოსთაგან ჩვენამდე სამი მათგანის თხზულებაა შემონახული: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატრიანე“. ყველა ეს თხზულება თამარის გარდაცვალების პერიოდშია შექმნილი. ამდენად, ამ ავტორებს კარგად უნდა სცილოდათ, სად დასაფლავეს თამარი. ამ თხზულებებში (განსაკუთრებით თამარის ისტორიკოსებთან) მეფექალის გარდაცვალების ამბავი ისეთი ტრაგიზმით და მძაფრი ემოციებითაა გადმოცემული, რომ ამკარად ყოველივე საკუთარი თავალით დანახულისა და განცდილის აღწერას წარმოადგენს.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“:

„ამისთვისა მოხედნა რისხვით მოწყალემან ღმერთმან სამკვიდრებელსა თვისსა, და მიიცვალა მეფე თამარ ხმელსა (იგულისხმება ტაბახხმელა) დგომასა შინა. მოიწია მწუნარება დიდი და მიუთხრობელი მკვიდრთა საქართველოსათა. და ძნელად გამწარებულნი იტყებდეს და ისხმიდიან თავსა ნაცარსა და მტუერსა ათაბაგი და ყოველნი... და წარიყვანეს სამკვიდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა. და დაუტყვა სამეფო ძესა თვისსა ლაშას“.

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“:

„მაშინ განვიდეს ყოველნი მწარედ მტიორალნი. და თამარ დაიძინა ძილი იგი მართალთა თუესა იანვარსა... და აღივსო მზე ქართლისა, და საფლაგმან სადიდებელად თვისად დაგუაჭირვა ცხოვრება მსოფლიო ყოველთა ქრისტიანეთა... მაშინ უკუე აღმოიყვანეს და მცირეთა შინა დღეთა მცხეთად დადევს, და მერმე უკანასკნელ თვით მუნეუ გელათს დაამკვიდრეს თვისსა შინა სამარხოსა, დიდებად მუნ შინა დამკვიდრებულთა პაპათა და მამათა მისთა, სახელოვნთა დიდთა მეფეთა თანა“.

„ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე“:

„მეფობასა შინა დაყო ოცდასამი წელიწადი და აღვიდა წინაშე ღმრთისა, სადა-იგი მკვიდრობენ წინასწარმეტყველნი და მამათ-მთავარნი და მეფენი, თუესა იანვარსა თორმეტსა, დღესა ოთხშაბათსა, აგარათა სომხითისათა, ქორონიკონსა ოთხასოცდაშვიდსა. დამარხეს ახალსა მონასტერსა, გელათს“.

თამარის საფლავის შესახებ ცნობები ქართულ ნარატიულ (თხრობით) ძეგლებში ამით არ ამოიწურება. ჩვენს ხელთა ასევე მეტად საინტერესო დოკუმენტი, 1260-1267 წლებში შედგენილი, ლიხთ-იმერთა მეფის, დავით ნარინის მეუღლე თამარის მიერ გელათის მონასტრისადმი შეწირული სიგელი. მასში დედოფალი საგანგებოდ აღნიშნავს: „და თვით იგი სიგელი და ბედესგან ჩემთვის მოცემული დაწერილი დავსდევ დიდსა მონასტერსა შინა, კითხვითა, მოხსენებით და მოწმებითა დიდისა მოძღუართ-მოძღუარისა, დავითის მწირველისა ანტონისითა, დიდისა მონასტრისა წინამძღურისა, პატრონთა მწირველისა იოვანესითა, პატრონთა გამზრდელისა, თამარის მწირველისათა ილარიონ ფაენელისათა...“ როგორც ვხედავთ, XIII საუკუნის II ნახევარში გელათში თამარის საფლავი ცნობილია და მას მწირველიც ჰყავს მიჩენილი — ილარიონ ფაენელი, დავით ნარინის გამზრდელი. იქვე იხსენიება დავითის საფლავიც და მისი მწირველი — ანტონი. გელათის მონასტრის ძმობა ამ ორი დიდი ქართველის საფლავს საგულდაგულოდ უვლიდა. არ გამოვრიცხავთ, რომ ამ დროს დავითი და თამარი უკვე წმინდანად ყოფილიყვნენ შერაცხილი. თავად სიგელი ამ მიმართულებით არანაირი მტკიცების უფლებას არ იძლევა, მაგრამ ასე განსაკუთრებით ამ ორი მეფის გამოყოფა სხვა მონარქებიდან თითქოს ამ ვარაუდის დაშვების საშუალებას გვიქმნის.


XVII საუკუნის მემატიანე ფარსადან გორგიჯანიძე აღნიშნავს: „წასვეს მამა-პაპათ სამკვიდროს საფლავსა გელათ-ქუთათისისა და მიაბარეს საფლავსა და ს(ა)ხლსა ყველა — წმიდისა პატიოსანი მეფეთმეფე თამარი“.

ვახუშტი ბატონიშვილი გელათის მონასტერზე საუბრისას საგანგებოდ დასძენს: „ეკლესია ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა... აღაშენა აღმაშენებელმან დავით მეფემან და უწოდა სასუფეველს გენათა და აწ უწოდებენ გელათს... ამას შინა დაფლულ არიან აღმაშენებელი, გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან, დავით, დავით და სხუანიცა. და აწინდელი მეფენი შემდგომად განყოფისა იფლავიან იმერთანი“.

XIX საუკუნეშიც კი ქართველი საზოგადოებისთვის თამარი გელათში განისვენებდა. იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ მთავარ გმირს, იოანე ხელაშვილს გელათის

გელათის საკათედრო ტაძარი





ანდრე მურადიანის წიგნის გარეკანი

მონასტერში მიიყვანს, სადაც გაენათელი ეპისკოპოსის ბრძანებით, ადგილობრივი დეკანოზი მას მონასტერს ათვალთვლებს: „გაენათელმა უბანა დეკანოზს წარყვანება მისი და წარიყვანა ბერი იგი... და მერე აჩვენეს საფლავნი მეფეთანი, და ამასთან — თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლისა“.

XVIII-XIX საუკუნის პოეტი პეტრე ლარაძეც თამარის საფლავს გელათში უთითებს. გადმოცემით, იგი თბილისში სამეფო ბიბლიოთეკის გამგე ყოფილა და საკმაოდ განსწავლულ პიროვნებად გვევლინება. ამდენად მას უწევდა ისეთ საზოგადოებაში ყოფნა, სადაც შეუძლებელია არ ყოფილიყო მსჯელობა თამარის განსასვენებლის თაობაზე. ასევე ნიშანდობლივია, რომ პეტრე ლარაძე ახლდა გიორგი ავალიშვილს, როდესაც ეს უკანასკნელი გელათის მონასტერს ეწვია. ამიტომაც პეტრე ლარაძის ცნობა, რომ „დამარხეს გვამი მეფისა მის (თამარის) გელათსა შინა“ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია.

გიორგი ავალიშვილმა 1819-1820 წლებში მოილოცა პალესტინის წმინდა ადგილები. მან თავისი მოგზაურობა აღწერა საინტერესო ნაშრომში „მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე“. გიორგი ავალიშვილი 6 ივლისს გავიდა თბილისიდან, 20 ივლისს კი მან მოინახულა გაენათელი ეპისკოპოსი და გელათის მონასტერი დაათვალიერა. აი, რას წერს იგი: „მარცხენით კერძო შინაგან წმიდისა ტაძრისა ამის კედელსა ზედა იხილვებიან სახენი სა-

ქართველოს მეფეთა, დედუფალთა და ძეთა მათთა: დავით აღმაშენებლისა და სხვათა. იატაკი, ვითარცა საკურთხეველისა, ესრეთვე წინაშე კანკელისაცა არს დაფენილ თეთრისა ქვითა, ამას შინა არიან დაფლულ მეფენი: გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან დედუფალი, დავით, კვალად დავით და სხვანაცა, რომელთაცა სამარხვონი არღა უკვე იპოვნებიან ადრით ჟამითუკ“.

გელათში მოღვაწე სასულიერო პირთა შორის თამარის მონასტერში დასაფლავების ტრადიცია საკმაოდ მყარი იყო. ამიტომაც იქ მისულ მომლოცველებს საგანგებოდ აჩვენებდნენ თამარის საფლავად ცნობილ აკლდამას. სხვათა შორის, ეს ტრადიცია დღემდეა მოღწეული. ზემოთ მოხმობილი წერილობითი წყაროებიდან დავინახეთ, რომ თამარის გელათ-



გელათის მთავარი ტაძრის სამხრეთი მინაშენი, რომლის აღმოსავლეთ კედელში დაკრძალული იყო თამარ მეფე

ში დაკრძალვის ფაქტი საყოველთაოდ მიღებული იყო XIX საუკუნემდე. ამას ერთგვარად ამყარებდა ისიც, რომ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ მინაშენს ხალხური ტრადიციით თამარის ეკვდერს უწოდებდნენ.

ამდენად, თანდათან იმ ადგილს მივადექით, სადაც ისტორიული ტრადიციით, თამარის საფლავია საძიებელი.

1846-1847 წლებში ანდრეი მურავიოვმა იმოგზაურა საქართველოსა და სომხეთში. იმერეთში ყოფნისას იგი მიტროპოლიტ დავით წერეთლის მიწვევით გელათის მონასტერს ეწვია და მისი სიწმინდეები მოილოცა. ანდრეი მურავიოვი საკმაოდ დაწვრილებით აღწერს გელათის მონასტერსა და მისი სიწმინდეებს. ავტორის მითითებით, ტაძრის გვერდითა, მარ-

ჯვენა შესასვლელი ანდრია პირველწოდებულის სახელზეა ნაკურთხი, „უჩვენებენ ერთ კონკრეტულ საფლავს“, სადაც განისვენებს დიდი თამარ მეფე. მურავიოვმა იცის, რომ ხალხური გადმოცემები თამარის საფლავს უთითებენ სვანეთში, ვარძიასა და სხვ. ტაძრის დათვალიერების დროს მიტროპოლიტ დავით წერეთელს მისთვის უჩვენებია მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკვდერი (ანუ თამარის სამარხად ცნობილი ნაგებობა) და მოუყოლია, თამარის ხსენების დღესთან დაკავშირებით რა წესი სრულდებოდა საუკუნეების განმავლობაში. ანდრეი მურავიოვი წერს: „დავით მიტროპოლიტი მარწმუნებდა, რომ სოლომონის მამის, ალექსანდრე მეფის დრომდე ყოველწლიურად თამარ მეფის ხსენების დღეს ახდინდნენ მისი საფლავის ქვას და პა-





თამარ მეფის ფრესკა, ვინწვისის ტაძარი

ნაშვიდს იხდიდნენ. ასეთი მყარი გადმოცემა რაღაცაზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. ადვილი შესაძლებელია, ეს ჩვეულება შეწყდა იმ დროიდან, როდესაც მეფე ალექსანდრემ იქ დასაფლავა თავისი მეუღლე მარიამ დადიანი“. ამდენად, XIX საუკუნის 40-იან წლებში თამარის საფლავის ქვის ახდა და პანაშვიდის გადახდა უკვე აღარ ხდებოდა. სხვა ცნობით, ეს ტრადიცია XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისშიც ყოფილა. მ. ალავიძეს თავის სტატიაში „თამარ მეფის ეკვდერი გელათში“, მოჰყავს მხარეთმცოდნე პეტრე ჭაბუკიანის მონათხრობი: „გელათის მონასტერში ტრადიციად იყო რწმენა: თამარი აქ მარხიან და ემსახურებოდნენ გარდაცვალებისა და დაბადების დღეს.

თამარის სავარაუდო საფლავი გელათის მონასტერში

სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერი წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელს ატარებდა თამარის გარდაცვალებამდე, თამარის გარდაცვალების შემდეგ კი — თამარის სახელს (რაკი თამარი წმინდანად შერაცხეს). ეს ეკლესია გარედან გელათის ტაძრის სხვა ეკვდერებთან შედარებით მდიდრულად არის მოჩუქურთმებული.

მონასტრის ბერებმა დოღო ჭიჭინაძემ, ეპიფანე გაბილაიამ, ეპიფანე ზაქარაშვილმა და სხვებმა 1910 წელს მიამბეს, რომ თამარის გარდაცვალების დღეს ყოველწლიურად გელათის მონასტრის გაუქმებამდე თამარის საფლავზე (სამხრეთ კედელთან) პანაშვიდს აღასრულებდნენ. საფლავს ახდიდნენ ქვას (სხვათა შორის, ფიქალს ერთი ნაპირი ჩამოტეხილი აქვს), აკლდამიდან ამოყრიდნენ სილას, ძვლებს, დაანახვებდნენ ყველას, რათა გაექარწყლებინათ ლეგენდა — თამარი არ მომკვდარა, გამოქვაბულში სძინავს, გაიღვიძებს და საქართველოს მტრისგან გამოიხსნისო... „თამარობას (თამარის დღეობის დღეს)“ — პირველ მაისს (ძვ. სტილით) მთელი საქართველო აღნიშნავდა. გელათში ამ დღეს იმართებოდა საერთო ზეიმი: გართობა, ცხენოსნობა, ბურთაობა, სიმღერა“.

როგორც თამარის თანადროული, ასევე შემდეგდროინდელ ისტორიკოსთა თუ მოგზაურთა ჩანაწერებიდან კარგად ჩანს, რომ თამარის დასაფლავება საიდუმლოდ არ მომხდარა. საყვარელი მონარქი ხალხმა დაიტირა და გელათში დაკრძალა. თამარის საფლავის გაუჩინარების ისტორია მოგვიანებით უნდა შექმნილიყო.

(დასასრული მომდევნო ნომერში)

ჯაბა საგუშია

სიასლა! ასეთი ვეფხისტყაოსანი ჯერ არ ბინახავთ მთელი ეპოქა ერთ წიგნში

შეახა
 რუსთაველის
 ეპოქის საბანძურს

წიგნი მოიცავს:

- მოძრავ ჩანართებს
- ისტორიულ იარაღს
- ხელნაწერებს
- რუსთაველის ბიოგრაფიას
- ყველა დროის ცნობილ ილუსტრაციებს
- ვეფხისტყაოსნის მსოფლიო გამოცემებს
- 3D ქაჯეთის ციხეს

ამ წიგნში: მოსაპოვებელი
 ისტორიული იარაღი
 3D აჯაღის ციხე

ვეფხისტყაოსანი

ყვანი
 ანატოლის

ფასი:
 24.99 ლ

ამბად მოთხრობილი
 ვეფხისტყაოსანი
 იკითხეთ წიგნის მაღაზიებში





კრაკოვის რაკოვიცკის სასაფლაოს მთავარი ხეივანი

უცნობი ქართვალაზი იუნკარი პოლონეთში

პოლონეთში, ქალაქ კრაკოვის რაკოვიცკის ძველ სასაფლაოზე, რომელიც 1803 წელს გაიხსნა და რომელიც ამჟამად პოლონეთის ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი, სამხრეთ პოლონეთის არისტოკრატია და ინტელიგენციაა დაკრძალული. რომის პაპის იოანე-პავლე II-ის (ეროვნებით პოლონელი კაროლ ვოიტილა) მშობლებისა და ძმის საფლავების შორიახლოს ერთი ძველი საფლავია, რომლის ქართული წარწერა გვამცნობს: „ნიკო აღნიაშვილი, იუნკერი საქართველოს სამხედრო სკოლისა“. საფლავის ქვაზე გაკეთებული პოლონური წარწერა კი იუწყება: „ღმერთმა გაანათლოს მიკო აღნიაშვილი, მამაცი ქართველი ერის შვილი. პოდჰალეს ქვეით მსროლელთა მე-4 პოლკის პორუჩნიკი. დაბადებული ბათუმში 14.II.1901. გაძევებული რუსების მიერ სამშობლოდან, სამშობლოს მონატრებული გარდაიცვალა კრაკოვში 5.IX.1928. ღმერთო, მიეცი თავისუფლება საქართველოს!“

საფლავის ქვის პოლონურ წარწერაში სახელის „ნიკოლოზ“ პოლონური ვარიანტის, „მიკოლაი“ ქართულ ყაიდაზე შემოკლებული „მიკო“ წერია, ქართულ წარწერაში კი ნიკოს ნაცვლად ნიტო იკითხება, რაც იმით აიხსნება, რომ მან, ვინც წარწერა საფლავის ქვაზე ამოკვეთა, ქართული არ იცოდა და უნებ-

ლიე შეცდომა დაუშვა. პოდჰალე მთიანი რეგიონია სამხრეთ პოლონეთში, ტატრის ქედისა და კარპატების მთების ძირში. აღსანიშნავია, რომ ქართულ და პოლონურ წარწერებს შორის კავკასიელთა სიმამაცის სიმბოლოს, ხანჯლის გამოსახულებაა ამოკვეთილი. საფლავის ქვაზე ნიკო აღნიაშვილის ოვა-

ლური ფორმის ფოტოსურათიცაა ქვაზე დატანილი.

2011 წლის დეკემბერში პოლონეთში დავით ყოლბაიას, პიოტრ პლემბოიჩისა და პიოტრ ვარიშის ავტორობით პოლონურ ენაზე გამოიცა ალბომი „უცნობი საქართველო. ქართველებისა და პოლონელების საერთო ბედი“. ალბომში მკითხველი ეცნობა საქართველოს ისტორიას, კულტურას, ხელოვნებას, პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობათა გზას. ვრცელი სტატია ეძღვნება მარშალ პილსუდსკისა და პრომეთეიზმის პოლიტიკურ მოძრაობას, რომელიც რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ-დამონებული ერების გათავისუფლებაში მდგომარეობდა. მოთხრობილია ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და გრიგოლ ფერაძის, ადამ მიცკევიჩისა და კავკასიისადმი მისი დამოკიდებულების, აგრეთვე პოლონეთის არმიის ქართველი ოფიცრების შესახებ. ალბომი აგრეთვე მოგვითხრობს 1999 წლის 8-9 ნოემბერს რომის პაპის, იოანე-პავლე II-ის თბილისში ვიზიტისა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სთან მისი შეხვედრის შესახებ. ცალკე სტატია ეთმობა რუსულ აგრესიას საქართველოში 2008 წლის აგვისტოში. ალბომი მთავრდება პოლონეთისა და საქართველოს პრეზიდენტების, ლებ კაჩინსკისა და მიხეილ სააკაშვილის მიერ 2007 წლის 10 მაისს ვარშავის აჯანყების მუზეუმის თავისუფლების



2011 წელს პოლონეთში, პოლონურ ენაზე გამოიცა ალბომი „უცნობი საქართველო. ქართველებისა და პოლონელების საერთო ბედი“

ალბომის პრეზენტაცია





ნიკო აღნიაშვილის სურათი საფლავის ქვაზე



ნიკოლოზ აღნიაშვილის საფლავი



ქართულ წარწერაში ნიკოს ნაცვლად ნიჭო იკითხება — ვინც წარწერა საფლავის ქვაზე ამოკვეთა, ქართული არ იცოდა (ფოტო ალბომიდან)

პარკში პოლონეთის არმიის ქართველი ოფიცრების ხსოვნისადმი მიძღვნილი სტელის სახეიმო გახსნის ამსახველი ფოტომასალით.

ალბომში 27 წლის ასაკში სამშობლოზე დარდით გარდაცვლილი ქართველი იუნკრის, ნიკო აღნიაშვილის უჭირისუფლო საფლავის სვედის მომგვრელ ფოტოს მთელი გვერდი აქვს დათმობილი.

რა ვიცი თუ ნიკო აღნიაშვილის შესახებ? პრაქტიკულად მხოლოდ ის, რაც საფლავის ქვაზე ამოკვეთილი წარწერიდან შეიძლება შევიტყუოთ: რომ ნიკო ბათუმში დაბადებულია 1901 წლის 14 თებერვალს, საქართველოს იუნკერთა სკოლაში უსწავლია, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ კი სხვა ქართველ იუნკრებსა და სამხედრო პირებს თან ერთად იძულებული გამხდარა, 20 წლის ასაკში ემიგრაციაში წასულიყო. შემდეგ, როგორც ჩანს, ორასამდე ქართველთან ერთად ისიც პოლონეთში გაგზავნეს იქაურ სამხედრო სკოლაში სასწავლებლად. პოლონეთის არმიაშიც დაუწვია სამსახური – სავარაუდოდ, სხვა ქართველთა მსგავსად, საკონტრაქტო ოფიცრად, სადაც მსროლელთა პოლკის პორუჩნიკი (შეესაბამება ლეიტენანტის წოდებას) ყოფილა, მაგრამ სრულიად ახალგაზრდა, 27 წლისა, გარდაცვლილა კრაკოვში 1928 წლის 5 სექტემბერს – როგორც საფლავის ქვის წარწერა გვამცნობს, ნოსტალგიას მოუკლავს.

კრაკოვში დაკრძალული ქართველი იუნკრის შესახებ ცნობების უქონლობა, რა თქმა უნდა, იმითაც აიხსნება, რომ ნიკო აღნიაშვილი ახალგაზრდა გარდაიცვალა. მაგრამ უმთავრესი მიზეზი მაინც ის არის, რომ ოკუპირებული საქართველოდან გადახვეწილები ერიდებოდნენ ოჯახის წევრებთან კონტაქტს და საქართველოში დარჩენილებიც ემიგრაციაში წასულთა სახელების ხსენებასაც კი გაურბოდნენ მოსალოდნელი რეპრესიების შიშით. შეიძლება ითქვას, ისინი ერთმანეთისთვის ცოცხლად დამარხული იყვნენ.

2009 წელს პოლონეთის ეროვნულმა არქივმა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა XX საუკუნის 20-იანი წლების პოლონურ-ქართული ურთიერთობების ამსახველი რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტის ასლი. ეს დოკუმენტები საშუალებას გვაძლევს, ზუსტად დავადგინოთ იმ ქართველი იუნკრების ვინაობა, რომლებიც პოლონეთის მაშინდელი პოლიტიკური და

სამხედრო ხელმძღვანელის, მარშალ იუზეფ პილსუდსკის უშუალო მითითებით ჩარიცხეს პოლონეთის სამხედრო სკოლებში. ჩარიცხულთა სიაში, სხვა ქართველ იუნკრებთან ერთად, არის იუნკერი ნიკოლოზ აღნიაშვილიც.

„სამხედრო სკოლა მიდის ფრონტზედ, სამხედრო სკოლა! – ელვის სისწრაფით გავარდა ხმა ქალაქში და მთელი ქალაქი მიხაილოვისა და რუსთაველის ქუჩაზედ გამოეფინა. ქალი და კაცი, დიდი თუ პატარა, ყველა გარეთ გამოსულიყო და მწყობრად მიმავალთ ტაშის ცემითა და ვაშაით ეგებებოდა. იუნკერთა სასწავლებელი კი მიდიოდა მთელი თავისი სიღარბაისლით, წარბშეუხრელად და დინჯად. ვერის აღმართზე ხალხმა იმატა, აღტაცებისა და მისალმების ყიჟინა დედათა მიერ შვილების ლოცვასა და აღერსში აირია: „შვილო! შენ იცი, როგორ იბრძოლებ სამშობლოსთვის! შვილებო! შვილო!“ ეალერსებოდნენ ხან შვილს, ხან მის ამხანაგებს. შვილები და ამხანაგები კი მედგრად განაგრძობდნენ წინსვლას...“ – ასე აღწერს ყოფილი იუნკერი, შემდგომში პოლონეთის არმიის ოფიცერი ნიკოლოზ მათიაკაშვილი იუნკერთა სკოლის კურსანტების სვლას ბრძოლის ველისკენ 1921 წლის თებერვლის იმ ავბედით დღეს. ფრონტზე მიმავალთა რიგებში იყო საქართველოს სამხედრო სკოლის იუნკერი, 20 წლის ნიკო აღნიაშვილიც...

ძალიან მცირე იყო შანსი, რომ კრაკოვის რაკოვიცკის სასაფლაოზე ვინმე ქართველი მოხვედრილიყო და სასაფლაოზე, რომელსაც დიდი ტერიტორია უკავია, ქართველი იუნკრის საფლავი აღმოეჩინა. ნიკო აღნიაშვილის სიკვდილიდან ექვსი ათეული წლის შემდეგ, 1989 წლის სექტემბერში პოლონეთში ყოფნისას ბატონ ზურაბ ჯანელიძეს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, კრაკოვის სასაფლაოზე შემთხვევით უპოვია ნიკო აღნიაშვილის საფლავი. როგორც მისთვის სასაფლაოს ადმინისტრაციაში უთქვამთ, იქ კიდევ ათამდე ქართველის საფლავი ყოფილა, მათგან ერთ-ერთის საფლავის ქვაზე კი ქართულად ლექსი ყოფილა წარწერილი. ზურაბ ჯანელიძის თქმით, ამადელეკებული იყო ის, რომ ნიკო აღნიაშვილის საფლავზე ცოცხალი ყვავილები ეწყო. მაგრამ მაშინდელ საქართველოში პოლონეთის არმიის ქართველი ოფიცრების შესახებ არაფერი იცოდნენ. პოლიტი-

კური მიზეზების გამო ეს თემა საქართველოშიც, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო და საბჭოთა კავშირის სატელიტად ქცეულ კომუნისტურ პოლონეთშიც, ტაბუირებული იყო მისი პოლიტიკური არაკომფორტულობის გამო. პოლონეთის არმიის ქართველი ოფიცრები ხომ საქართველოშიც და პოლონეთშიც ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

რომ არა ალბომი „უცნობი საქართველო“ და მასში გამოქვეყნებული ფოტო ნიკო აღნიაშვილის საფლავისა, ლაკონურად და ექსპრესიულად რომ მოგვითხრობს სამშობლოდაკარგული ახალგაზრდა ქართველის ხანმოკლე ცხოვრებას, საქართველოში არც კი გვეცოდინებოდა საქართველოს თავისუფლების ნატვრაში ჩაფერფლილი ქართველი იუნკრის შესახებ, მისთვის ესოდენ ძვირფასი სამშობლოდან შორს, მეგობრული, მაგრამ მაინც უცხო ქვეყნის მიწაში რომ იპოვა სამუდამო განსასვენებელი. დმერთმა ნათელში ამყოფოს. აი, ასეთი ადამიანები გაანადგურეს ბოლშევიკებმა, მაგრამ, საბედნიეროდ, ბოლომდე მაინც ვერ ამოძირკვეს. პოლონელებს უნდა ვუმაღლიდეთ, რომ 1928 წელს დაკრძალული ქართველი იუნკრის საფლავი დღემდე შემონახეს და საქართველოს საშუალება მისცეს, თითქმის ცხრა ათეული წლის შემდეგ მაინც ეპოვა სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი თავისი შვილი.

ქართი ტოროტაძე



კრაკოვის რაკოვიცკის სასაფლაო, გახსნილი 1803 წელს

თინა წაკისელი



„საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“
ისე მტკიცე იყვნენ თურმე, ვით მტეხის კედელი,
გმირი თინა წაკისელი და მაია წყნეთელი.
მათი ხმალი ცეცხლს აფრუქვედა, მტერი თრთოდა ვერანი,
საქართველოს ცის ფერს ჰგავდა ფერი მათი მერანის,
მამულისთვის დაიღუპნენ ვაჟკაცობის მსახველნი,
საქართველო იყო მათი უწმინდესი სახელი...

ლადლო ასათიანი

თინა წაკისელი. ლეონი სილაგაძის ნახატი

XVIII საუკუნეში საქართველოს ძნელებდობის ხანა დაუდგა. ხალხი შეწუხებული იყო ოსმალ თუ ირანელ დამპყრობელთაგან, რომელთა შემოსევები ქვეყანას მუდმივი ომის პირობებში ამყოფებდა. ცალკე პრობლემა იყო ლეკების გაუთავებელი თავდასხმები. ამიტომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩნდებოდნენ დაბალი სოციალური წარმომავლობის სახალხო გმირები, რომლებიც თავისი სოფლისა თუ მხარის წინამძღოლი ხდებოდნენ და ვაჟკაცურად ებრძოდნენ მტერს. განსაკუთრებით საინტერესოა ქალების აქტიურობა და გამბედაობა. ამ კუთხით, ფეიქრობთ, მხოლოდ მაია წყნეთელის, თამარ ვაშლოვნილისა და თინა წაკისელის სახელთა ხსენებაც საკმარისია.

თინა წაკისელის შესახებ შემორჩენილია ფრაგმენტული ცნობები და გადმოცემები. ხალხური პოეზიის ნიმუშები, რომლებიც მის დროშივე, XVIII საუკუნეშია შექმნილი და შემდეგ ნელ-ნელა ივსებოდა. პირველად, ყველაზე სრულად და ვრცლად თინა წაკისელის შესახებ მასალები შეაგროვა და 1882 წლის გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა დიმიტრი ჯანაშვილმა. მისთვის თინას ამბები, წაკისის მებატონისა და თბილისის უკანასკნელი მელიქ-

მამასახლისის დარჩიას შვილს, თავად ასლან ბებუთაშვილს (1785-1866 წწ.) უამბია. თინა წაკისელის შესახებ გადმოცემები ზეპირად გადადიოდა, XX საუკუნის 50-იან წლებში შინდისელი 108 წლის მოხუცი ვაზარ ტოტოლაშვილი იხსენებდა, რომ თინა წაკისელი გვარად ფეიქრიშვილი ყოფილა. ეს ცნობა მიხვილ ჯანგიძემ 1959 წელს ჩაიწერა.

თინა წაკისელი XVIII საუკუნეში ცხოვრობდა. იგი წაკისელი გლეხის ასული ყოფი-

წაკისის ხედი



ლა. მას თანასოფლელებისთვის ისეთივე გმირობა და გულშემატკივრობა გამოუჩენია, როგორც მაია წყნეთელს. სიყმაწვილეში შეურაცხყოფისთვის თავისი ბატონი მოუკლავს, მაგრამ თინაზე ეჭვი არავის მიუტანია. არსებობს გადმოცემა, რომ იგი ერთხანს კოჯრის ციხეს აფარებდა თავს.

ამის შემდეგ გავიდა დრო, თინა და კიდევ მისი თანატოლი სხვა გოგო-ბიჭები სპარსელებს მიჰყიდეს. მყიდველებს გზაზე მათზე ძალადობა მოუწოდებიათ. თინამ მათი ეს განზრახვა შეიტყო და თანასოფლელები დაარიგა, სპარსელებისთვის ხანჯლები წაერთმიათ. მართლაც, ასე მოქცეულან და ყველანი დაუხოცავთ. შემსხდარან მათივე ცხენებზე და მეფე ერეკლესთან წასულან. მეფეს ყველაფერი დაწვრილებით უამბეს. ერეკლეს მათი მხნეობა ძალიან გაჰკვირვებია. სხვები დაითხოვა, თინა კი სასახლეში დატოვა თურმე. სასახლეში ყოფნისას თინამ კარგად შეისწავლა თოფის სროლა, ხმლით ბრძოლა და ცხენზე ჯდომა. ამის შემდეგ ყოველთვის მეფე ერეკლეს გვერდით იდგა. მამაკაცური სამოსი ეცვა და არაერთხელ უსახელებია თავი გამბედაობითა და მხნეობით.

ერთ-ერთი ბრძოლისას, თინასა და ერთ გლეხს ისე მამაკაცურად უომიათ, რომ მეფეს ძალიან მოეწონა ისინი, ორივე თავისთან მიიწვია და შეუღლება უბრძანა. ისინი მართლაც დაქორწინდნენ და წავკისს დასახლდნენ. თინა წავკისელს ორი ვაჟი შეეძინა, მაგრამ ქვეყანას სამსახურს მაინც არ აკლებდა. ის თავისი სოფლის, წავკისის მტრებისგან მცველი ყოფილა.

ერეკლე II-ის დროს, 1774 წელს ქართლ-კახეთში მორიგე ჯარი შეიქმნა, „მორიგეში გასვლა“ წელიწადში ერთი თვით, თავისი ხარჯებით ყველა ბრძოლისუნარიან მამაკაცს ევალებოდა.

ერთხელ, ერეკლემ წავკისიდან თითქმის ყველა გლეხი გაიყვანა ჯარში, სოფელს კი მტერი თავდასხმასა და დარბევას უპირებდა. თინამ ქალები, ბავშვები და მოხუცები სოფლის კოშკში შეხიზნა (წავკისში კოშკი XX საუკუნის 30-იან წლებში დაანგრეს). კოშკის კიბის სათოფეებზე ფუტკრის სკები დააწყო, ორივე მხარეს კარი შეგნიდან ჩაკეტა და თბილისში წავიდა, რათა მტრის თავდასხმა მეფისთვის შეეცდობინებინა. კოშკში შეხიზნულებს კი დაუბარა, თუ მტერი მიუახლოვდებოდათ, მათ სკიდან ფუტკრები უნდა გაეშვათ და ამით შეეჩერებინათ. ასეც



კრწანისის ბრძოლა. სპირიტუალური მანერის ნახატი

მოხდა და მტერი სასტიკად დამარცხდა. ამ გამარჯვების შემდეგ თინა წავკისელის მეუღლე მალევე გარდაიცვალა.

თინა წავკისელი კრწანისის ბრძოლაშიც (1795 წ.) მონაწილეობდა. ალა-მაჰმად ხანის მოსვლის წინ იგი ტყვედ ჩავარდნილა და მეფისთვის შემოუთვლია: თუ მოვახერხებ გათავისუფლებას, დაგეგმარები ბრძოლაში.

შენ გენაცვალე, მეფეო,

შენ გენაცვალე, შენო,

გიორგი არ მომიშო,

სულ შეიჯერე თემო.

მეც მალე დაგეგმარები,

თუ რომ გამიხსნეს ხელიო,

თუ არადა მომაშველეთ

ნახშირორთელი მღვდელიო.

მეფემ თინა ტყვეობიდან გამოიხსნა.

თინაე რამ შეგამინა,

ნუ შეეცვალა ფერო!

შენ დავეკარგე, მაგრამა

არვინ არს შენი ფერო.

მაგრამ, უკან გაბრუნებისას მტრებს ისევ ჩაუგდიათ ხელში და ბოლნისის მხარეს მოუკლავთ. ერეკლემ იქვე, ბოლნისის სიონთან დასაფლავებინა ქმრის გვერდით. საფლავის ქვაზე მათი სახე ამოაჭრეს, მათი ობლები კი წაიყვანა და სამეფო სასახლეში ზრდიდა.

გმირი ქალის შესახებ სულ ეს ცნობებია შემორჩენილი, რომელიც დაცულია ხალხურ პოეზიაში, გადმოცემებში და მცირე ისტორიულ ცნობებში.

ალექსანდრა ზოზიუშვილი



ჩვენ ჰესა და კოლუმბის ზომალდების შედარებითი ზომები

როგორ აღმოაჩინეს ჩინელებმა ამერიკა

მსოფლიოში უდიდესი ფლოტის მქონე ძველანა ნაჟუჟში საპუტარო ნავით ჩაიკიბა

ვეროპელებს საუკუნეების განმავლობაში სჯეროდათ, რომ იტალიური წარმოშობის ესპანელი ზღვაოსანი ქრისტეფორე კოლუმბი პირველი ვეროპელი იყო, ვინც ახალ სამყაროს მიაღწია, როცა 1492 წელს სამი ზომალდით შეცურა კარიბის ზღვაში. თუმცა 1957 წელს გამოჩნდა ე.წ. ვინლანდის რუკა, რომლის თანახმადაც ამერიკის კონტინენტი კოლუმბამდე მთელი 500 წლით ადრე ვიკინგებს აღმოუჩენიათ. როცა რუკის ნამდვილობის მეცნიერულად დამტკიცებამდე მივიდა საქმე, მოულოდნელად ახალი მეტოქე გამოჩნდა. შუა საუკუნეების ჩინეთი დიდ ზღვაოსანს დღეს უკვე დასაბუთებულად ელაგება პირველადმოძიენის კვარცხლბეკს.

ეს ამბავი 1402 წელს დაიწყო, როცა მინის დინასტიის პირველი იმპერატორის მეოთხე ვაჟი ჩჟუ დი ჩინეთის ტახტზე ავიდა. ძალაუფლებისკენ სვლისას დიდი დახმარება ჩჟენ ჰემ გაუწია, რომელიც დიდი საჭურისის ტიტულს ატარებდა. ტახტზე ასვლიდან ერთ წელიწადში ჩჟუ დიმ ჩჟენ ჰე სამხედრო-საზღვაო ფლო-

ტის მთავარსარდლად დანიშნა.

მანამდეც, ჯერ კიდევ ტანის დინასტიის დროს (617-907 წწ.) ჩინეთს დიდი საოკეანო ზომალდების აგება უკვე დაწყებული ჰქონდა და მინის დინასტიის დასაწყისისთვის ქვეყანას მანამდე არნახული სიდიადის ფლოტი გააჩნდა (ვენეციის ფლოტის მფლობელობაში

300 მცირე გალერა ირიცხებოდა, რაც უფრო ხმელთაშუა ზღვაზე სამგზავროდ გამოდგებოდა), მაგრამ ამბიციური იმპერატორის მიზნებისთვის ეს არ იყო საკმარისი. ჩჰუ დის ერთ-ერთი პირველი რეფორმა 1681 ხომალდის აგება იყო, მათ შორის ე.წ. განძეულის გემებიც უნდა ყოფილიყვნენ. გარდა ამისა, უნდა აეგოთ რვაანძიანი ჯონკები პირდაპირი აფრებით და დიდი ტრიუმფებით საქონლის გადასაზიდად ჩინეთიდან და უკან. ჯონკების მხოლოდ საჭის ფრთა 11 მეტრი სიგრძისა იყო — თითქმის „სანტა-კლარას“ საჭისოდენა, რომლითაც კოლუმბმა ატლანტის ოკეანე გადაჭრა ამალითურთ. ჩჰუ დის ფლოტი უკვე 3500 ხომალდს ითვლიდა, რომელთა შორის 200 გიგანტური სავაჭრო გემი იყო.

ჩჰუ დის სურდა, საზღვაო ძალები დანარჩენი მსოფლიოს აღმოჩენის, კარტოგრაფიებისა და უცხოელ მმართველთა ჩინეთის იმპერიის დაქვემდებარებაში მოსაქცევად გაეგზავნა. ეს სისტემა ჩინეთში უკვე მოქმედებდა, ვასალი ქვეყნები სიმბოლურად უგზავნიდნენ ჩინეთს თავიანთი ნაწარმის ნიმუშებს, ასევე მათთან გაურცელებულ ცხოველებს. სამაგიეროდ კი ჩინეთთან ვაჭრობის უფლებასა და მტერთან ბრძოლისას ჩინეთის თანადგომას იღებდნენ. ურთიერთობები არ ყოფილა მხოლოდ კომერციული ხასიათის. ევროპა თავისი განუვითარებელი ეკონომიკით შუა საუკუნეებიდან ბოლომდე ვერ გამოსულიყო, ჩინეთი კი განათლების დონითა და მოწინავე ტექნოლოგიებით ტოლს არავის უდებდა. იმ დროის ჩინეთს უკვე ჰქონდა დენტი, წიგნის ბეჭდვის სისტემა და ქაღალდის ფული. პეკინი მსოფლიოს უმდიდრესი ქალაქი გახლდათყო. ჩჰუ დიმ 2000 სწავლულს 4000-ტომიანი ენციკლოპედიის შედგენა დაავალა (შედარებისთვის, იმავე პერიოდში ინგლისის მეფის, ჰენრი V-ის ბიბლიოთეკა მხოლოდ ექვს ეგზემპლარ ხელნაწერ წიგნს მოიცავდა). ენციკლოპედია 1421 წელს დასრულდა, თუმცა ტომების დიდი ნაწილი არასდროს დაბეჭდილა. ქვეყანა რომ ინტელექტუალურ განვითარებას არ ჩამორჩენილიყო, ჩჰუ დი შეცნობებს ხშირად გზავნიდა ზღვებს მიღმა გეოგრაფიის, ისტორიის, ჩვეულებების, ვაჭრობის, მსოფლიო ხალხთა კულტურისა და ეთნოგრაფიის შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად და ჩამოსატანად.

ჩჰუ დიმ მინის დინასტიის დედაქალაქი 1404 წელს ნანკინიდან პეკინში გადაიტანა. პეკინში ე.წ. აკრძალული ქალაქი ააგებინა, რომე-



იმპერატორი ჩჰუ დი

ადმირალი ჩჰენ პე





იმპერატორ ჩჟუ დის ერთ-ერთი პირველი რეფორმა 1681 ერთეული ზომადის აგება იყო

ლიც დეკორირებული მონუმენტური კედლებით იყო შემოზღუდული. ამ ქალაქში მდიდრული ტაძრები, სასახლეები და მოჩუქურთმებული ნაგებობები იდგა. იმპერატორის გადაწყვეტილებით, ქალაქის ინაუგურაციისას პომპეზური ცერემონიით ჩინეთმა უდავო სიმდიდრე და განვითარებულობა დაუმტკიცა მსოფლიოს. 1421 წლის 2 თებერვალს, ჩინური ახალი წლის დამდეგს, სხვადასხვა ქვეყნის ელჩმა თუ მმართველმა პეკინში აკრძალული ქალაქის გახსნაზე მოიყარა თავი. ძლიერთა ამა ქვეყნისა მდიდრული მიღება მოუწვევს და მთელი თვე ფუფუნებით აცხოვრეს. მათ გამგზავრებას კი მსოფლიოში უდიდესი და უძლიერესი საოკეანო ზომადის გაშვება დაამთხვიეს.

ჩინეთს ზღვაოსნობის უმდიდრესი გამოცდილება ჰქონდა. ოთხი ფლოტისგან შემდგარი უზარმაზარი არმადისთვის, რომელიც 1421 წლის 5 მარტს გაუშვეს ღია ზღვაში, 1405 წლის შემდეგ ეს უკვე მეექვსე პომპეზური ექსპედიცია იყო. ჩინელი ასტრონომები 2000 წლის განმავლობაში ადგენდნენ ციური სხეულების ადგილმდებარეობას. ჩინელი მეზღვაურები ამ მონაცემებზე დაყრდნობით, პოლარული ვარსკვლავის განლაგების მიხედვითა და მაგნიტური კომპასებით ადვილად იკვლევ-

დნენ გზას ღია ოკეანეში. ჩჟუ დის დაფინანსებულმა პირველმა ექსპედიციებმა სამხრეთ-დასავლეთ აზიას მიაშურეს, მივიდნენ სპარსეთის ყურემდე და აღმოსავლეთ აფრიკასაც მიაღწიეს.

ჩინურ ჯონკებს სამი თვე შეუწყვეტლად ცურვა და 7200 კილომეტრის დაფარვა შეძლო. მათი ვეებერთელა მასა და მახვილგონივრული კორპუსი (რამდენიმე წყალგაუმტარ ნაწილად დაყოფილი) ტაიფუნისას, მცურავ ყინულებსა და რიფებთან შეჯახებისას საფრთხეს ამცირებდა. საგანძურით დატვირთულ გემებს მუდამ საქონელშიდიები და საზღვაო ტანკრები ახლდნენ. ბორტზე ციტრუსი და ყავისფერი ბრინჯი აპქონდათ სურაჟანდისა და ავიტამინოზისგან თავის დასაცავად.

ზღვაში გასული ჩინელები უკვე ათასობით კილომეტრზე იყვნენ სამშობლოდან. თვე-ნახევარში მალაიზიის პორტ მალაკაში ჩავიდნენ, რომელიც ოფიციალურად ჩინეთის კოლონიას წარმოადგენდა და ჩინეთსა და ინდოეთს შორის შუა გზაზე მდებარეობდა. გარდა ამისა, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიისა და ინდოეთის ოკეანეში სავაჭრო ცენტრსაც წარმოადგენდა. ჩვენ ჰენი ამის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, ზომადლებმა კი სამხრეთი

ინდოეთისკენ, ქალაქ კოჭიკოდესკენ აიღეს გეზი. ამის შემდეგ თანამედროვე მოზამბიკში მდებარე სოფლას პორტს ეწვივნენ. უკან დაბრუნებისას კი გზადაგზა ძვირფასეულობა და იშვიათი ნაკეთობები გაიყილეს ჩინეთში.

არსებობს ვარაუდი, რომ იმხანად ჩინელი მეცნიერები დანარჩენ მსოფლიოს არ იცნობდნენ. ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ისტორიკოსი გვეინ მენზიესი, რადგან ჩინეთის მსოფლშეცნობა ამ მოგზაურობებით არ დასრულებულა, არამედ კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს მიაღწია. სოფლიდან სამი კვირის გამოსვლებმა აგულის თბილი დინებით სამხრეთ აფრიკის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში კეთილი იმედის კონცხს ჩაუარეს. ამის შემდეგ პასატებმა მათი ზომალდები ცენტრალური აფრიკის დასავლეთით გააქანა, სადაც ზმელეთზე გადასვლამ მოუწიათ. აქედან ეკვატორულმა დინებამ კაბო-ვერდეს კუნძულებამდე წაიღო ფონკები. ერთი თვე არ იქნებოდა გასული, რომ ბრაზილიის ნაპირებიც გამოჩნდა. ბრაზილიიდან სამხრეთით გაცურეს, სამხრეთი ამერიკის უკიდურეს სამხრეთ წერტილს ჩაუარეს და ახლანდელი მაგელანის სრუტით წყნარ ოკეანეში გავიდნენ.

აქედან, მენზიესის გადმოცემით, ერთი ფლოტი სამხრეთით, ფოლკლენდის, გრეპემისა და სამხრეთ შეტლანდის კუნძულებისკენ გაემართა, ანტარქტიკის ჩრდილოეთ ნაწილამდე მისაღწევად, საიდანაც პოლარული ვარსკვლავის ეკვივალენტის აღმოჩენა სურდათ მეზღვაურებს, რათა განედი განესაზღვრათ. იპოვეს



ისტორიკოსი გვეინ მენზიესი მსოფლიოს რუკასთან, რომელიც ჩინელებმა ჩვენ პეს მოგზაურობათა ჩანაწერების მიხედვით შეადგინეს



აფრიკაში ნაპოვნი ძველი ჩინური ვაზა

ჩვენ პეს მეორე მოგზაურობის მარშრუტი (1405-1433)





განძეულის გემის თანამედროვე ასლი ნანკინში

ჩვენ პეს
განძეულის
გემი



კიდევ — აკრუქსი, რომელიც სამხრეთი ჯვრის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავია. მეზღვაურის გზამკვლევი 1433 წელს შეადგინეს და ვუ-ბეი-უი უწოდეს. ამ გზამკვლევით დგინდება, რომ იმ დროის ჩინელ მეზღვაურებს უკვე შეეძლოთ სამხრეთი განედების განსაზღვრა. ექსპედიციის დასასრულს, სავარაუდოა, რომ მეზღვაურებს უკვე აღმოჩენილი უნდა ჰქონოდათ განედების გამოანგარიშების მეთოდი, თუმცა როგორ ახერხებდნენ ამას, ეს ჯერ კიდევ უცნობი რჩება ჩვენთვის.

ანტარქტიკიდან, სავარაუდოდ, ფლოტის ნაწილი ჩრდილოეთით აუყვავა სამხრეთი ამერიკის დასავლეთ ნაპირებს და კალიფორნიამდე მიაღწია. ნაწილი აღმოსავლეთის გზიდან შინ დაბრუნდა, გზად კი ავსტრალიაში შეჩერდა. ამასობაში ფლოტის მესამე ნაწილი კაბო-ვერდედან კარიბის ზღვის აუზში გაემგზავრა და თანამედროვე აშშ-ისა და კანადის აღმოსავლეთ სანაპიროებს მიაღწა. აქედან გრენლანდიისა და ისლანდიისკენ აიღო გეზი და სამშობლოში არქტიკის (ჩრდილოეთ ყინულოვანი) ოკეანით დაბრუნდა. 1423 წლის შემოდგომაზე, ორ-ნახევარი წლის მოგზაურობის შემდეგ, უკანასკნელი ზომალდები ჩინურ პორ-

ტში შევიდნენ. ამდენად, მაგელანამდე საუკუნით ადრე ჩინელებმა მსოფლიო მოიარეს.

ამ ყოველივეს სარწმუნოს ხდის მენზიესის მიერ მოხმობილი არაერთი მტკიცებულება. ის მიგვითითებს რუკებზე, კვეთილ ქვებზე, გემებზე შემორჩენილ ფლორასა და ფაუნაზე და დნმ-ის ანალიზზე. მაგალითად, კორეაში შედგენილ ე.წ. რიუკოკუს რუკაზე, რომელიც 1403 წლით თარიღდება, მაგრამ 1420-იან წლებშია გადაკეთებული, აფრიკის დასავლეთი სანაპირო ისეთი სიზუსტით არის მოხაზული, რომ მის შემდგენელს უეჭველად კონცხის ირგვლივ უნდა გაეცურა. ასევე დარჩენილია ჩინური, მაკუნის რუკის ფრაგმენტი, რომელიც ექსპედიციის მერეა შედგენილი და სამხრეთ აფრიკის სანაპიროებზე ჩინელთა მოგზაურობას აღნუსხავს.

არაერთი ძველი ევროპული რუკა ისეა შედგენილი, რომ მნახველს თავგზას აუბნევს, რადგან ბევრი რამ არასწორად გილხვება ნაჩვენები, ბევრიც საერთოდ გამოტოვებულია. ეს რუკები ბევრად ადრეა შედგენილი, ვიდრე დიდი პორტუგალიელი და ესპანელი მოგზაურები გაუდგებოდნენ გზას და იმ მიწებს აღმოაჩენდნენ, რაც მანამდე მიუკვლეველ ადგილებად მიიჩნეოდა. თუმცა არც ერთი ეს ევროპული რუკა არ მიუთითებს, რომ ესა თუ ის აღ-

ნიშნული ადგილი ჩინელებს უკვე მონახულებული ჰქონდათ, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ჩინეთის იმპერიის ეკონომიკურ, სამეცნიერო და საზღვაო ძლიერებას, გასაკვირად აღარავის მოეჩვენება, რომ პირველმოგზაურები სწორედ ჩინელები ყოფილიყვნენ.

თუკი ეს არგუმენტი მართებულია, მეორე საკითხი წამოიწვევს წინა პლანზე — როგორ მოხვდა ეს ინფორმაცია ჩინეთიდან ევროპაში. ვილაცას ზომ უნდა ჩაეტანა ევროპაში რუკების ასლები. თუ მართლაც ასე მოხდა, პასუხისმგებლობა არაბ მეზღვაურებს უნდა დაეკისროს. ისინი არაბული სამყაროდან ჩინეთამდე დაცურავდნენ და აზიიდან ვენეციაში ძირითადად სანელებლები ჩაჰქონდათ, ევროპიდან და აფრიკიდან კი აზიაში საქონელს ეზიდებოდნენ. სავსებით სარწმუნოა, თუ ამ ამბავს მათ მივაწერთ, რადგან არაბები ჩინურ ცოდნას ფართოდ იყენებდნენ.

მიუხედავად ყველაფრისა, ამ აღმოჩენებს ჩუუ დისთვის არავითარი სარგებელი არ მოუტანია, პირიქით, უზარმაზარი ფლოტის შექმნა და აკრძალული ქალაქის აშენება ჩინეთის ეკონომიკას დიდ ტვირთად დააწვა. ხორბლეულის სიმცირემ მთელ იმპერიაში მცირე ამბოხებებიდან დიდ აჯანყებამდე მიიყვანა ზოგიერთი პროვინცია. როდესაც 1424 წელს ჩუუ

ლეიფ ერისონი ამერიკის აღმოჩენის დროს (კოლუმბამდე ხუთი ასწლეულით ადრე). კრისტიან კრონგი, 1893



დი გარდაიცვალა, ახალი იმპერატორი და მისი მრჩეველები მივიდნენ დასკვნამდე, რომ დამუხრუჭების დრო იყო. უამრავი ედიქტი გამოიცა, რომელიც ზღვისიქითა მგზავრობასა და ვაჭრობას კრძალავდა. გემთმშენებლობა შეწყდა, ასე რომ ჩვენ პეს მოგზაურობებიც დასასრულს მიუახლოვდა. ჩინეთი საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტა.

კითხვა, ვინ მიაღწია პირველმა ამერიკას, მაინც პასუხგაუცემელი რჩება. ვინლანდის XV საუკუნის რუკაზე ამერიკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაპირია აღნიშნული. მას ლათინური ლეგენდა მოჰყვება ვინლანდის კუნძულზე, რომელიც ვიკინგებმა ბიარნიმ და ლეიფმა აღმოაჩინეს. სიმართლე რომ ვთქვათ, ეს ამერიკის უძველესი რუკაა და აშკარად თანხვდება X საუკუნის ვიკინგი მკვლევრის, ლეიფ ერიქსონის ამერიკაში მოგზაურობას. პერგამენტი, რომელზეც რუკაა გამოსახული, აშკარად შუა საუკუნეებისაა და ის კოლუმბის მოგზაურობამდე, 1492 წლამდე უნდა იყოს შექმნილი, რაც 2002 წელს რადიონახშირბადული ანალიზით დათარიღებით დადასტურდა.

საკამათო მხოლოდ მელნის ასაკი რჩება, რომლითაც რუკაა შედგენილი. ზოგიერთი კვლევით დგინდება, რომ მელანი ისეთ ქიმიური კომბინაციითაა დამზადებული, რაც 1920 წლამდე უცნობი იყო. ამით რუკის ნამდვილობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. კალიფორ-

ნიაში დაბადებული ნორვეგიელი ისტორიკოსი კირსტენ სივერი ვინმე გერმანელ იოზეფ ფიშერზე მიგვითითებს, გამყალბებელზე, რომელიც შუა საუკუნეების ისტორიით იყო დაკავებული და იეზუიტადაც მსახურობდა. ეს შესაძლოა 30-იან წლებში ნაცისტების მიერ პროპაგანდირებული სკანდინავიის ისტორიისადმი პროტესტის ნიშნად ყოფილიყო გაკეთებული. ზოგს კი მიაჩნია, რომ იმავენაირი ნაერთის კვალი არაერთ ეჭვმიუტანელ შუა საუკუნის დოკუმენტშია ნაპოვნი და ეს უბრალოდ დამთხვევის ან გაყალბების ფაქტად არ უნდა მივიჩნიოთ. მელნის ასაკის დამდგენი რადიონახშირბადის ანალიზი ბევრ რამეს კი მიუჩენდა თავის ადგილს, მაგრამ როცა მცირე რაოდენობის მელანთან გვაქვს საქმე, თანამედროვე ტექნოლოგიასაც უძნელდება ნამდვილობის ასპროცენტუანი დადგენა.

ჩინელების მიერ ამერიკის აღმოჩენას ბევრი რამ ამტკიცებს, მაგრამ საკამათოც ბევრია. ასეა თუ ისე, ჩვენთვის ნაცნობ პირველადმოჩენებამდე ბევრად ადრე დასახლდა ამ მიწებზე ხალხი. ვარაუდობენ, რომ მომთაბარე ტომები აზიიდან სახმელეთო ხილით მოხვდნენ ჩრდილოეთ ამერიკაში ან ზღვით გადავიდნენ გამყინვარების პერიოდში.

National Geographic-ის გამოცემა „ისტორიის საიდუმლოებანი“ მიხედვით მოაზნადა ლევან ინასარიძემ

ჩვენ პეს მემორიალური სასახლე ჩინეთში



შეიქმნეთ გაზათ „**ყველა სიასლთან**“
ერთად ყოველ ოთხშაბათს!

„100 ფაქტი, როგორც უნდა იცოდეთ!“

წიგნების სერია ყველა ასაკის მკითხველისათვის



შემდეგი წიგნები:

ალამიანის სხეული

ვიკინგები

და სხვა საინტერესო თემები

შეამოწმე შენი ცოდნა
სანალისო გამოცანებით
და დავალებებით!

6-დან 13 ივნისამდე
წიგნი 14

წიგნის ფასი: 3 ლარი
გაზაფხულის ერთად: 4 ლარი

სიასლა



**გააფართოვე შენი
თვალსაზრისი!**

ბლადიატორები
რომი

სისხლიანი თაგაზები

გლადიატორთა სისხლიანი ბრძოლა საუკუნეთა განმავლობაში წარმოადგენდა ძლევა მოსილი რომის ყველაზე საყვარელ გასართობსა და არანაკლებ პოპულარულ სანახაობას. ამ ბრძოლათა შესახებ არაერთი ნაწარმოები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმია შექმნილი, მაგრამ კინემატოგრაფი ხშირად ისტორიულ სინამდვილესა და რეალობას ცვლის და ალამაზებს. მაინც ვინ იყვნენ გლადიატორები — პროფესიონალი მკვლელები, სპორტსმენები თუ სისხლიანი არენის მსახიობები? არ არის დანამდვილებით ცნობილი, რომაელებმა თავად გამოიგონეს თუ ვინმესგან (საგარეულოდ, ეტრუსკებისგან) გადაიღეს გლადიატორთა შერკინება. თუმცა გლადიატორთა სახელი ყოველთვის რომთან ასოცირდება.



ისტორიული ცნობების მიხედვით, ორთაბრძოლები თავდაპირველად გასართობად არ ეწყობოდა და მათ მხოლოდ წმინდა რელიგიური რიტუალის დანიშნულება ჰქონდათ.

გლადიატორთა ბრძოლების პირველი ცნობები ქრისტეშობამდე III საუკუნიდან ჩნდება. ძვ. წ. 264 წელს მდინარე ტიბროსთან რომაელი დიდებულის, ვინმე ბრუტუს პერიას სახეიმი დაკრძალვისას მისმა ვაჟებმა მამის პატივსაცემად ტყვე მემორების სამი წყვილი ერთმანეთს შეაბრძოლა. აქედან მოყოლებული, ისტორიულ დოკუმენტებში ხშირდება ცნობები სარიტუალო სისხლიანი ბრძოლების შესახებ. გლადიატორთა შერკინება, როგორც წესი, გარდაცვლილის საფლავთან ან ნეშტის დასაწვავ კოცონთან იმართებოდა. რომაელთა რწმენით, მათთვის დადუპული მემორის სისხლი იმქვეყნიურ ავტორიტეტს განაპირობებდა. ამიტომ წარჩინებული რომაული ოჯა-

ხები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რაც შეიძლება ამდღევანდელ და სისხლიან სანახაობად ექციათ ახლობელი ადამიანის დაკრძალვა. გლადიატორთა შერკინება დღითი დღე იხვეჭდა პოპულარობას. ჭკვიან და ანგარებიან რომაელებში მაშინვე გაჩნდა სასიკვდილოდ მებრძოლებზე ფსონების დადებისა და ფულის შოვნის იდეა. მალე სისხლიანი სარიტუალო შერკინება პირველ ტოტალიზატორადაც იქცა და რომაელთა საყვარელ გასართობადაც. სასიკვდილოდ განწირული მემორების ორთაბრძოლებმა დაკრძალვის რიტუალებიდან ამფითეატრებსა და ქალაქის მოედნებზე გადაინაცვლა. მთელი რომის სახელმწიფო სისხლიანი ბრძოლების სცენებით მოიფინა.

ძვ. წ. I საუკუნიდან ოქტავიანე ავგუსტუსმა რომის რესპუბლიკა მსოფლიო იმპერიად გამოაცხადა და ყველა და ყველაფერი საკუთარ ტახტს დაუქვემდებარა. აიკრძალა მსგავსი



ძველი რომის თანამედროვე რეკონსტრუქცია

ბრძოლების იმპერატორის ბრძანების გარეშე გამართვა, ეს სანახაობა არა რიტუალად, არამედ ოფიციალურ ღონისძიებად და რომის სიძლიერის სიმბოლოდ იქცა. ამით გლადიატორთა ბრძოლების ისტორიაში ახალი, გრანდიოზული ეპოქა დაიწყო. გლადიატორები ერთგვარ სპორტსმენებად გარდაიქცნენ, მათი სისხლიანი სპორტი კი რომაელთა უსაყვარლეს სანახაობად. მასში მაშინვე ჩაიდო პოლიტიკური აზრი. გლადიატორთა ბრძოლებით, რომლებშიც თავიდან ძირითადად სიკვდილიმისჯილები და სამხედრო ტყვეები მონაწილეობდნენ, რომის იმპერატორი ყველას ანახვებდა სამყაროს ერთგვარ მოდელს, რომ მათ მსგავსად, იმპერატორის ნებაზე იყო დამოკიდებული მრავალი ტომისა და სახელმწიფოს ბედ-იღბალი. ბრძოლაში მხეცების ჩართვა იმპერიის მიერ ბუნების ფლობასაც ნიშნავდა. ამგვარად, ბუნების ძალებიცა და ადამიანთა სიცოცხლაც

რომაელებზე, უპირველესად კი იმპერატორის ცერზე იყო დამოკიდებული.

მცირე სცენები და ამფითეატრები ვეღარ იტევდა სასიკვდილო სანახაობით აღფრთოვანებულ ბრბოს და შენდებოდა ახალ-ახალი გრანდიოზული ნაგებობები. სულ რომის იმპერიაში 500-ზე მეტი ამფითეატრი არსებობდა, მათგან დაახლოებით 200 დღემდეა შემორჩენილი. მასშტაბებით გამოირჩეოდა პომპეის 24 000-ადგილიანი, ელ-დიემის (თანამედროვე ტუნისი) 70 000-ადგილიანი ამფითეატრები. უმთავრეს არენად კი რომის ლეგენდარული კოლიზეუმი იქცა. ყველა იმპერატორის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი იყო, რაც შეიძლება მეტი და მძაფრი სანახაობა ეჩვენებინათ ქვეშევრდომთათვის. ეს სურდა დატაკი რომაელების უმრავლესობასაც, მათ იმპერატორისადმი ორი მოთხოვნა ჰქონდათ — პური და სანახაობა!

რომის კოლიზეუმში სხვადასხვა დროს დაახლოებით 300 ათასი სიკვდილმისჯილი, მონა და პროფესიონალი გლადიატორი დაიღუპა



107 წელს იმპერატორმა ტრაიანემ ერთმანეთს 11 ათასი გარეული მხეცი და 10 ათასი გლადიატორი შეაბრძოლა. ათასობით გლადიატორი და ნადირი გაწყდა მოძვენო წელსაც, როცა მისი ბრძანებით სისხლიანი წარმოდგენები 117 დღეს გაგრძელდა. იმპერატორმა ტიტუსმა 88 წელს ააგო გლადიატორთა ბრძოლების სიმბოლო — რომის კოლიზეუმი, იმპერატორმა ნერონმა კოლიზეუმის არენაზე ათასობით ქრისტიანი დააგლეჯინა მხეცებს. იმპერატორი კომპულუსი კი ნამდვილ სასწაულებს ჩადიოდა და 1200(!) ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა.

დიდ მოთხოვნილებას მხოლოდ სამხედრო ტყვეებისა და სიკვდილმისჯილების ბრძოლა ვეღარ აკმაყოფილებდა და გლადიატორობა პროფესიად იქცა. სულ უფრო მეტი რომაელი და არარომაელი ხდებოდა გლადიატორი ნებაყოფლობით, ყალბდებოდა გლადიატორთა ოფიციალური კლუბები და სკოლები. რა თქმა უნდა, სკოლების გამრავლებასა და განვითარებას იმპერატორებიც უწყობდნენ ხელს. ამას მათთვის პოპულარობაც მოჰქონდა და ხალხის მხარდაჭერაც.

გლადიატორთა სკოლას ლუდუსი ერქვა. სხვადასხვა დროს იმპერიაში ასობით პატარა და ოთხი დიდი სკოლა არსებობდა, მათგან ყველაზე დიდი იყო რომის ლუდუს მაგნუსი, რომელიც მიწისქვეშა გვირაბებით პირდაპირ კოლიზეუმის არენას უკავშირდებოდა.

რამდენიმე წლის წინ არქეოლოგიური გათხრებისას იტალიასა და ყოფილი რომის იმპერიის ტერიტორიაზე გლადიატორთა რამდენიმე სასაფლაო აღმოაჩინეს. მათგან ყველაზე საინტერესო პომპეისა და ეფესოს (თანამედროვე თურქეთი) გლადიატორთა სამარხებია. იარაღის, გლადიატორთა ძვლებისა და წარწერა-ეპიტაფიების გამოკვლევებმა გლადიატორთა ცხოვრების სტილისა და შეიარაღების შესახებ არაერთი საინტერესო ფაქტი წარმოაჩინა. პირველი, რაც თვალში მოხვდათ არქეოლოგებს, გლადიატორთა ფიზიკური მონაცემები იყო. აღმოჩენილი ჩონჩხის უმეტესობის სიგრძე, სულ ცოტა, 180 სანტიმეტრი იყო, ზოგისა კი 2 მეტრსაც აღემატებოდა. გლადიატორებს მაყურებელზე შთაბეჭდილება, პირველ რიგში, ათლეტური

აღნაგობითა და ლამაზი სხეულით უნდა მოეხდინათ.

გლადიატორთა სკოლების ყველა თანამშრომელი და ინსტრუქტორი, როგორც წესი, ყოფილი გლადიატორები იყვნენ. უმეტესად, სახელმოხვეჭილი მებრძოლები აარსებდნენ ასეთ ორგანიზაციებს. სკოლები მკაცრი ყაზარმების მსგავსად იყო მოწყობილი. უმთავრესი ყურადღება იარაღით ბრძოლის სწავლებას, ფიზიკურ და ფსიქიკურ მომზადებას ეთმობოდა. როგორც გლადიატორთა ჩონჩხების გამოკვლევებით დადგინდა, მათ საუკეთესო პირობები, საკვები და სამედიცინო მომსახურება ჰქონდათ. იკვებებოდნენ უმაღლესი ხარისხის პროდუქტებით, აგრეთვე გაირკვა, რომ მათ დიდი რაოდენობით ადამიანის ძვლის ფქვილს აჭმევდნენ. დაჭრისას მათ საუკეთესო ექიმები უვლიდნენ. ლუდუსში მიღებული ყველა თავისუფალი და არათავისუფალი გლადიატორი ერთგულების ფიცს დებდა. ფიცის დადების დოკუმენტები დღემდე შემორჩენილია, აი, დაახლოებით ასეთია ერთი მათგანის შინაარსი:

„ჩვენ ვდებთ ფიცს, რომელიც ეუპოვობომა გვასწავლა, თავი გავწიროთ დასაწვავად, საცემად და იარაღით მოსაკვდინებლად, რო-

გორც ნამდვილმა გლადიატორებმა, ჩვენს სხეულსა და სულს მთლიანად ჩვენს მწვრთნელს ვუპორჩილებთ“.

ამის შემდეგ გლადიატორთა წვრთნა იწყებოდა, ურთულესი და უმკაცრესი. ახალბედებს მაკეტებსა და ბოძთან ავარჯიშებდნენ, შემდეგ ხის იარაღით აბრძოლებდნენ, ბოლოს კი ნამდვილი იარაღით ბრძოლას აჩვენებდნენ. მომავალი მებრძოლის დონიდან გამომდინარე, საკარანტინო სამწვრთნელო ვადა სამი თვიდან ერთ წლამდე გრძელდებოდა. შეიძლება ეს დრო ვინმეს ეცოტავოს, მაგრამ გლადიატორებს ფიზიკურად ძლიერი და მამაცი ახალგაზრდებისგან არჩევდნენ, მათ უმრავლესობას უკვე საბრძოლო გამოცდილებაც ჰქონდა. საკარანტინე ვადის დასრულებისა და ფიცის დადების შემდეგ გლადიატორის საბრძოლო ნათლობის ანუ სადებიუტო ბრძოლის დრო დგებოდა.

რომის იმპერიაში გლადიატორთა სანახაობისთვის წელიწადში დაახლოებით 90-95 დღე იყო გამოყოფილი. ამ დღეებისთვის ყველა საგულდაგულოდ ემზადებოდა. წინასწარ იწერებოდა სანახაობათა პროგრამა და გრაფიკი. არენაზე გამოსული მებრძოლების დოსიე, მათ მიერ გადახდილი ბრძოლების აღწერა;

გლადიატორთა ბრძოლა უძველეს რომაულ მოზაიკაზე






მონაქა ვლადიატორთა სკოლის კედელზე
ანტიკურ ქალაქ კურიონში, კუნძულ
კვიპროსზე

რომსა და სხვა ქალაქებში კი თამაშების შესახებ აფიშები იხატებოდა. სანახაობები კონცერტებით იხსნებოდა, ხოლო გლადიატორთა შერკინება ყველაზე შთამბეჭდავ დასკვნით ნაწილს წარმოადგენდა. პროგრამის დაგეგმვისას დიდი ყურადღება ექცეოდა, რომ ბრძოლები, განსაკუთრებით, ორთაბრძოლები, რაც შეიძლება მძაფრი, ხანგრძლივი და თანაბარი ყოფილიყო. ახალბედა გლადიატორები ძირითადად ჯგუფ-ჯგუფად იბრძოდნენ. მათ სასიცოცხლო რისკის ფასად ავტორიტეტი თანდათან უნდა გაეუმჯობესებინათ. საუკეთესო სანახაობა იყო ორთაბრძოლები, როცა ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ყველაზე ცნობილი გლადიატორები. თანაბარი ბრძოლა უმეტეს შემთხვევაში დიდხანს გრძელდებოდა, სანამ ერთ-ერთი გლადიატორი ან სასიკვდილოდ არ დაიჭრებოდა, ან დაფარდებოდა, ან თავად არ იტყოდა უარს ბრძოლის გაგრძელებაზე. ამ დროს საქმეში მსაჯი ერეოდა და ბრძოლას წყვეტდა. დგებოდა გადაწყვეტი მომენტი, როცა დამარცხებულის ბედი ხალხსა და იმპერატორს უნდა გადაეწყვიტა. თუ გლადიატორმა მამაცურად იბრძოლა და ავტორიტეტიც სარგებლობდა, გადარჩენის დიდი შანსი ჰქონდა, მაგრამ თუ სამარცხვინოდ დამარცხდებოდა, მას უმეტესად არავინ ინდობდა. ჯერ მაყურებელს, საბოლოოდ კი იმპერატორს ცერა თითის აწვეით ან დაწვეით უნდა გადაეწყვიტა დამარცხებული გლადიატორის სიკვდილ-სიცოცხლე.

დღემდე შემორჩენილი გარდაცვალების დოკუმენტების მიხედვით, დაღუპულ გლადიატორთა უმრავლესობა ახალბედა იყო. ამის მიზეზი იყო მათი გამოუცდელობაც და ავტორიტეტიც. რაც უფრო კარგი სახელი ჰქონდა გლადიატორს, მით მეტი იყო გადარჩენის შანსი. უამრავია ცნობა ხალხის მიერ დამარცხებული გლადიატორის დანდობისა. საერთო ჯამში, გლადიატორთა ბრძოლები არ ყოფილა მთლად ისეთი სისხლიანი, როგორც კინოფილმებშია ნაჩვენები. ისტორიკოსთა გამოანგარიშებით, არენაზე დაღუპულთა რაოდენობა მთლიანად გლადიატორების 20-30%-ს არ აღემატებოდა. ანუ სასიკვდილო არენაზე გასულ მებრძოლს გადარჩენის 70-80%-იანი შანსი ჰქონდა. გლადიატორების გაწვრთნა და მათი მოვლა-პატრონობა უდიდეს ფინანსებს საჭიროებდა. კარგი მეომარი ძვირად ფასობდა და გლადიატორებით ისე ვაჭრობდნენ, როგორც დღეს ცნობილი საფეხბურთო კლუბები ფეხ-



არენაზე ყველაზე პოპულარული ორთაბრძოლა — ორი განსხვავებული მებრძოლის, რეტიარიუსისა და სეკუტორის შერკინება



კულისებში მომსახურე პერსონალს უამრავი საქმე ჰქონდა, ეჭიმები დაჭრილებს ეხმარებოდნენ, სხვებს კი გვაშები გაჰქონდათ



კოლიზეუმის ტრიბუნები სისხლიანი თამაშების დროს

ბურთელებით. ამ მიზეზითაც და ადამიანური მოწყალების გამოც, დამარცხებულ გლადიატორებს სიცოცხლის შანსი რჩებოდათ. უფრო შთამბეჭდვითა არა დაღუპულთა წილი, არამედ მათი რიცხვი. სხვადასხვა გამოთვლით, სანახაობებს დაახლოებით 2 მილიონი სიკვდილმისჯილი, სამხედრო ტყვე და თავისუფალი მებრძოლი შეეწირა, მათგან დაახლოებით 300 ათასმა კოლიზეუმის არენაზე პოვა აღსასრული.

თავიდან, როდესაც გლადიატორებს მხოლოდ სიკვდილმისჯილები და სამხედრო ტყვეები შეადგენდნენ, მათ სახეობებად არ ჰყოფდნენ და ეთნიკური ნიშნით არჩევდნენ. ძველ პროგრამებში მითითებულია მებრძოლების ხარისხი: ესპანელი, გალი, აფრიკელი, თრაკიელი და სხვ. პროფესიონალ მებრძოლთა მატებამ, სანახაობისა და სამხედრო ხელოვნების განვითარებამ გლადიატორთა ბრძოლები დახვეწა და ახალ სიმძლავრეზე აიყვანა. ჩამოყალიბდა მებრძოლთა სხვადასხვა სტილი და ტიპაჟები:

თრექსი — ფართა და მოკლე მოღუნული მახვილით მებრძოლი;

პომლომახუსი — პატარა ფართი აღჭურვილი შუბოსანი;

სეკუტორი — მძიმე ქვეითი;

მურმილო — სეკუტორის მსგავსი დიდი ფართა და მახვილით აღჭურვილი მეომარი;

რეტარიუსი — სასროლი ბადითა და სამკაპით შეიარაღებული მსუბუქი მებრძოლი.

არენაზე ყველაზე მეტჯერ ერთმანეთს სასროლი ბადით აღჭურვილი რეტარიუსი და დიდი ოთხკუთხა ფართა და მახვილით მებრძოლი სეკუტორი შეხვედრიან. ბრძოლები ისე არ ჩაივლიდა, ასეთი წყვილი ერთხელ მაინც

არ შეებოდა ერთმანეთს. ამ ორი რადიკალურად განსხვავებული მეომრის ორთაბრძოლები ყოველთვის დაძაბული და საინტერესო იყო, ხოლო შანსები — 50/50. რომის იმპერატორები სხვადასხვა სისტემის მეომართა შებრძოლებით თამაშებსაც უფრო საინტერესოს ხდიდნენ და იმპერიის ძლევამოსილებითაც ამაყობდნენ, რომ მას უამრავი სხვადასხვა საბრძოლო სტილის ხალხი ემორჩილებოდა.

უმართებულა დაძვირებული აზრი, რომ რომის იმპერიაში გლადიატორობა არაპრესტიჟულ პროფესიად და სამარცხვინო საქმიანობად ითვლებოდა. ერთი შეხედვით, გლადიატორებს ფულისთვის მებრძოლ ანგარებიან მკვლელებად და დაბალი წრის მასად მიიჩნევდნენ. ყოფილ გლადიატორებს ეკრძალებოდათ ჯვარში სამსახური და სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საქმიანობა. მეორე მხრივ, უდიდესი იყო სახელოვან გლადიატორთა ავტორიტეტი. მათ ყოველთვის უამრავი გულშემატკივარი, თავყვანისმცემელი და საკუთარი „ფანკლუბებიც“ კი ჰყავდათ. ზოგი სახელმისწველელი მებრძოლის ფინანსური შემოსავალი, რამდენიმე ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, ბევრად აღემატებოდა რომის ლეგიონში მომსახურე ჯარისკაცის მთელი წლის ხელფასს. უკვე ყოფილ ცნობილ გლადიატორებს ბრძოლებისთვის თავის განებების შემდეგაც არ ექმნებოდათ სამსახურის პრობლემა. ისინი სამართლიანად მიიჩნეოდნენ სისხლიანი ორთაბრძოლების დიდოსტატებად და გლადიატორთა სკოლების საბრძოლო ინსტრუქტორებად, თავისუფალ ფარიკაობის მასწავლებლებად, ფიზიკური მომზადების ხელმძღვანელებად ინიშნებოდნენ.

როგორც ითქვა, ყოფილი სამხედრო ტყვე-

ები, სიკვდილმისჯილები და ურჩი მონები თანდათან შეცვალეს ნებაყოფლობით მებრძოლმა პროფესიონალებმა. II საუკუნისთვის მათი რაოდენობა 50%-ს ასცდა, შემდეგ კი იძულებით გლადიატორთა მხოლოდ 20% თუ იბრძოდა და მათაც თავისუფლების საკმარისი შანსი ჰქონდათ. ისიც სიცრუეა, თითქოს ტყვე გლადიატორებს თავისუფლების მოსაპოვებლად უამრავ ორთაბრძოლაში გამარჯვება და მრავალწლიანი ტანჯვით სავსე ცხოვრება ელოდათ. როგორც წესი, თუ გლადიატორი სიკვდილმისჯილი ან ურჩი არ იყო, მას დაახლოებით სამ წელიწადში აძლევდნენ სრულ თავისუფლებას. მაგრამ არც ეს სამი წელიწადი იყო ადვილად გასაძლები და მხოლოდ ფიზიკურად და მორალურად ძლიერი მებრძოლები თუ აღწევდნენ სანატრულ თავისუფლებას. იყვნენ ისეთი სახელოვანი გლადიატორებიც, რომლებიც თავისუფლებას საკუთარი პროფესიონალიზმით, სიმამაცით, არაერთ სისხლიან ორთაბრძოლაში მოპოვებული გამარჯვებითა და თევანწირვით, და რაც ყველაზე მთავარი იყო, მაყურებელთა უდიდესი სიყვარულით მოიპოვებდნენ. ასეთი დამსახურებული გლადიატორები პირადად რომის იმპერატორებისგან იღებდნენ სიმამაცით მოპოვებული თავისუფლების სიმბოლოს – ხის ხმალს! მიუხედავად იმისა, რომ გლადიატორობა ერთი შეხედვით არ მიიჩნეოდა ღირსეულ პროფესიად, ყველა ხის ხმლით დაჯილდოებული სიკვდილამდე უდიდესი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. ყოფილ გლადიატორთაგან ზოგი მშვიდად ცხოვ-

რობდა და სიკვდილამდე ჰყოფნიდა ბრძოლებით დაგროვებული არცთუ მცირე ქონება. თუმცა გლადიატორთა უმრავლესობა აგრძელებდა სახიფათო ცხოვრებას. ყოფილი ვეტერანები თავად ხსნიდნენ გლადიატორთა სკოლებს და საკუთარი გლადიატორებიც ჰყავდათ.

ქრისტიანობის შემოსვლამ თანდათან შეამცირა სისხლიანი სანახაობის როლი. 325 წელს მსოფლიოს პირველი ქრისტიანული კრების შემდეგ იმპერატორმა კონსტანტინემ ოფიციალურად აკრძალა იძულებითი ორთაბრძოლები და ვინმეს გლადიატორობით დასჯა. თუმცა პროფესიონალი მებრძოლები მაინც ცდილობდნენ მის შენარჩუნებას. ქრისტიანობა, მზარდი ავტორიტეტით, ამკარად უპირისპირდებოდა მსგავს ცოდვილ სანახაობებს. 440 წელს ქრისტიანი ბერი ტელემაქოსი საბრძოლო არენაზე შევარდა და საკუთარი სიცოცხლის ფასად შეაჩერა ორთაბრძოლა.

476 წელს რომის იმპერიის დაცემით თითქმის მთლიანად აღიკვეთა მსგავსი სანახაობები. თუმცა რომის შემკვიდრე ბიზანტიაში კანტიკუნტად მაინც მოიხსენიება უკვე საკმაოდ არაპრესტიჟული სისხლიანი სანახაობა.

523 წელს კი უკვე აქა-იქ თუ იმართებოდა თითო-ოროლა ბრძოლა და მალე აიკრძალა კიდევც. გლადიატორთა სისხლიანი და ამაღელვებელი სანახაობა საბოლოოდ ჩაჰბარდა წარსულს... თუმცა გლადიატორებისადმი ინტერესი არ მინელებულა და მათ უამრავი მხატვრული ნაწარმოები, გამოკვლევა და კინოფილმი მიეძღვნა.

ბიოგრაფიკი



გამარჯვებული გლადიატორი ტრიუმფების გადაწყვეტილებას ელის



ყრმათა ქლეტა ბეთლემში ჰეროდე დიდის ბრძანებით

ბიბლიური ანტიბიბლიები

ბიბლიურ პერსონაჟებს შორის საზოგადოების ყურადღებას ძირითადად იმსახურებენ დადებითი გმირები. შედარებით იშვიათად საუბრობენ ბიბლიურ ანტიგმირებზე. მხოლოდ უფაღმა განსაჯოს, მიეტყუებათ თუ არა პილატე პონტოელს, სალომეას, ბარაბას, ჰეროდე ანტიპას თუ ჰეროდე დიდს თავიანთი ცოდვები, ჩვენ მხოლოდ გვინდა მათზე მოვითხროთ, მით უმეტეს რომ ისინი ისტორიულად დადასტურებული რეალური პიროვნებები არიან.

ჰეროდე დიდი

ჰეროდე დიდი იყო იუდეის მეფე — რომის კლიენტი (აქ: ძველ რომში არასრულუფლებიანი მოქალაქე, რომელიც უფლებრივად დამოკიდებული იყო თავის მფარველზე, „პატრონზე“). ძვ. წ. 40 წელს რომაელებმა ის „ებრაელთა მეფედ“ დანიშნეს. მან ცოლად მოიყვანა მარიაძნა I, ჰასმონეელთა დინასტიიდან, მიუხედავად იმისა, რომ ცოლი და სამი

წლის გაუიშვილი უკვე ჰყავდა. მალე ჰეროდე მთელი იუდეის მმართველი გახდა, დაიკავა იერუსალიმი და მიიღო ბასილევის ტიტული, რითაც საფუძველი ჩაუყარა ჰეროდიანთა დინასტიას და ჰასმონეელთა დინასტია დაასრულა.

ბიბლიის თანახმად, იესოს დაბადებისთანავე მასთან მივიდნენ მოგვები აღმოსავლეთიდან. მათ უთხრეს ჰეროდეს, რომ ეძებდნენ „ებ-

რაელთა მეფედ დაბადებულს“. ჰეროდემ მღვდელმთავრები და მწერლები შეკრიბა და ჰკითხა, სად უნდა დაბადებულყო „მირონცხებული“. მათ მიუგეს, რომ ბეთლემში. ჰეროდემ მოგვები ბეთლემში გააგზავნა და დააბარა, რომ მას მერე, რაც იპოვიდნენ, უკან დაბრუნებულიყვნენ მასთან და ეცნობებინათ ჩვილის ადგილსამყოფელი, რათა მასაც შესძლებოდა მისვლა და თავიანისცემა. რა თქმა უნდა, ეს ხრიკი იყო. ჰეროდეს შეეშინდა, რომ მისი ტახტის მოცილე დაიბადა ამქვეყნად და მისი მოკვდინება განიზრახა. მაგრამ ბიბლიის თანახმად, ანგელოზებმა გააფრთხილეს მოგვები და ისინი აღარ დაბრუნებულან ჰეროდესთან. მაშინ ჰეროდემ ბრძანა, ამოეხოცათ ორ წლამდე ასაკის ყველა ბავშვი ბეთლემში. ჰეროდეს სისასტიკე გასაკვირი და უჩვეულო არ არის მას შემდეგ, რაც მან თავისი ცოლისა და ორი ვაჟის მოკვლა ბრძანა ტახტის შეცილების შიშით.

ჰეროდე დიდი გარდაიცვალა ძვ. წ. 4 წელს. როგორც იოსებ ფლავიუსი გადმოგვცემს, მთვარის დაბნელების მეორე დღეს, ებრაელთა პასექამდე 29 დღით ადრე. ჰეროდემ, იმის შიშით, რომ არავინ დაიტირებდა, სიკვდილის წინ ბრძანება გასცა, იერიქონში მოეწვიათ წარჩინებული პირები და მისი სიკვდილის დროისთვის დაეხოცათ, — მოკლულთა ნათესაებს რომ ეტირათ ჰეროდეს სიკვდილისას. საბედნიეროდ, ჰეროდეს ვაჟმა არქელაოსმა და დამ, სალომემაც ყურად არ იღეს მისი სურვილი.

ჰეროდეს სიკვდილის შემდეგ რომმა მისი სამფლობელო ოთხ ნაწილად გაყო და ტეტრარქები (მეოთხეული ნაწილის მმართველები) ჩაუყენა სათავეში, მათ შორის იყო მისთვის სამუღველი ვაჟი, ჰეროდე ანტიპა, იესოს თანამედროვე იუდეის მეორე მეფე.

სადავოა, რატომ ეწოდა ჰეროდეს „დიდი“, რადგანაც დიდი და ღირსსახსოვარი მას ალბათ არაფერი მოუმიქმედებია, თუ არ ჩავთვლით იუდეველთათვის იერუსალიმის მეორე ტაძრის, ე.წ. ჰეროდეს ტაძრის აშენებას.

ჰეროდე ანტიპა და ჰეროდიადა

რომაელებმა ჰეროდეს ვაჟი არქელაოსი დანიშნეს იუდეის, სამარიისა და იდუმეის მმართველად ეთნარქის ტიტულით, ხოლო მისი ძმა ჰეროდე ანტიპა გალილეის ტეტრარქად. არქელაოსის მმართველობა მოგვიანებით რომმა პრეფექტით ჩაანაცვლა, ხოლო ჰეროდე მართავდა გალილეას ახ. წ. 39 წელს — მაც-



ჰეროდე დიდი

ჰეროდე ანტიპა



ხოვარი გალილეელი იყო, გალილევას კი ჰეროდე მართავდა და არა იუდეის პრეფექტი. პილატე ჰონტოელმა ხელი დაიბანა და იესო ჰეროდე ანტიპასთან გასასამართლებლად გაგზავნა, ხოლო ჰეროდემ იესო უკან დაუბრუნა იმ მოტივით, რომ ადამიანი, რომელიც თავის თავს იუდეველთა მეფეს უწოდებდა და ამით რომის მმართველობას უარყოფდა იუდეაში, სწორედ რომაელ პრეფექტს უნდა გაესამართლებიან.

ჰეროდე ანტიპა ბიბლიაში ცნობილია ასევე როგორც იოანე ნათლისმცემლის მკვლეელი. ბიბლიის თანახმად, ჰეროდეს იოანე ნათლისმცემლის სიკვდილი მაინცდამაინც არ სურდა, მაგრამ მისი ცოლის, ჰეროდეასა და გერის, სალომეას შხაკრობამ ჩაადენინა ეს დანაშაული.

მეფობის პირველ წლებში ჰეროდემ იქორწინა ნაბატეველთა მეფის ასულ ფასელისზე, მაგრამ ერთხელ თავისი ნახევარძმის, ჰეროდე ფილიპე II-ის ცოლი ჰეროდიადა (ჰეროდე დიდისა და მარიამა I-ის შვილიშვილი) დაინახა და მისი ცოლად მოყვანა განიზრახა. სწორედ ამის გამო კიცხავდა მას იოანე ნათლისმცემელი და სწორედ ამიტომაც, დედის ჩაგონებით სალომეამ ე.წ. „შვიდი პირბადის ცეკვა“ სანაცვლოდ

იოანე ნათლისმცემლის თავი მოითხოვა.

იესოს ჯვარცმის შემდეგ ჰეროდეს ტახტი შეერყა. გაიუს კალიგულას კარგი ურთიერთობა ჰქონდა აგრეპასთან, ჰეროდიადას ძმასთან. მან იგი დიადემით (სამეფო რეგალიით) დააჯილდოვა და აქცია არა უბრალო ტეტრარქად, როგორც ჰეროდე ანტიპა იყო, არამედ ნამდვილ მეფედ ფილიპე ტეტრარქის, ჰეროდე ანტიპას ძმის ტერიტორიაზე (ფილიპე სწორედ იმ დროს გარდაიცვალა). ჰეროდე ანტიპამ და მისმა მეუღლემ თავი ძალიან შეურაცხყოფილად იგრძნეს. მათ სალომეა მოხუც ფილიპეს იმ იმედით მიათხოვეს, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ტეტრარქია მათ დარჩებოდათ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ახ. წ. 39 წელს ჰეროდეს იმპერატორ კალიგულას წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა დააბრალეს და გალიაში, ლიონში გადაასახლეს, ჰეროდიადა მას ამ გადასახლებაში თან გაჰყვა. ჰეროდიადას, მის სასახელოდ უნდა ითქვას, ქმარი არც ძნელბედობის უამს მიუტოვებია. როდესაც კალიგულამ შეიტყო, რომ ანტიპას თანამეცხედრე აგრეპას ღვიძლი ძმის შვილი იყო, მაშინვე დაუბრუნა ქონება და პატივიც აღუდგინა, რადგან ცნობილია, რომ თავად კალიგულასაც ჰქონდა ინცესტისადმი

სალომეას „შვიდი პირბადის ცეკვა“ (ბენოტო გოცოლი, 1461-1462)



მიდრეკილება. მაგრამ ჰეროდიადამ ფუფუნებაზე უარი თქვა და მეუღლეს გაჰყვა გალიაში. უცნობია, როდის გარდაიცვალა იგი.

სალომეა

მართალია, სალომეა უშუალოდ იესოსთან დაკავშირებით არ არის ნახსენები ახალ აღთქმაში, მაგრამ მისი სახელი უკავშირდება იოანე ნათლისმცემლის სიკვდილს.

სალომეა იყო დედოფალ ჰეროდიადას ქალიშვილი პირეელი ქორწინებიდან და იუდეველთა მეფის ჰეროდე ანტიპას გერი. დედოფალმა ჰეროდიადამ იუდეველთა კანონი დაარღვია და ქმარს გასცილდა, რის შემდეგაც ცოლად გაჰყვა ჰეროდეს. ბიბლიის თანახმად, ამის გამო ჰეროდეს იოანე ნათლისმცემელი ხშირად კიცხავდა. ჰეროდიადა ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდა, რათა მასზე შური ეძია. ამ მიზნით კი მან თავისი შვილი სალომეა გამოიყენა. ერთხელ სალომემ მეფე ჰეროდესთვის იცეკვა და იცეკვა ისე, რომ მეფეს პირობა გამოსტყუა, რომ ყველა სურვილს შეუსრულებდა. ეს სცენა — „ჰეროდეს ღვინო“, გამოსახულია ორ ქართულ ტაძარში: სვეტიცხოველში, ტაძრის სამხრეთ ფასადის ერთ-ერთ ფრესკაზე და ბეთანიაში. ამ აფაზაკი და მაც-



ჰეროდიადა. პოლ დელაროში, 1843

დური ქალის ცეკვით გაბრუებულმა ჰეროდემ მას, მისივე სურვილისამებრ, იოანე ნათლისმცემლის თავი მიართვა. იმ დროიდან მოყოლებული, მსოფლიო ხელოვნებაში სალომეა მაცდურობის სიმბოლოდ მიიჩნევა და ბევრი ხელოვანისთვის (ტიციანი, ოსკარ უაილდი,

იოანე ნათლისმცემლის თავისეკეთა. ჯოვანი ბატისტა ტიეპოლოს ფრესკა, 1732





„მოგვეც ჩვენ ბარაბა“ — ილუსტრაცია 1910 წელს ნიუ-იორკში გამოცემული „ბიბლიური ისტორიებიდან“

რიპარდ შტრაუსი და სხვ.) შთაგონების წყაროდაც კი ქცეულა.

იოსებ ფლავიუსის მიხედვით, სალომეა იყო ჰეროდე ანტიპას გერიც და რძალიც, მისი ნახევარძმის ფილიპე ტეტრარქის ცოლი. მეორედ ის ცოლად გაჰყვა არისტობულე ქალკიდელს (ჰეროდე დიდისა და მარიამნას შვილი) და გახდა მცირე არმენიის დედოფალი ახ. წ. 55 წელს, როცა ნერონმა არისტობულე მცირე არმენიის მეფედ დანიშნა. მისი გამოსახულებით მონეტაც კი არის მოჭრილი, რაც ჰეროდინთა დინასტიისთვის იშვიათობას წარმოადგენს. სალომეა ხომ ჯერ ერთი, ქალი იყო და ერთმმართველი არც არასდროს ყოფილა. მონეტის შუბლზე გამოსახულია მისი ქმარი, არისტობულე, ხოლო ზურგზე — სალომეა.

ბარაბა

ახალი აღთქმის კიდევ ერთი საინტერესო პერსონაჟია ბარაბა. იგი მოხსენიებულია ოთხივე სახარებაში, ასევე „მოციქულთა საქმენიში“, სადაც მას იხსენიებს პეტრე მოციქული. საინტერესოა ბარაბას წოდების ეტიმოლოგია: ბარაბა (არამ. „ძე აბბასი“ ან ძე (შვილი) მამისა“ [აბბა-არამ. „მამა“], იესოც ხომ მამალმერთს „მამას“ უწოდებდა. სახარების რამდენიმე ადრეულ ბერძნულ ხელნაწერში მისი სახელიცაა მოხსენიებული — იესო. ამგვარად, მისი სრული სახელი იყო იესო ბარაბა (იესო ძე მამისა).

ბარაბა იყო რომაელთა წინააღმდეგ იუდეველთა აჯანყების მეთაური, ისევე როგორც

სიმონ ბარ-კობა. ამასვე ეთანხმება პაპი ბენედიქტე XVI-ც. რომის პაპმა თავის ახალ წიგნში უარყო ებრაელთა მასობრივი დანაშაული ქრისტეს ჯვარცმამი. მან განაცხადა, რომ ქრისტეს სიკვდილი მოითხოვა არა ებრაელმა ერმა, არამედ პილატესთან ბარაბას გამოსახსნელად მოსულმა მისმა მხარდამჭერებმა და ამას ეთანხმებოდნენ მღვდელმთაფრები. შეიძლება ამ შემთხვევაში ბრბოს მანიპულაციასთანაც გვქონდეს საქმე. თუ ბრბო ყვიროდა: „მოგვეც ჩვენს [იესო] ბარაბა“, რა განსხვავება შეიძლება აღინუსხოს ბრბოს ყვირილში: ვის გათავისუფლებას ითხოვს ბრბო — იესო ქრისტესი, რომელიც თავს ძე ღვთისას [მამისა] უწოდებს, თუ ავაზაკ ბარაბასი, რომელსაც ასევე იესო ჰქვია და წოდება აქვს — „ძე მამისა“. მღვდელმთაფრებმა როგორც ჩანს, წინასწარ გათვალეს, რომ რაც უნდა დაეძახა ბრბოში ვინმეს, იესო ნაზარეველი გაუშვითო და არა იესო ბარაბაო, მათი ყვირლის ნამდვილი არსის ინტერპრეტირება ადვილი იქნებოდა.

ისტორიული პერსონაჟებიდან ახალ აღთქმისეულ ერთი შტეხვით ანტიემირად წარმოგვიდგება ასევე პილატე პონტოელიც, თუმცა მისი ორგზის მცდელობის გამო, თავიდან აეცილებინა იესოსთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა, ის ზემოხსენებულ პერსონაჟებთან ერთად, ერთ კონტექსტში განსახილველად მაინც არ მიგვაჩნია.



ისლამი

მუჰამედი ილაშქრებს ქრისტეს, როგორც ღმერთის შვილის იდეის წინააღმდეგ, იგი ამტკიცებს, რომ ისლამი მოწოდებულია როგორც მსოფლიო რელიგია და თავის თავს მიიჩნევს არა მხოლოდ არაბთა, არამედ მთელი მსოფლიოს უპირველეს მოციქულად...

ისლამი, ანუ მუსლიმანობა ძირითადად გავრცელებულია არაბულ, თურქულ და სპარსულენოვან ქვეყნებში, მას ასევე აღიარებს ინდონეზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის მოსახლეობაც.

ისლამი არაბეთის ნახევარკუნძულზე VII საუკუნეში ჩაისახა. მისი ფუძემდებელი იყო ღვთის მოციქული მუჰამედი, წარმოშობით არაბი, ქალაქ მექადან. მას რამდენჯერმე გამოეცხადა გაბრიელ მთავარანგელოზი, რომლისგანაც მიიღო წმინდა წიგნის — ყურანის სურები. მუჰამედი არაფერს წერდა, მხოლოდ ქადაგებდა და მის ნაუბარს იწერდნენ მისი მოწაფეები. ეს ჩანაწერები დროთა განმავლობაში ფართოვდებოდა, იხვეწებოდა და ბოლოს ჩამოყალიბდა ერთი დიდი კრებულის სახით, რომელსაც ეწოდა ყურანი (საკითხავი წიგნი).

იგი არ გამოირჩევა მწყობრი სიუჟეტური აგებულებით, სავსეა ბუნდოვანი გამონათქვამებით, არც სურებია ქრონოლოგიურად დალაგებული. ყურანი შედგება 114 თავის ანუ სურისგან. მიჩნეულია, რომ იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა მუჰამედის მესამე მემკვიდრის — ოსმანის დროს 650 წელს და გამოცხადდა წმინდა წიგნად, ანუ ყოველი მუსლიმანის სავალდებულო კანონიკურ სახელმძღვანელოდ.

გავისხენოთ ძველი აღთქმის ერთი სიუჟეტი, რაც უშუალოდ უკავშირდება ისმაელიტელთა ანუ აგარიანთა ბიბლიურ წარმოშობას. ძველი აღთქმა გვამცნობს, რომ აბრაამს ჰყავდა უშილო ცოლი სარა. იმ დროში ზოგიერთ სემიტურ ტომში მიღებული ჩვეულების თანახმად, სარამ ნება დართო ქმარს, მოეყვანა მეორე ცოლი, რომელიც შვილს გააჩენ-



წინასწარმეტყველი მუჰამედი ქაბის წმინდა ქვასთან. არაბული მინიატიურა

მუჰამედის გამოსახულება XVII საუკუნის გერმანული გამოცემიდან



და და ოჯახს უმემკვიდრობას ააცილებდა, მეტიც, სარამ ასეთი ქალი თვითონ შეურჩია აბრაამს თავისი მოსამსახურის — აგარის სახით. აგარს აბრაამისგან შეეძინა ვაჟი, რომელსაც ისმაილი დაარქვეს. შვილიერებამ ისე გააამაყა აგარი, რომ სარას დაცინვაც კი დაუწყო. პასუხად სარამ აბრაამი აიძულა, დედაშვილი უდაბნოში განედევნა, სადაც უცილობელი დაღუპვა ელოდათ. მათთვის საბედნიეროდ, უდაბნოში დაყრილთ გამოეცხადათ ღმერთის ანგელოზი, რომელმაც დევნილთ მისცა წყალი, ანუგემა და შეჰპირდა, რომ ისინი გახდებოდნენ მსოფლიოს უდიდესი ხალხის ფუძემდებლები. ამ საფუძველზე ქართული წყაროები მუსლიმანებს ზმირად აგარიაზებად ან ისმაილიტებად მოიხსენიებენ.

მუჰამედი, როგორც ცნობილია, ძირითადად ქადაგებდა მექასა და მედინაში, მექის სურები ითვლება უფრო ადრეულ, ხოლო მედინისა — გვიანდელ პერიოდში ჩაწერილად. საგულისხმოა, რომ ყურანში ჩართულია ახალი ალთქმის სიუჟეტები, განსაკუთრებით კი აპოკრიფულ თხზულებათა ფრაგმენტები. მეცნიერთა ვარაუდით, იუდაისტურ და ქრისტიანულ წიგნებს მუჰამედი გაეცნო ზეპირსიტყვიერების საფუძველზე, რაც უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი ბიბლიის სიუჟეტების დამახინჯებისა და გადასხვაფერებისა.

მუსლიმანთა რელიგიურ წიგნად ითვლება აგრეთვე სუნა, რომელშიც მოთხრობილია მუჰამედის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ხადისების კრებული, როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, ძირითადად შედგენილია IX საუკუნის მუსლიმანი მღვდელმთავერების მიერ (თუმცა ყველა მუსლიმანი არ აღიარებს მას). სუნების მაღიარებლები შეადგენენ მუსლიმანთა უმრავლესობას და იწოდებიან სუნიტებად.

მუსლიმანური რელიგიის მკვლევართა აზრით, მუჰამედი უნდა ყოფილიყო რეალური პიროვნება, რომელიც ცხოვრობდა დაახლოებით 570-632 წლებში. უდავოა, რომ იგი ფლობდა მასების მიზიდვის განსაკუთრებულ თვისებებს. საწყის ეტაპზე დიდი გამარჯვება იყო მუჰამედის დროშის ქვეშ არაბეთის დიდი ნაწილის გაერთიანება.

ისლამის გავრცელებას განსაკუთრებულად უწყობდა ხელს ისტორიული პირობები. არაბეთი კულტურულად და ეკონომიკურად დიდად იყო დამოკიდებული ძველი შუამდინარეთის ქვეყნებზე, ამ სახელმწიფოთა საუკურო-

საქარაგნო გზები არაბეთზე გადიოდა, ხოლო მექის ოაზისი ერთ-ერთი საკვანძო პუნქტი იყო და მისი მცხოვრებნი, ყორეიშები, ამით დიდ სარგებლობას ნახულობდნენ. ამდენად, მექა გახდა არაბთა თავშეყრის ადგილი და მათი რელიგიური ცენტრი.

VI საუკუნის არაბეთში ქარაგნების მიმოსვლა შემცირდა, რაც საქარაგნო გზის აღმოსავლეთისკენ გადანაცვლებამ გამოიწვია. სასანიდური ირანის უშუალო ზეგავლენით, ამ ვითარებამ ეკონომიკური წინასწორობა დაარღვია. ბედუნები იძულებული გახდნენ მიწათმოქმედებისთვის ხელი მოეკიდათ, რამაც გამოიწვია ბრძოლა მიწის ხელში ჩასაგდებად. გაუთავებელმა შეტაკებებმა წინ წამოსწია სხვადასხვა ტომის გაერთიანების აუცილებლობა, რაც თავისთავად ითხოვდა შესაფერის იდეოლოგიას. ასე რომ, მუჰამედის მოღვაწეობისთვის ასპარეზი, ფაქტობრივად, მომზადებული იყო. ისლამის უძირითადესი თეზაა: „არ არსებობს ღმერთი, გარდა ალაჰისა“. მუჰამედის ქადაგებებს თავდაპირველად უნდობლად შეხვდა მოსახლეობა, ხოლო მუჰამედის თანამემამულენი — ყორეიშები მტრულად განეწყვნენ მის მიმართ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს უძველეს სიბრძნეს, რომ არ არსებობს წინასწარმეტყველი თავის სამშობლოში. მუჰამედს იმდენად დაუპირისპირდნენ მექაში, რომ იგი იძულებული გახდა, გაქცეულიყო. ამ ლტოლვას ჰიჯრა ეწოდება. იგი უნდა მომხდარიყო 622 წელს, რაც შემდგომში მუსლიმანთა წელთაღრიცხვის ამოსავალ თარიღადაა მიჩნეული.

630 წელს მუჰამედს მექა მთლიანად უჭვრდა მხარს, ხოლო ცოტა ხანში ის არაბული ტომების გაერთიანების უდიდეს ცენტრად იქცა. ყორეიშების დიდგვაროვნებმა, რომლებიც თავდაპირველად ეწინააღმდეგებოდნენ მუჰამედს, ახალ მოძღვრებაში ბევრი რამ თავისთვის სასარგებლო აღმოაჩინეს, დაუჭირეს მას მხარი და სულ მალე მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ.

ისლამის მოძღვრების მიხედვით, არსებობს მხოლოდ ერთადერთი და შეუცვლელი ღმერთი — ალაჰი, ხოლო „მუჰამედი მისი მოციქული“. მაჰმადიანობა აღიარებს ბოროტი ძალების არსებობას, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის ცოდვისმიერ საქმეთ. ქრისტიანული რელიგიის მსგავსად, აქაც ჩამოყალიბებულია იდეა სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ, ხოლო ალაჰი წინასწარ განსაზღვრავს ყოველი ადამიანის ბედს.



მექაში მიმავალი მუჰამედი დაფარული სახით. XVI საუკუნის ოსმალური მანუსკრიპტი

მუჰამედის ზეცად ასვლის (მირაჯი) ზეიმი. XVI საუკუნის სპარსული მინიატიურა



ყურანის მიხედვით, ღმერთი ადამიანს მიემსგავსება. მას აქვს განუსაზღვრელი უფლება, არის მიმტევებელი, მაგრამ ზოგჯერ სასტიკიც. ალაჰის ყოვლისშემძლეობა უეჭველია ნებისმიერი ორთოდოქსი მუსლიმანისთვის. ეს ყურანის უძირითადეი საფუძველია.

მაჰმადიანობის საწესწევულებო რიტუალი არ გამოირჩევა სირთულით, ყურანის უმთავრესი დებულებებია:

1. არ არის ღმერთი, გარდა ალაჰისა და მუჰამედი მისი მოციქული.
2. ხუთჯერადი ყოველდღიური ლოცვა — „სალათი“.
3. ღარიბთა სასარგებლოდ შეკრებილი თანხის შეტანა სალაროში, რომელსაც ეწოდება „ზეკიათი“.
4. რამაზანის თვეში მარხულობა.
5. მექისა და მედინის მოლოცვა (პილიგრიმობა).

ამ უმთავრესი წესების გარდა არის მისი თანმხლები რამდენიმე სახის ქმედება (მაგალითად, ლოცვამდე განბანა და სხვ.).

მუჰამედი ილაშქრებდა ქრისტეს, როგორც ღმერთის შვილის იდეის წინააღმდეგ, იგი ამტკიცებდა, რომ ისლამი მოწოდებულია, რო-

გორც მსოფლიო რელიგია და თავის თავს მიიჩნევდა არა მხოლოდ არაბთა, არამედ მთელი მსოფლიოს უპირველეს მოციქულად. ასე მიაჩნდათ ეს ფუნდამენტალისტ მუსლიმანებსაც.

მუსლიმანთათვის ისლამის გავრცელება უმთავრესი მიზანია. იგი უნდა მიიღოს ყველამ და თუ საჭირო იქნება, არ უნდა მოერიდონ უკიდურეს ზომებსაც კი.

ისლამი უარყოფს ასკეტიზმს, იწონებს სიცოცხლით ტკობას, უფრო სწორად, გულგრილი არ რჩება ამქვეყნიურ საამეთა მიმართ, ოღონდ მას უნდა ჰქონდეს დადგენილი ზღვარი; ოფიციალურად იძლევა ოთხი ცოლის ყოლის უფლებას; მუსლიმანები მარხულობენ მხოლოდ მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე, დანარჩენ დროს ეს აკრძალვა გაუქმებულია; განბანისთვის წყალი აუცილებელია, თუმცა უწყლობის დროს მას ცვლიან ქვიშით; მარხვის დაცვა საკვალდებულო არ არის სნეულთა და მოგზაურთათვის.

მუსლიმანები, ებრაელთა მსგავსად, მისდევენ წინადაცვითს წესს, იმ განსხვავებით, რომ ისინი არა ჩვილ ბავშვს, არამედ 5-7 წლის ასაკის მოზარდს უტარებენ ამ რიტუალს. მათ-

XVI საუკუნის ყურანი შირაზიდან (ირანი)





მუჰამედი მეჩეთში. XVI საუკუნის უცნობი ავტორი

თან სასტიკად იკრძალება ხატისა და ქანდაკებების თაყვანისცემა, რათა მორწმუნე კერპთაყვანისმცემლობისკენ არ გადაიხაროს. აკრძალულია ღორის ხორცის ჭამა და ღვინის სმა.

ისლამის ერთ-ერთი უმთავრესი მცნება არის ე.წ. საღვთო ომი, ჯიჰადი, რომელიც უნდა წარმოებდეს უღმერთოთა და მრავალღმერთიანთა წინააღმდეგ. უნდა განადგურდნენ ისინი და მათი მიწები შეუერთდეს მუსლიმებისას. ყურანის მე-2 სურის 186-ე, 187-ე და 189-ე მუხლები ამგვარი აზრის მატარებელია: იბრძოლეთ ალაჰის გზების მოწინააღმდეგეებთან, მოკალით ისინი, იბრძოლეთ მანამდე, ვიდრე ყველა რელიგია არ დაემორჩილება ალაჰს. არამუსლიმანი მუსლიმანისთვის ურწმუნოა, ჯიაურია (ანუ, როგორც ჩვენ გვესმის, „გიაური“).

საღვთო ომის — ჯიჰადის, ანუ პაზაფათის, სახელით, მუსლიმანური რელიგიის აპოლოგეტებსა და მესვეურთ არაერთხელ წამოუწყიათ გამანადგურებელი ომები როგორც სხვადასხვა ხალხის, ასევე პროგრესულ სოციალურ მოძრაობათა მიმართაც. მცირე მუსლიმანურ ქვეყნებში პაზაფათი ზოგჯერ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სახეს იღებდა.

ისლამის ეთიკა მარტივია, მისი ჰუმანური საფუძველი ემსგავსება იუდაისტური და ქრისტიანული რელიგიებისას. სამართლიანობა, მიმტკეპლობა, გულუხვობა, სიქველე — აი,

რა უნდა ახასიათებდეს ნამდვილ მუსლიმანს იმ წრეში, სადაც მას უხდება ცხოვრება.

ქალისადმი დამოკიდებულება ისლამში სათავეს იღებს პატრიარქალურ-გვაროვნულ ნიჰილიზმზე. ქალი ღმერთისგან შექმნილია მამაკაცისთვის, მის მსახურად და მის მომვლელად, თუმცა ყურანში ქალის უფლებებიცაა გათვალისწინებული; პასუხი მოეთხოვება სასტიკ ქმარს, დაცულია მისი ქონებრივი უფლება და სხვ. ისლამი უშვებს სოციალურ დიფერენციაციას, სიმდიდრეს, ვაჭრობას და სხვ.

მაჰმადიანობის გავრცელებას აღმაავალი ხასიათი მას შემდეგ მიეცა, რაც არაბეთში საყოველთაო რელიგიად გამოცხადდა. მუჰამედის შთამომავლებმა და მისი საქმის გამგრძელებელმა ხალიფებმა (ხალიფა — უმაღლესი საერო ხელისუფალი, ამავე დროს ითვლება მუჰამედის მოადგილედ): აბუ-ბაქარმა, ომარმა და ოსმანმა თავიანთი გაუმდებელი დაპყრობითი პოლიტიკის წყალობით მოახერხეს მეზობელი ქვეყნების დამორჩილება, თანდათანობით დაჰკვიდრდნენ ხმელთაშუა ზღვისა და წინა აზიის ქვეყნებშიც.

მსოფლიოს დიდ რელიგიებში არ მოიძებნება სარწმუნოება, სადაც განხეთქილება და აზრთა სხვადასხვაობა არ იყოს. გამონაკლისი არც ისლამია, სადაც მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ ბევრი სადავო საკითხი წამოიჭრა და საფუძველი დაედო სხვადასხვა განხეთქილებასა და სექტას.

ერთ-ერთი ყველაზე ადრეული სექტა იყო



მუჰამედი ალის თავის მემკვიდრედ აცხადებს. სუნიტები და შიიტები ამ ფაქტს სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევენ

შიიზმი. მასში აირეკლა ის პროტესტი, რომელიც არაბი დამპყრობლებისადმი ჰქონდათ ირანელებს.


რიგით მეოთხე ხალიფა ალი იყო მუჰამედის ნათესავი — ერთდროულად მისი ბიძაშვილი და სიძე. ალი და მისი მიმდევრები არ აღიარებდნენ შემდგომი ხალიფების კანონებს, რადგან ისინი მუჰამედის საგვარეულოს არ ეკუთვნოდნენ. ამ დაპირისპირების ნიადაგზე ალი მოკლეს მოწინააღმდეგეებმა, ხოლო მისი მომხრენი განდევნეს. ისინი იძულებული შეიქნენ, მოღვაწეობა სხვა ქვეყნებში განეგრძოთ. მათმა მოძრაობამ განსაკუთრებით ძლიერი ხასიათი მიიღო ირანსა და ერაყში და იგი მთლიანად მიმართული იყო არაბული ხალიფატის წინააღმდეგ. შიიტური გადმოცემის მიხედვით, ალი და მისი შვილები — ჰასანი და ჰუსეინი ის წმინდა ადამიანები არიან, რომლებიც ეწამნენ რწმენისთვის. ამ დღის აღსანიშნავად, უკიდურესი გლოვის გამოჟღავნების მიზნით შიიტები ყოველწლიურად მართავენ „შაჰსეი-ვაჰსეის“ რიტუალს და წმინდა მოწამეთა ტანჯვის აღსანიშნავად ეწევიან თვითგვემას; სხეულს სხვადასხვა მჭრელი საგნით იკაწრავენ და რკინის ჯაჭვებით იცემენ თავს.

შიიტები მუჰამედის მემკვიდრეებად მიიჩნევენ მის ნათესავებს და არა არჩეულ ხალი-

ფებს. ამიტომ უარყოფენ სუნას, რომელიც ძირითადად შეიცავს პირველი ხალიფების ხელმძღვანელობით შედგენილ მუჰამედის ცხოვრების ეპიზოდებს.

შიიტურ მიმდინარეობაში გაბატონებული გახდა მიმართულება, რომელიც აღიარებს თორმეტ კანონიერ იმამს (ძირითადად ალის ნათესავებს), მათგან მეთორმეტე იმამი გაურკვეველ ვითარებაში სადღაც იმყოფება, მაგრამ მას მოელიან როგორც მაჰდის — მხსნელს. ეს ყველაზე გავრცელებული მიმდინარეობა შიიზმისა განსაკუთრებით გაძლიერდა ირანში XVI საუკუნეში, სეფიანთა დინასტიის დროს. შიიტურ მიმდინარეობაში აღსანიშნავია ისმიალიტების სექტა, რომლის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ მათ იმამებში განსხეულებულია „მსოფლიოს სული“, ხოლო მათი დინასტია, რომელიც აგახანების სახელითაა ცნობილი, ფუფუნებით ცხოვრების აპოლოგიას ეწევა. ისმიალიზმში ჩაისახა ასასინების სექტა, რომელთაც არამუსლიმანთა ფანატიკური სიძულვილი აერთიანებდათ. საინტერესოა, რომ ფრანგულ ენაში მკვლელის აღმნიშვნელად იხმარება სიტყვა „ასასინ“. ამ მხრივ საგულისხმოა ქართულ პეტყველებაში დარჩენილი გამოთქმაც, რომელიც პირდაპირ უსვამს ხაზს ასასინთა სისასტიკეს: „რას დამადექი თავზე ასასივით“, — იტყვის კაცი, როცა მას ემუქრებიან. ორთოდოქსული ისლამის, ანუ სუნიზმის მიმდევრები მუსლიმანური სამყაროს უმრავლესობას შეადგენენ და იწოდებიან სუნიტებად. სექტები და მიმდინარეობანი სუნიტებთანაცაა, რომელთაგან აღსანიშნავია VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე წარმოშობილი მოძრაობა, მუთაზილების სახელწოდებით, რომელნიც მოძღვრების რაციონალურ ხასიათს წამოსწვენენ წინ. მას მხარს უჭერდა ზოგიერთი ხალიფაც. მუთაზილების მოძრაობას სასტიკი ბრძოლა გამოეცხადეს IX საუკუნეში.

VIII-IX საუკუნეში ჩამოყალიბდა ღვთისმსახურების ოთხი სკოლა (შაჰზაბი), რომელთაც მათი დამფუძნებლების სახელის მიხედვით ეწოდათ: ჰანიფიტები, შაფიიტები, მალიკიტები და ჰანბალიტები, რომელთაგან უკანასკნელი ფეხმოკიდებული იყო არაბეთის ბედუინთა ფენაში და გამოირჩეოდა რელიგიური დოგმატიკის უკიდურესი ფანატიზმით. მისი მსგავსი იყო მალიკიტების სკოლაც, რომელიც აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილში გაბატონდა. დანარჩენი ორი მიმდინარეობა, რომელიც



იسلامის სხვადასხვა დენომინაციების სკოლის (მაზჰაბის) გავრცელების არეალი მსოფლიოში

გავრცელდა მუსლიმანური სამყაროს უფრო კულტურულ ნაწილში, ხასიათდებოდა აღმსარებლობის ნაკლებად მკაცრი ფორმებით.

ამავე საუკუნეებში ისლამში ჩამოყალიბდა ნახევრად ბერული, მისტიკური მიმდინარეობა, რომელსაც სუფიზმი ეწოდა („სუფი“ ნიშნავს უხეში შალის ქსოვილს, რისგან შეკერილ სამოსსაც ატარებდნენ სუფიები). სუფიების წრიდან მომდინარეობენ მოხეტიალე ბერები, რომელთაც სათავეში ედგნენ დერვიშები. ეს ორდენი აღიარებული იყო როგორც შიიტების, ასევე სუნიტებისგანაც.

დროთა განმავლობაში სუფიზმს დაუკავშირდა ტარიკატების მოძრაობა, რომლებიც მუსლიმანებს მოუწოდებდნენ ე.წ. „წმინდა ომისკენ“. ამ მოძრაობამ დიდი გაქანება მიიღო კავკასიურ ომში, რომლებსაც მთიელები თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში ეწეოდნენ რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ.

რელიგიური წესი, ანუ შარიათი, არის ის მორალურ-ეთიკური საფუძველი, რაც საზოგადოებას ცხოვრებას ძირითად მიმართულებას აძლევს. ამიტომაც მუსლიმანი სასულიერო პირი საერო მოღვაწეცაა. მოლა სამღვდლო პირია, ამავე დროს, მასწავლებელია სასულიერო სკოლაში; ყადი მოსამართლეა, რო-

მელმაც საუკეთესოდ იცის შარიათის კანონები; მუფტა მაღალი სამღვდლო პირია, რომელიც შარიათის საკითხებში ავტორიტეტად ითვლება; ულემი უმაღლესი რელიგიური სკოლის მასწავლებელია, რომელიც ხალხს საჭირო განმარტებებს აძლევს რელიგიისა და სამართლის სფეროში. ზოგიერთ ქვეყანაში უმაღლესი სასულიერო პირი არის შეიხ-ულეისლამი, რომელიც ითვლება ხელმწიფის მრჩეველად.

სწავლება მუსლიმანურ ქვეყნებში ძირითადად რელიგიური მიმართულებით წარმოებდა, პირველდაწყებითი სკოლა, რომელსაც მექტა ეწოდებოდა, მეჩეთთან არსებობდა, ხოლო მედიის იყო უმაღლესი რანგის სასწავლებელი, ანუ აკადემია, სადაც ძირითადად ყურანსა და რელიგიურ ლიტერატურას ასწავლიდნენ. სწავლება არაბულ ენაზე მიმდინარეობდა.

მუსლიმანური თემი დიდ სიმდიდრეს ფლობს. შარიათის მიხედვით, მათი ეკლესიის მამული არ ექვემდებარება მიტაცებასა და გასხვიებას. ასეთი მიწები ძირითადად ხალიფებისა და ხელმწიფეების ნაწყალობევი იყო და სახელად ვაკეი ეწოდება.

(დასასრული მომდევნო ნომერში)

ელდარ ნადირაძე



ტუარები

საჰარის უღაბნოს მცხოვრებნი

საჰარის უღაბნოში ხალხთა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან რასობრივი, კულტურული და ენობრივი ნიშნით. საჰარის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ, ტიპურ მოსახლეობას წარმოადგენენ ცენტრალურ საჰარაში მომთაბარე ტუარელები. 2012 წელს მალიში მცხოვრები ტუარელები აჯანყდნენ და პროვინცია აზვალის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.



თითქმის ყველა ტუარევი ქალი წიგნიერია

ტუარელებზე უამრავი ლეგენდაა შეთხზული. ისლამის მიმდევრებისგან მათ მიიღეს სახელი „ტუარევი“, რაც ნიშნავს „ღმერთისგან განკიცხულს“. საპირისპიროდ ამისა, თავიანთ თავს ისინი უწოდებენ „იმოხაგის“, რაც ნიშნავს „თავისუფალს“, „დამოუკიდებელს“.

ტუარელებს შორის არიან არისტოკრატები, ვასალები და მონები. არისტოკრატები მალეები და ტანადები არიან, თეთრი კანი აქვთ. გამოირჩევიან ძალიან თავისებური ჩაცმულობითა და აღკანშულობით. ტუარევი მამაკაცის სამოსისთვის, რამაც იგი ცნობილი გახადა, ყველაზე დამახასიათებელი თეთრი ან ცისფერი ბამბის ქსოვილია. ისინი იფარავენ სახეს, ღია რჩება მხოლოდ თვალები. ამ ადათ-წესზე ეთნოგრაფებს მრავალი მოსაზრება გამოუთქვამთ. ერთ-ერთია ის, რომ იგი იცავს სასუნთქ ორგანოებს მშრალი ჰაერისა და ქარისგან. მაგრამ თუ ეს ასეა, საინტერესოა, მაშინ ქალები რატომ დადიან მის გარეშე იმავე პირობებში?

ამ კითხვის პასუხს იმ ლეგენდაში ვპოულობთ, რომელსაც აღნიშნულ წეს-ჩვეულებას უკავშირებენ. მრავალი წლის წინათ ტუარე-

გები ერთ-ერთი საომარი ლაშქრობიდან დაბრუნდნენ განადგურებული და დაუძღვრებული, თანაც ნადვლის გარეშე. მაშინ ქალებმა მოიძრეს სახიდან პირსაფარი, რომელსაც მანამდე თავად ატარებდნენ და ზიზლით უთხრეს მათ: „სირცხვილი თქვენ, დამარცხებულნი! ამიერიდან თქვენ უნდა დაიფაროთ სახე“.

დაახლოებით 18 წლის ასაკში, მცირე ოჯახურ ზეიმზე ბიჭი იღებს სახის საფარს და ამ მომენტიდან იგი ხდება მამაკაცი. მთელი ცხოვრება — არც დღე და არც ღამე — იგი აღარ იხსნის მას. თუ გახდა საჭიროება მისი გამოცვლისა, მამაკაცი ამას აკეთებს ბნელ კუთხეში, სადაც არავინ დაინახავს მის შიშველ სახეს.

ტუარეგებმა დღემდე შემოინახეს ლიბიელი დედის ძველი უფლება. ქალს მაღალი მდგომარეობა უკავია. უახლოეს ნათესავად და ბავშვების მფარველად ითვლება არა მამა, არამედ დედის ძმა.

ტუარეგი ქალები უფრო ხილდებიან წესჩვეულებებსა და თქმულებებს. წერენ ლექსებს. თითქმის ყველა ქალი წიგნიერია. მათი ავტორიტეტი იმდენად დიდია, რომ მათ მიერ ნათქვამმა ერთმა სიტყვამაც კი შეიძლება გამოიწვიოს მთელი ტომის ადვლეება.

ნოდარ ელიზაბარაშვილი
ლია მახავერიანი



მამაკაცები სახეს ბამბის ქსოვილით იფარავენ

ტუარეგთა სახალხო დღესასწაული — სბობა



საუკეთესო „წამალი“ ბიზნესისტვის

დღემი 9 კლიენტთან –
მსოფლიო იმპერია

საერთაშორისო საკონსულტაციო კვლევ
Interbrand-ის ჯერჯერობით ბოლო,
2011 წლის რეიტინგით, უკვე ზედიზედ
მეთორმეტედ, მსოფლიოს მოწინავე
ბრენდი „კოკა-კოლა“ გახდა (\$71,9
მლრდ). მას „აბიეგმი“ და
„მაიკროსოფტი“ მოჰყვებიან.
საუკეთესო ბრენდს სათავე საუკუნეზე
მეტი ხნის წინ ამერიკელმა
ფარმაცევტმა დაუდო. მის
განვითარებაში კი წვლილი არაერთმა
ნიჭიერმა ადამიანმა შეიტანა.

„კოკა-კოლა“ ჟურნალ „ტაიმის“ გარეკანზე,
1950 წლის 15 მაისი



სასმელი „კოკა-კოლა“ 1886 წლის 8 მაისს,
აშშ-ში, ჯორჯიის შტატის დედაქალაქ ატ-
ლანტაში ჯონ სტივტ პემბერტონმა გამოიგო-
ნა. 55 წლის ფარმაცევტი ბალახეულითა და
ორთქლის აბაზანებით მკურნალობის მომხრე
გახლდათ. მანამდე პემბერტონი „ფრანგული
კოკა-ლეინოს“ შექმნაზე მუშაობდა. სპირტი-
ანი სასმელი შედგებოდა კოკას ფოთლის, და-

მიანას ფოთლისა და კოლას კაკლის ექსტრაქ-
ტისგან. სასმელი ხსნიდა თავის ტკივილს,
ჰქონდა დამამშვიდებელი მოქმედება. რო-
გორც ამბობენ, პემბერტონმა ის კონფედერა-
ციის დაჭრილი ჯარისკაცებისთვის დაამზადა.
1885 წელს, ატლანტაში მშრალი კანონის შე-
მოღების შემდეგ, პემბერტონმა სასმლის უალ-
კოპოლო ვერსია შექმნა. მისმა ბუღალტერმა



ჯონ სტივტ
პემბერტონი



ასა გრიგს
კენდლერი

ფრენკ რობინსონმა ახალი სახელწოდება, „კოკა-კოლა“ შესთავაზა და ეს სიტყვები ლამაზი კალიგრაფიით დაწერა. რობინსონის შექმნილი ლოგოტიპი „კოკა-კოლას“ ბოთლებს დღემდე ამშვენებს.

პემბერტონმა თავისი ქმნილების „სამედიცინო ჩვენება“ გაახმაურა და ბაზარზე გაიტანა, როგორც „გემრიელი, გამამხნეველი“ სასმელი. რეკლამას უწევდა როგორც ტკივილგამაყუჩებელ, ნერვების დამამშვიდებელ საშუალებას. სამი წელი კოკას ფოთლებისა (რისგანაც მზადდება ნარკოტიკი კოკაინი) და ერთი წელი ტროპიკული კოლას კაკლისგან დამზადებული სასმელი დაპატენტდა, როგორც სამკურნალო საშუალება და ატლანტის უდიდეს აფთიაქში ავტომატში იყიდებოდა. შემქმნელი ირწმუნებოდა, რომ სასმელი იმპოტენციასაც კურნავდა, რომ მასზე გადასვლა შეუძლოთ მორფზე დამოკიდებულებს (თავად პემბერტონიც სამოქალაქო ომში მიღებული ჭრილობებით იტანჯებოდა და ტკივილს მორფით იყუჩებდა). უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ კოკაინის მყენებლობის შესახებ არაფერი იყო ცნობილი და ამდენად, არც იკრძალებოდა. გავისხენით კონან დოილის გმირი, შერლოკ ჰოლმსი, რომელიც უსაქმოდ ყოფნას კოკაინის ინიექციით ებრძვის...

თავდაპირველად ახალ სასმელს დღეში დაახლოებით ცხრა კაცი ყიდულობდა. პირველ წელს სასმლის წარმოება წამგებიანი იყო, მაგრამ თანდათან ის პოპულარული გახდა და რეალიზაციაც გაიზარდა. 1887 წელს პემბერტონმა სასმლის გამოშვების უფლება მიჰყიდა (და იმავე წელს გარდაიცვალა) ბიზნესმენ ასა გრიგს კენდლერს. ამ უკანასკნელმა 1892 წელს დააარსა კომპანია The Coca-Cola Company, რომელიც სასმელს დღემდე უშვებს. ათ წელიწადში „კოკა-კოლა“ აშშ-ში ყველაზე ცნობილი სასმელი გახდა, \$129-ათასიანი წლიური ბრუნვით. მაგრამ 1890-იან წლების ბოლოს საზოგადოებრივი აზრი კოკაინზე მკვეთრად უარყოფითად იცვლებოდა. როგორც გაზიჟები ამტკიცებდნენ, „კოკა-კოლა“ იყო დამნაშავე, რომ მისით გაჭყეპილი ზანგები თურქიანანებს ესხმოდნენ თავს. ამის შემდეგ სასმელში კოკას ნედლეფს კი არ უმატებდნენ, არამედ კოკაინისგან „გამოწურულს“.

სასმლის პოპულარობა გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა და გამოზონებიდან 50 წელიწადში ამერიკელებისთვის ერთგვარ ნაციონალურ სახედ გადაიქცა.



1890 წლის რეკლამა — XIX საუკუნის კოსტიუმში გამოწყობილი მოდელი ჰილდა კლარკი ქაღალტონებს მოუწოდებს, სასმელი სულ რაღაც 5 ცენტად იყიდონ

ზხა \$1-დან მილიარდმროგამდე

ასა გრიგს კენდლერი (1851-1929 წწ.) ირლანდიელი ღარიბი ემიგრანტი, ჯორჯიის შტატის ქალაქ ვილა რიკაში დაიბადა და ატლანტაში ჯიბეში 1 დოლარითა და 45 ცენტით ჩამოვიდა. კენდლერს ურყევად სწამდა, რომ ბედი გაუღიმიებდა. კარიერა აფთიაქარობით, დაპატენტებული მედიკამენტების წარმოებით დაიწყო. 1887 წელს „კოკა-კოლას“ გამოშვებისგან სასმლის ფორმულა \$2300-ად შეიძინა. მისი დაარსებული The Coca-Cola Company-ს საწესდებო კაპიტალი \$100 ათასი იყო. სასმლის წარმატება დიდად განაპირობა სწორედ კენდლერის აგრესიულმა მარკეტინგმა. მან იშოვა მილიარდები, დააფუძნა ცენტრალური ბანკი და სატრანსპორტო კომპანია, დიდ თანხებს დებდა უძრავ ქონებაში, გახდა მეთოდისტური ეკლესიის მთავარი ფილანტროპი. 1906 წელს კენდლერმა ატლანტაში იმ დროისთვის ყველაზე მაღალი შენობის — კენ-



ჩამოსასხმელი ზაზი და ბოთლების სამრეცხაო



შა პროდუქციის საწვობი



დღერ-ბილდინგის აგება დაასრულა. 1916 წელს კენდლერი ატლანტის მერი გახდა და „კოკა-კოლას“ კომპანიაში ყოველდღიურ საქმიანობას თავი დაანება. კენდლერმა დააბალანსა ქალაქის ბიუჯეტი, 1917 წელს კი დიდი ხანძრით გადამწვარი ქალაქის აღდგენას შეუდგა. 1919 წელს „კოკა-კოლას“ აქციების დიდი ნაწილი შვილებს გადასცა, რომელთაც ის სარფიანად მიჰყიდეს ინვესტორთა ჯგუფს ერნსტ ვუდროფის ხელმძღვანელობით. კენდლერმა 1926 წელს ინსულტი გადაიტანა და 1929 წლის 12 მარტს გარდაიცვალა.

მარკეტინგის სასწაულები

ქრისტინან, არამსმელ კენდლერს სწამდა, რომ „კოკა-კოლა“ იდეალური უალკოჰოლო სასმელი და იმავდროულად, ყველა დაავადების წამალი იყო... თითქოს საუკუნის შემდეგ მოსალოდნელ ბუმს გრძობდნენო, კენდლერი და ფრენკ რობინსონი პემბერტონისეული ორიგინალის ახალ რეცეპტურას ეძებდნენ. გამამხნეველები ზემოქმედების შენარჩუნებით, უნდა გაუმჯობესებულიყო სასმლის გემო და გახანგრძლივებულიყო შენახვის ვადა. უკვე რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ანტიკოკაინურმა კამპანიამ აპოგეას მიაღწია, „კოკა-კოლას“ უკვე კოკაინგამოცლილი კოკას ფოთლებით ამზადებდნენ.

კენდლერი ახალ-ახალ, ეფექტურ მარკეტინგულ სვლებს აგნებდა. სარეკლამო მიზნით რომელიმე აფთიაქს უფასოდ აწვდიდა ორ გაღონ ვაჟინს (რაც 256 ულუფა შზა სასმელს ჰყოფნიდა), ამ აფთიაქის 128 მუდმივი კლიენტის ვინაობისა და მისამართების გამხელის სანაცვლოდ. შემდეგ კლიენტებს ამ აფთიაქში ერთი ჭიქა „კოკა-კოლას“ შესაძენ უფასო ტალონს უგზავნიდა. გათვლა მარტივი და ზუსტი აღმოჩნდა: აფთიაქში მოსული კლიენტი ახალი სასმლის დაგემოვნების შემდეგ მეორე ჭიქას უკვეთდა. აფთიაქარი მალე ასაღებდა სასმლის მარაგს და ახალი პარტიის მიტანას ითხოვდა. გარდა ამისა, კენდლერი წარმატებით ყიდდა „კოკა-კოლას“ საფაქრონიშნებიან საათებს, სუვენირებსა თუ კალენდრებს.

დღეს ეს ყველაფერი სარეკლამო ბიზნესის ანაბანაა, მაგრამ საუკუნის წინ ნამდვილად გამოგონებელი სიახლე გახლდათ. 1894 წელს „კოკა-კოლა“ პირველად გაიყიდა სწორკუთხა, უფერულ ბოთლში. ვიკსბურგელმა (მისისიპის შტატი) მალაზიის მფლობელმა ბევრი იფიქრა, როგორ მიეტანა შორეულ პლან-



„კოკა-კოლას“ პირველი გარე რეკლამა 1904 წელს დაიხატა ჯორჯიის შტატის ქალაქ კარტერსვილში და დღემდე ძველ ადგილასაა

ტაციებამდე გაზიანი სასმელი, რომელსაც მაშინ მხოლოდ ადგილზე ასხამდნენ, მან საჭირო დანადგარი შეიძინა და სასმელი ბოთლებში ჩამოასხა.

1916 წელს ბაზარზე პირველად გამოჩნდა ორიგინალურ ბოთლში ჩამოსხმული „კოკა-კოლა“, რომელსაც მომხმარებელი შეუცდომლად განასხვავებდა კონკურენტებისგან. ამ „წელში გამოყვანილი“ ბოთლის „მამა“ ბენჯამენ თომასი იყო. მან სასმლის შემქმნელებისგან ბოთლში ჩამოსხმული „კოკა-კოლას“ გაყიდვის უფლება შეისყიდა. შემოსავლის გასაზრდელად თომასი დაუდღაღავად ეძებდა ბოთლის არატრივიალურ ფორმას, რაც რომელიმე სხვა პროდუქტის ასოციაციას არ გამოიწვევდა. „ისეთი, რომელიც იცნობა სიბნელებშიც, ხელის შეხებით, ნამსხვრევითაც უნდა მიხვდე, რომ მასში „კოკა-კოლაა“ ესხა“, — იმეორებდა თომასი. და მან ეს შეძლო! იღუა კი მაშინდელმა მოდამ უკარნახა. 1914 წელს ქა-

ლები იცვამდნენ ბოლოკაბა-გოდეს, რომლის პროპორციების მიხედვითაც ორიგინალური ბოთლი დაამზადეს. გაყიდვამ მაშინვე მკვეთრად დაიწყო ზრდა.

1933 წელს პირველად გამოჩნდა ბოთლის „კოკა-კოლას“ გასაყიდი ავტომატები და six-packs-ი — ექვსბოთლიანი შეკვრა, რომელიც დღეს ასე პოპულარულია. კომპანიამ სხვა სიანხლევ აითვისა — მაღაზიებში მაცივრების დადგმა, საიდანაც მომხმარებელს თავადვე შეეძლო საყვარელი სასმლით სავე ცივ-ცივი ბოთლის აღება. ასე გაქრა მომხმარებელსა და გამყიდველს შორის არსებული ბარიერი — დახლი.

ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელია ორი რამ — კარგი პროდუქტი და კარგი რეკლამა. ასა კენდღერმა წამოიწყო „კოკა-კოლას“ ისტორიაში პირველი რეკლამა, ლოზუნგით — „დალიეთ „კოკა-კოლა“! მშვენიერი და გამაგრილებელი!“ თავიდანვე კომპა-

„კოკა-კოლას“ ბოთლის ფორმა არაერთხელ შეიცვალა



1899-1902

1900-1916

1915

1957

1961

1991

1993

2007



მხატვარ ჰადონ სუნდბლომს „კოკა-კოლამ“ სანტა-კლაუსის კოსტიუმის დიზაინი დაუკვეთა



სანტა-კლაუსის პირველი ილუსტრაცია, 1931

ჰადონ სუნდბლომი სანტას ასაკში



ნიამ საქმიანობა რეალიზაციის განყოფილების შექმნით დაიწყო. კენდლერმა ახალგაზრდა, ენერგიული „მედოლეები“ მიიზიდა (ასე უწოდებდნენ საავტორო განყოფილების თანამშრომლებს). დიდ ყურადღებას უთმობდა სარეკლამო ინოვაციებს. ფოსტით უგზავნიდა ხალხს ულუფა „კოკა-კოლას“ უფასო კუპონებს, ასევე სუვენირებს „კოკა-კოლას“ საავტორო ნიშნით.

კენდლერმა 1919 წელს კომპანია უნარიან ბანკირ ერნსტ ვუდროფსა და სხვა ინვესტორთა ჯგუფს \$25 მილიონად მიჰყიდა. მომდევნო წელს ევროპაში, საფრანგეთში „კოკა-კოლას“ ბოთლებში პირველი ჩამომსხმელი გამოჩნდა. 1923 წელს კი კომპანიას სათავეში ერნსტ ვუდროფის ვაჟი, 33 წლის რობერტი ჩაუდგა, რომელსაც 60 წელიწადს ეკავა ეს პოსტი და კომპანიის ნამდვილ ლეგენდად იქცა. მან განსაკუთრებული აქცენტი სასმლის ხარისხზე გააკეთა. რობერტმა შექმნა კორპორაცია „კოკა-კოლა ექსპორტ კორპორეიშნი“, ბიზნესის მთელ მსოფლიოში განსავითარებლად...

„კოკა-კოლას“ მსოფლიო იმპერიაში ათეულზე მეტი მსხვილი ბოთლერ-კომპანიაა, რომლებიც რამდენიმე ქვეყანაში მუშაობენ, აგრეთვე ათეულობით ცალკეული ჩამომსხმელი კონკრეტულ ქვეყნებში. მზადდება 200-მდე სახის სასმელი, სამ მათგანს მსოფლიო გაყიდვების მოცულობის 80% უჭირავს — „კოკა-კოლას“, „ფანტასა“ და „სპრაიტს“. კომპანიის საავტორო ნიშანი ყველაზე ცნობილია მსოფლიოში და მას დედამიწის მოსახლეობის 98% იცნობს. თითქმის 200 ქვეყანაში ყოველდღიურად დღეში დაახლოებით კომპანიის პროდუქციის 1 მილიარდი ერთეული იყიდება.

სანტა-კლაუსი და „კოკა-კოლა“


ალბათ ცოტამ თუ იცის, საიდან მოდის სანტა-კლაუსის თეთრ-წითელი სამოსი. 1931 წელს კომპანია „კოკა-კოლამ“ ამერიკელ მხატვარ ჰადონ სუნდბლომს სანტა-კლაუსის წითელ-თეთრი დიზაინის კოსტიუმი დაუკვეთა. მანამდე სანტა-კლაუსის სხვადასხვაგვარი სამოსი ეცვა და არცთუ ხალისიანად გამოიყურებოდა. მხატვარი დიდხანს ფიქრობდა, როგორი სახე უნდა ჰქონოდა სანტას და... საკუთარი ავტობიოგრაფიული დახატა... და აი, მრავალი წელიწადია, შობა-ახალ წელს კეთილი და მხიარული სანტა-ჰადონი შემოგვცქერის.

მოამზადა ნატა ენუძიძე

ახლა უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომი!

საქართველოს ისტორიის ოთხტომეული
უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე

„კვირის პალიტრასთან“
ერთად თვეში
ერთხელ თითო ტომი



11-დან 18 ივნისამდე
ტომი II

IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე




**იქონია საქართველოს
ისტორია შენს თაროზე!**

პირველი ტომის ტირაჟი მთლიანად გაიყიდა. ხალხის ნაწილი დარჩა ნიგნის გარეშე, ამიტომ მეორე ტომის გამოსვლისას კიდევ ერთხელ გაძლევთ პირველი ტომის შექმნის შესაძლებლობას გაზეთთან ერთად გამოწაკლისის სახით.

საქართველო და ქართველები ოსმალურ არქივებში

ოსმალური საარქივო მასალები საქართველოსა და ქართველების შესახებ თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივშია დაცული. დოკუმენტები, რომელიც საქართველოს ისტორიის სულ მცირე, 500-წლიან ისტორიას ასახავს, ერთ წიგნად გამოიცა. ამ უნიკალურმა დოკუმენტაციამ დღის სინათლე თურქეთის მოქალაქეების, ქართული ფესვების მქონე მეცნიერებისა და საქართველოს მეგობრობის ასოციაციის რამდენიმეწლიანი შრომის შემდეგ იხილა.



ათასამდე უნიკალური დოკუმენტი საზოგადოებრივობის უკვე ხელმისაწვდომია

საქართველოსთან მეგობრობის ასოციაციის თავმჯდომარე ალი რიზა ალთუნელი მკვლევარ მუჰინ ილდიზთაშის შრომის შეფასებისას აღნიშნავს, რომ მან „წლები შეაღია არქივში მუშაობას და თავისი გულმოდგინე შრომით ნემსით ჭა ამოთხარა“.

ალი რიზა ალთუნელი იმასაც იხსენებს, როგორ გაჩნდა დოკუმენტების შესწავლისა და გამოქვეყნების იდეა. ამბობს, რომ მათ შესწავლას, თარგმნასა და გამოცემას ერთადერ-

თი მიზანი ჰქონდა — საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის მეზობლად მცხოვრები, ერთნაირ ლხინსა და ჭირ-ვარამგამოვლილი, ხშირად საერთო ბედისწერის გამზიარებელი ორი ხალხისთვის ერთმანეთის უკეთ გაცნობა, რათა მომავალი უფრო ჯანსაღ საფუძველზე აშენდეს.

თავად მკვლევარი განმარტავს, რომ კრებულში მოყვანილი ათასამდე მასალა ოსმალურ არქივში დაცულ 20 ათასზე მეტ დოკუ-

მენტს შორის შეირჩა და ქრონოლოგიურად დალაგდა. მუშინ ილდიზთაში აღნიშნავს, რომ დოკუმენტების შერჩევისას აქცენტი ოსმალეთის ყველაზე ძველ დათურებში დაცულ მასალებზე გაკეთდა.

„ოსმალეთის სახელმწიფოში ქართული წარმოშობის ათობით დიდვეზირი, ვეზირი, რელიგიური მოღვაწე და მაღალი წოდების სახელმწიფო მოხელე იღვწოდა, რომლებიც მონაწილეობდნენ მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაციის განვითარებაში. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ქართველთა საქმიანობა მხოლოდ კავკასიის რეგიონით არ შემოიფარგლებოდა.

XXI საუკუნის ქართველთა თაობას უფლება არ აქვს, დაივიწყოს სულთნების ქართული წარმოშობის დედები და მეუღლეები, მოქმედი არმიების ქართველი სარდლები“, — აღნიშნავს მუშინ ილდიზთაში.

ისტორიკოსი, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი გიორგი კალანდიას განმარტებით, თურქეთის პრემიერ-მინისტრის არჩევში ბევრი დოკუმენტია დაცული საქართველოს შესახებ.

გიორგი კალანდია: „ეს დოკუმენტები ქართველი მეცნიერებისთვის სანატრელი იყო. მათში არის საქართველოს ისტორიის ისეთი მონაკვეთები, რომლის შესახებ ინფორმაცია ნაკლები ან საერთოდ არ გვქონდა. მაგალითად, აქ არის იმერეთის მეფის სოლომონ

II-ის საფლავის ჩანახატი, ყველაზე ძველი, რომლის არსებობაც ჩვენთვის ამ დრომდე უცნობი იყო.

აქ არის თბილისის ციხის მინიატიურა, ერთ-ერთი უძველესი, სადაც ჩანს, რომ საქართველოს დედაქალაქი ზარბაზნებით გამაგრებული ყოფილა“.

ისტორიკოსის განმარტებით, ამ გამოცემის წყალობით, დღის სინათლე ბევრი ძვირფასი დოკუმენტის ორიგინალმა და მათმა ქართულმა თარგმანმა იხილა. ამასთან, თარგმანი ადაპტირებულია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში დოკუმენტის ნაწილია ამორჩეული. დოკუმენტების ქართულად თარგმნას კორდინაციას ემინ შექერჯი უწევდა. თარგმანი კი ირაკლი ართმელიძესა და გელა გუნიავას ეკუთვნით.

პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ოთარ ნადირაძის თქმით, ამ დოკუმენტებს საქართველოს ისტორიის ბევრ საკითხზე გადატრიალების მოხდენა შეუძლია.

წიგნზე მუშაობას დაახლოებით ორი წელიწადი დასჭირდა. ამჟამად მზადდება კიდევ ერთი გამოცემა, რომლის საშუალებითაც საზოგადოება თურქეთის პრემიერ-მინისტრის არჩევში დაცულ და საქართველოსთან დაკავშირებულ სამართლებრივ დოკუმენტებს, მათ შორის სასამართლოს გადაწყვეტილებებს გაიცნობს.

ინტერვიუ ზაზარძემ



იმერეთის მეფე სოლომონ II-ის საფლავის ყველაზე ძველი ჩანახატის არსებობა ამ დრომდე უცნობი იყო



ქართველი ზალხის
წარმომადგენლები —
მეგრელი და გურული
ვმარქვილები ოსმალური
არქივებიდან



ხალხის მჩაგვრელის, ოსმანის დასჯის შესახებ

ბრძანება ბათუმის ბეგლარბეგს, გონიოს ათინასა და რიდეს ყადებს:

შენ, გონიოს ყადო! შენი შეტყობინების მიხედვით და მუსლიმების დამოწმების საფუძველზე ვინმე ოსმანს, რომელიც ზიამეთის სახით ფლობს სოფელ კაკარბალს და სხვა ტერიტორიებს ბათუმის სანჯაყში, უღირს საქმეებში მონაწილეობის გამო, ჰატი ჰუმაიუნის ჩამოერთვა აღნიშნული ზიამეთი და გადაეცა ეკვიპტის ბეგლარბეგის შვილებს ჰუსეინსა და სულეიმანს. მაგრამ ზიამეთის ჩამოსართმევად გაგზავნილ ორ მოხელეს მან განუცხადა „ბატონის ბრძანებით ზიამეთი კვლავ შე გადმომეცაო“ და ისინი სიკვდილით დაასჯევინა.

ამავე დროს აგრძელებდა ხალხის ჩაგვრას და წვალებას. ჩემი ხარჭებიო, განაცხადა და ქრისტიანი ქალებისთვის ჯაჭვი შეუბია და სხვისთვის მიუყიდა. პარასკევ დღეს ხუტბის წაკითხვისა და ნამაზის დამთავრების შემდეგ ხატიბი დაუბარებია და უთქვამს, „რატომ არ გვალოცვინეო“, რის შემდეგაც სამი დღე ჯაჭვით ჰყოლია დაბმული.

ეს პიროვნება ჯერ კიდევ ჰატი ჰუმაიუნის მიხედვით უნდა დაისაჯოს. ჩემი ბრძანებაა, როგორც კი ეს წერილი შენამდე მოაღწევს, დააპატიმრე იგი, ხსენებული დანაშაულები კანონის მიხედვით დასაბუთდეს და შესაბამისად დაისაჯოს. მისი მფარველობისგან კატეგორიულად შეიკავე თავი.

1594 წლის 4 ნოემბერი / 1003 წლის 20 საფერი

თბილისში მყოფი მომთაბარე თემებისა და გვარებისთვის ისლამური რელიგიის გაცნობისა და ღარიბებისთვის დაწესების დაარსების შესახებ

ებრძანოს თბილისის და ჩილდირის ვილაიეთების ბეგლარბეგებს, თბილისის ციხისთავს და ვეზირს ისაკ ფაშას:

თბილისის ყოფილმა ციხისთავმა, ვეზირმა ელჰაჯ რეჯეფ ფაშამ შეგვატყობინა, რომ ნაკშიბენდიანთა ორდენის წევრი, დიარბაქირელი შეიხ ისმაილი თბილისში ჩავიდა, რათა თბილისის ვილაიეთში მყოფ მომთაბარე ტომებსა და თემებს გააცნოს ისლამური რელიგია და ჰქვშმარიტი სულიერი გზის ჩვენებისთვის ქალაქში საჯანე დააარსოს. ღარიბების გამოკვებისთვის საკმარისი სახსრები მოაგროვოს და შესაბამისი დაწესებულება შექმნას, დანიშნოს საჯანეში თავისი შემცველელი, რის შემდეგაც დაბრუნდება დიარბაქირში. შეიხი ისმაილი, რომელმაც შეგვატყობინა, რომ დააარსა საჯანე, ფონდის საქმეები მოაგვარა და თავის ნაცვლად თბილისის მუფტი საიდ კასიმი დანიშნა, სამსახურისა და ლოცვის გაგრძელებისთვის დიარბაქირში მამისგან დანატოვარ თუქეში დაბრუნების ნებართვას ითხოვს. მიბრძანებია, რომ აღნიშნულის გათვალისწინებით გააკეთოთ ყველაფერი, რაც აუცილებელია.

1725 წლის 7-16 ნოემბერი / 1138 წლის 1-10 რებიულეველი





მუშინ ილდიზთაშის შრომაში გამოქვეყნებული ოსმალურ არქივებში დაცული არაერთი საბუთი

რუსების მიერ მისი ქვეყნის დაპყრობის გამო, ტრაპიზონში ლტოლვილობაში მყოფი იმერეთის მთავარ სოლომონის მიერ სტამბოლში გაგზავნილი თხოვნა მისთვის მუდმივი ხელფასის დანიშვნის შესახებ

ალაჰმა ჩვენი ბატონი ფადიშაჰი ყოველგვარი ბოროტებისგან დაიფაროს და დღეგრძელობა მისცეს. თქვენი ყმის თხოვნა შემდეგია:

უმაღლესი ფირმანის მიხედვით უკვე რვაცხრა თვე იქნება, ჩემთან (ტრაპიზონში) იმყოფება იმერეთის ხანი სოლომონი. ამ ხნის განმავლობაში ყველა მის ხარჯებს და ყოველდღიურ კვებას მე ვანაზღაურებ. რუსეთთან მიღწეული შეთანხმებით, სოლომონი იმერეთში ხანის წოდებით უნდა დამჯდარიყო, მაგრამ რუსები ამ პირობებს არ ასრულებენ. ჯი-

უტობისა და ეშმაკობის გამო ჯერ კიდევ არ დაუწყიათ საზღვრების გათავისუფლება. ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი იმედი არც გვაქვს. ამიტომ თქვენმა ყმა ხანმა საკუთარი ხარჯების ასანაზღაურებლად ხელფასის დანიშვნისთვის დახმარება ითხოვა. ამ მიზნით დაწერილი თხოვნა პატივცემულ თაგადს გამოატანა, რომელიც მისი სიძეა სტამბოლში. მეც მალხაზთან ერთად ერთი თათარი გამოვგზავნე. ყველა აქაურ ამბავს ხსენებული თაგადისგან შეიტყობთ.

დიდსულოვნება და კეთილგანწყობა ჩემი ბატონის, მის უდიდებულესობა სულთანისაა.


1814 წლის 31 მაისი / 1129 წლის 11
ჯემაზელაპირი
ტრაპიზონის ვალი და ფოთის ციხისთავი
სულეიმანი

ტრაპიზონში ლტოლვილად მყოფი ქართველი დიდებულები მათი თანმხლები სამხედრო პირებისთვის იარაღის და სხვა საჭირო საბრძოლო მასალის მიცემისა და რუსების წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოში გადასვლის უფლების მოთხოვნის შესახებ თქვენი ერთგულებით დაკავშირებული თქვენი მსახურების და სხვა იმერელი თავადი და აზნაური ყმების თხოვნა.

გურიაში ჩვენ მიერ გაგზავნილი ხალხი უკან დაბრუნდა. ლევან დადიანის მიერ თავის ბიძასთან, ტარიელ დადიანთან გაგზავნილმა ხალხმაც მოაღწია ჩვენამდე. გურიელიდან და დადიანისგან მიღებული პასუხებისა და შემოთავაზებების შედეგად ჩვენი გადაწყვეტილება შემდეგია:

„დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს ყველა მხარე არეულობაშია ჩაფლული. იმერეთის, გურიის, სადადიანოსა და აფხაზეთის რეგიონების მოსახლეობა რუსებთან ვერ რიგდება და ერთმანეთში მუდმივი დაპირისპირება აქვთ. ბევრ ადგილას და განსაკუთრებით აფხაზეთის მხარეში საომარი ვითარება“.

ზემოთ ხსენებული მხარეების მმართველები გვეუბნებიან: „რას დგახართ! მტერს 8 დღის ვადა აქვს. თუკი დიადი სახელმწიფო თქვენ დაგეგმარებათ, ამაზე კარგი შანსები არ იქნება; ჩვენც სულთნის სამსახურისთვის მზად ვართ და მის ბრძანებებს ველოდებით. ძალიან შეეცადეთ, რომ მტერზე შური იძიოთ“. ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში ჩვენი ტრაპიზონში ტყუილად ჯდომა უსარგებლოა. ვემუდარებით ჩვენს ფაღიმაჰს, რომ:



ჩვენთვის აუცილებელია თქვენი ფორმანი, რათა ტრაპიზონში ამოდ ჯდომის მაგორად ტრაპიზონის ვალიმ, მისმა უდიდებულესობამ სულეიმან ფაშამ უზრუნველყოს ჩვენთვის საჭირო საბრძოლო საშუალებებისა და განსაზღვრული რაოდენობის ჯარისკაცების გადმოცემა და ჩვენი სამშობლოსკენ წარუზავნა. თუკი ასე მოხდება, ჩვენ სამშობლოში დავბრუნდებით და რუსების წინააღმდეგ ვიბრძოლებთ და ჩვენი ფაღიმაჰისთვის თავსაც არ დავზოგავთ.

თავილ (ტარიელ) დადიანი და საქართველოს თავად-აზნაურები



დამორჩილებული ქართველი ხალხის ტყვედ გაყიდვის აკრძალვისა და ტყვეების თავის ოჯახში დაბრუნების შესახებ

არზრუმის ბეგლარბეგს ვუბრძანებ, რომ: იმერეთისა და გურიის მთავრების მიერ გამოგზავნილი ელჩები მოითხოვენ, რომ დამორჩილებული ქართველი ხალხის შვილები, რომლებიც ტყვედ იყიდება, იპოვონ და თავის პატრონებს დაუბრუნონ. ვბრძანებ, რომ:

ბრძანების მოსვლისთანავე ამ საქმით დაინტერესდი. ზემოთ ხსენებული სამთავროებიდან, დამორჩილებული ქართველი ხალხი ტყვედ აღარ გაიყიდოს, გაყიდული ტყვეები იპოვონ და მთავრებს გადასცენ. ამის თაობაზე ყველა კაზაში გააგებინე. კონტროლი გაამყარე, რათა ხალხმა არასწორი საქციელი არ ჩაიდინოს.

1577 წლის მარტი

გივი ბერიკაშვილი და
ვერიკო ანჯაფარიძე



გივი ბერიკაშვილის

„ბიობრაფიული ფილმი“

შვიდი ათეული წელიწადი და კიდევ მეტი უკანაა... განვლილია ცხოვრების გზა სირთულეებითა და სიხარულით, წვალებითა და აღმაფრენით... ამ წლებმა დიდი სიყვარული მოუტანეს. დღეს სადაც უნდა გამოჩნდეს, ყველა ცნობს და გარს ეხვევა: ბატონო გივი! რა კარგია, რომ შეგ ხვდით! ბატონო გივი, ჩვენ ისე გვიყვარხართ!.. თავადაც სიყვარულითა და ღიმილით პასუხობს მათ, ვისთვისაც ამდენი წელიწადია დვას სცენაზე, თამაშობს როლებს; ვისთვისაც დღესაც ძველებურად უძგერს გული. ქართველი მაყურებელი, მთელი საქართველო — ეს გაზღავთ ის დიდი ღირებულება, რომელსაც მუდმივად მოწიწებით ახსენებს გივი ბერიკაშვილი.

გასახსენებელი და მოსათხრობი ბევრი აქვს და მოუყოლია კიდევ... მაყურებელი და მსმენელი მაინც ჯიუტად სთხოვდა განმეორებას: პანწყალა პაპაზეც გვიამბეთ, რა! სტუდენტობის წლები გაიხსენეთ... თქვენ და კახი კავსაძემ რომ ზორბალი მოიყვანეთ, ის ამბავი როგორ იყო... ყველამ ყველაფერი იცის და მაინც სთხოვენ, კიდევ ერთხელ გაიხსენოს, სთხოვენ, რადგან უყვართ... და როცა უყვართ, ნაამბობსაც ისე იღებენ, როგორც კარგად გადაღებულ ბიოგრაფიულ ფილმს, სადაც გივი ბერიკაშვილი გივი ბერიკაშვილის როლს ასრულებს.

კიდევ ერთხელ ამ ფილმის სანახაოდ გიწვევთ გივი ბერიკაშვილი.

დაგბადებულვარ ფილარმონიის უკან რომ სამშობიაროა, იქ...
 სულ პირველი მოგონება?... ამას რომ მე-კითხებით, პირველი დედაჩემი გამახსენდა... საოცარი ქალი იყო. მამა ადრე გარდამეცვალა, მაშინ სამი წლისა ვყოფილვარ და დედა მზრდიდა.

მამა არ მახსოვს, 27 წლისა ჭლექით გარდაიცვალა. მაშინ ტუბერკულოზი უკურნებელი სენი იყო. თურმე მამის მეშინოდა... ერთი ოთახი გვქონდა ვერაზე, პატარა შუშაბანდითა და სამზარეულოთი. როცა დედა სამსახურში მიდიოდა, მე მამასთან მტოვებდა. მამას კი ეშინოდა, სენი არ გადამდებოდა, ამიტომ მას-

თან შესვლას თუ დავაპირებდი, ბამბუკის ჯოხით მაშინებდა.

ზაქარია ერქვა, ზაქროს ეძახდნენ. ჩემი ბიჭი რომ დაიბადა, ზაქრო დაფარქვი... მაგრამ გიჟმა ზურა ქაფიანიძემ სცენიდან მომილოცა და გამოაცხადა, გვიმ ბიჭს ჩემი სახელი დაარქვო. ასე დამარქმევინა ზურასთვის ზურა.

მამაჩემი კარგი კაცი ყოფილა. სოფელში რომ ჩავდიოდი, მლოცავდნენ — მამაშენივით კარგი კაცი გაიზარდე მისი სახელის სადიდებლადო.

მერე იყო ომი... დედაჩემი სოფელში აირჩიეს პარტიული კომიტეტის მდივნად. მამაცი ქალი გახლდათ — მთელი ომის პერიოდი ცხენზე ამხედრებულმა გაატარა. არადა, გული მარჯვნივ ჰქონდა თანდაყოლილი მანკით...

მასხოვს, სკოლიდან მოვედი მშვიერი. თბილი საჭმელი დამხვდა მაგიდაზე. მივაღექი... ნამცეცი არ დამიტოვებია... მერე კუთხეში გავიხედე. დედა იჯდა თავისთვის, ვითომ რაღაცას აკეთებდა, თავიც არ აუწევია. მივხვდი, მშვიერი დავტოვე...

სასაფლაოზე, ეკლესიაში, ყველგან ერთად დავდიოდით მე და დედა.

მამაჩემის მამამ, პანწკალა პაპამ აღმზარდა.

ერთ ზაფხულს შინ მისულს პაპამ ვიღაცის სამხედრო ბილეთი მომცა.

ეს რა არის-მეთქი?

ამან და მისმა ძმაკაცმა ჯიბიდან 80 მანეთი ამომაცალესო.

გაგიკითხე და ვიპოვე, ვინც იყო ქურდი. ის 80 მანეთი გამოგართვი, მაგრამ მეუბნება:

— იცი, რა მანტურესებს, ჯიგარო? ეგ ფული რომ ამოვაცალეთ, გაქანებული მანქანიდან გადმოვხტით მე და ჩემი ძმაკაცი. ეგეც გადმოხტა...

მანქანის „კუზაოდან“ გადმოხტარა პაპაჩემი. ერთი დაუჭერია და საბუთი წაურთმევია, მეორე კი გაქცეულა.

კაცო, ეს რა გიქნია-მეთქი, — მივვარდი პაპას.

რა გითხრესო...

გაქანებული მანქანიდან გადმოხტარხარ-მეთქი.

ეგენი სხვისი ფულის გულისთვის გადახტნენ და მე ჩემი ფულის გულისთვის აღარ გადავმხტარიყავიო?

მასხოვს, ჩვენს სოფელში ძეძვით შემოღობილ მოუღანზე იმართებოდა ჭიდაობა, გართობა, კინო. მოძრავი კინო იყო. მოლზე ვის-



„მივევარს სოფელი... იქაურებსაც ვუყვარვარ აფიშაზე დაუწერიათ — მთავარ როლში ჩვენი სოფლის მკვიდრი, პანწკალას შვილიშვილი გვიფა ბერიკაშვილი“

ხედით ან ჩვენ-ჩვენი სკამებით მივიდიოდით. კლუბი გვიან ააშენეს...

მივევარს სოფელი... იქაურებსაც ვუყვარვარ. ზურა ქაფიანიძემ ჩამოიტანა ჩვენი სოფლიდან აფიშა, რომელზეც დაუწერიათ — მთავარ როლში ჩვენი სოფლის მკვიდრი, პანწკალას შვილიშვილი გვიფა ბერიკაშვილი.

როგორი ვიყავი? მანცდამანც ცეკქი არ ვყოფილვარ. თეატრალურ ინსტიტუტში ყველაზე დიდ სიმძიმეს მე ვწევდი. დაბალი კი ვიყავი, მაგრამ ფრენბურთსაც ვთამაშობდი. უბრალოდ, ხასიათი მქონდა ასეთი...

მაშინ გავიზარდე, დედა რომ გარდამეცვალა.

თეატრალური ინსტიტუტი წითელ დიპლომზე დავამთავრე...

მერე იყო სოხუმის თეატრი, მარჯანიშვილისა და რუსთავის თეატრები...

ბევრი მოსაგონარი მაქვს იმ პერიოდზე, ჩვენს არაჩვეულებრივ არტისტებზე...

შუადღე ცოტა გვიან დამიდგა. შემოქმედებით ცხოვრებასაც ვკვლისხმობ. ფიანდაზებით მოფენილი გზა არ დამხვედრია, დიდი შრომა დამჭირდა, სანამ მაღიარებდნენ. ქუ-



„ლონდრე“. 1966

ჩაში რომ მცნობდნენ, 40 წელს გადაცილებული ვიყავი.

„ლონდრე“ 27 წლისამ ვითამაშე. მთავარი როლი ხომ შევასრულე, მაგრამ მაინც არ ვიყავი დიდად პოპულარული.

მეგობრებზე კარგი ვინ უნდა მყავდეს...

ეროსი მანჯგალაძე უდიდესი ტკივილით მახსენდება. თუ დაინახავდა, რომ წესიერი კა-

ცი ხარ, გულში ჩაგიხუტებდა და აღარც მოგიცილებდა გვერდიდან. „ლონდრეს“ რომ ვიღებდით, ერთად ვცხოვრობდით. რამაზმა და ეროსიმ შუაში ჩამიდგეს საწოლი — აქ დაიძინეო.

ერთ დღეს მივედი და ეროსის თავისი საწოლი გარეთ გამოუტანია. რა ხდება-მეთქი? ეროსიმ — კუბოში ნაწოლ კაცთან (ფილმის

„ღვინის ქურდები“. 1975



გადაღებისას კუბოშიც მომიწია „დაწოლა“ არ დავიძინებო. გოგი თოიძის ოჯახში ვცხოვრობდით. დავუძახე გოგის, ეროსის საწოლი შევიტანეთ და ჩემი გამოვიტანეთ. ეროსის ვუთხარი, — კუბოში მე ვიწექი და გარეთაც მე დაეწევი-მეთქი. იმ ღამეს ათჯერ მაინც გამოძახა, — არა გცოვა, ბიჭო?

საერთოდ, მიცვალებულისა ეშინოდა, პანაშვიდზე არ შედიოდა ხოლმე. კუბოსიც ეშინოდა და რა ექნა?

ერთ დღეს ქაფიანიმე მითხრა, — მეუბნებიან, შენი და გივის მეგობრობა ისე არ შეიძლება, რაგარც ქათმისა და მელიასიო...

რატომ? იმიტომ, რომ რასაც მე ზურას ვუგონებდი და ზურა მე მიგონებდა, ამას ვინ აიტანდა ჩვენს მეტი... საუკეთესო მეგობრები ვიყავით.

რაჭაში ვიღებდით ფილმს „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“. გადაღება რომ დაგამთავრეთ, სოფელმა დიდი პურმარილი გაშალა სტადიონზე. ეგეთი რამე არსად მენახა. ერთ კარში თამადა იჯდა, მეორეში — თამადის მოადგილე. მთელი ნაკიეთი იქ იყო. ასეთი სოფელი ჰქონდა ზურას.

ერთი პიესა დავდგით — „მუმილი მუხასა“. ალგეორიული სახეები იყო: სახადი, სიკვდილი... მე შიმშილს ვთამაშობდი, ისეთი გამხდარი ვიყავი. მერე კუჭის ოპერაცია გავიკეთე და რაღაც დაირღვა ორგანიზმში, გაესუქდი. „ღვინის ქურდებში“ და „შთამომავლობაში“ ჩასუქებული ვარ... მეორე ოპერაციის მერე გაეხდი და გაეხდი. რომ მეკითხებიან, როგორ ხარო, მსუბუქად-მეთქი, ვპასუხობ.

ჩემი ყველაზე დიდი სიხარული და ტკივილი იყო გოდერძი ჩოხელი.

რა დამავიწყებს იმ დღეებს, „სამოთხის გვრიტებს“ რომ ვიღებდით. ჩაუსხდებოდით ავტობუსში, გადაღებებზე წვიდილით. სანამ ცენტრალურ გზაზე ჩამოვიდოდით, ძალიან სახიფათო მონაკვეთი უნდა გაგვევლო. გაეხედავდით — ჩამოვიდოდნენ ავტობუსიდან ნინო ჩხეიძე და სხვა „ბებრები“... ვეზუმრებოდი — რასა წვალობთ, ორი პარასკევი დაგარჩენიათ, პაღუმამ, თუ გადავარდებით-მეთქი...

კიდევ რა გითხრათ? ჩემი „ფერმერობა“ — არგასახსენებელი ამბავია.

ხორბალი მოვიყვანეთ.

იქიდან დავიწყეთ, რომ ყოველ დღილით ჩავდიოდი მარნეულში. ტრაქტორი ხნავს, მე ხო არ შემაბამდნენ, მაგრამ, აბა, წყალი არ მოდის — გავარდი, მოიტანე, აბა, საჭმელი, ჩაი...



„ქორწინება იმერულად“. 1979



„სიყვარული ყველას უნდა“. 1980



„წარმატება (იღბალი)“. 1980



„მიჯაჭვული რაინდები“. 1999



შვილიშვილებთან ერთად



პაპა-შვილი — გივი და ზურა



ერთ დღესაც მოვიდა ვიდაც — ახალი საგადასახადოს უფროსი ჩამოვიდა და ფულს ვაგროვებთო. კახი კავსაძემ ჰკითხა, — რატომაო. ამბობს, „ვოლგით“ ხო არ ვივლი თბილისიდანო და „მერსედესი“ უნდა ვუყიდოთო. გაგიჟდა კახი — ამ ქუჩაზე გამოვლილი არ დავინახო, თორემ თავს გავუხეთქავო. ალოობა რომ მოვიდა, ივნისში, მარნეულის დიდ პურკომბინატში — რემონტი გვაქვსო. სად წავიდოთ ხორბალი-მეთქი. შეგინახავთ და ხუთი თუშანი გადაგვიხადეთ ტონაშიო. 380 ტონა ხორბალი გვექონდა. მაგის შესანახი ფული სად გვეშოვა? მეორე უბედურება ის იყო, რომ რაღაც დროის მერე იკლებს ხორბალი წონაში. ვიღუპებოდით ყველანაირად. ჩამოვხიდეთ თბილისში. აქ ბიჭები დაგვეხმარნენ, დაგვიფუქვეს და, როგორც იქნა, პირველ წელს ბანკში გირაოში ჩადებული კახის სახლი გამოვიხსენით, მეორე წელიწადს — ჩემი სახლი, მესამე წელს პარტნიორი მოგვიკვდა ნერვიულობით...

დავტოვეთ ყველაფერი, აღარც ფერმერობა გვინდოდა, აღარც მიწის მოვლის თავი გვექონდა... რომ მოვდიოდით, კახიმ — ჩვენ კი წავალთ, მაგრამ აქ 300 ოჯახი აზერბაიჯანელი დასახლდებო... ეგრე აგისრულდეთ ყველაფერი კარგი...

ათას რამეს ფიქრობ... ღმერთო, უმწურო არ გამხადო! გული არ ბერდებო? გული არა, ის! თუ ფეხით გაგლა-გამოგლა არ შეგიძლია, სადღა გული. თამაზ მელიაგა ცუდად იყო. კონიაკი მომიტანეო. მიფუტანე. დაუძახა ოჯახის წევრებს — სადღეგრძელო უნდა დავლიოო. ყველა ადღეგრძელა. გადაბრუნდა და დილით ასევე დახვდათ გარდაცვლილი... ასე მშვიდად წასვლა კარგია, ოღონდ ახალგაზრდა არ უნდა წავიდეს კაცი.

სიკვდილისა მე კრიტიკულ სიტუაციაშიც კი არ მეშინია.

ოპერაციას ვიკეთებდი. დამადგა ქირურგი ვახტანგ ახმეტელი თავზე. მამშვიდებს, — მე აქ ვარ, შენ ნურაფრისა შეგეშინდებაო...

— მე სიკვდილის კი არ მეშინია, — ვუბნები, — ნახე, რამდენი არტისტია იმ ქვეყანას წასული... მაგათ ერთი კარგი თეატრი კი ექნებათ გახსნილი და მეექვსეა, ჩემთვის ადგილი დარჩეს... იმისი მეშინია, ვაითუ, უმუშევარი დავრჩე-მეთქი...

აი, ასე იყო, როცა ბოლოს სიკვდილზე ვიფიქრე...

ლელა ჯიყაშვილი



ბესო ბერულაშვილი

უნდა ვიცოდეთ, ვინ ვართ, საიდან მოვდით, ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები, რატომ ბაჭირეს თაჰვი...

ზღაპრების ნაცვლად ისტორიულ გმირთა თვგადასაფლებს უყვებოდა მამა. ადრეულ ასაკში არაერთი სახელოვანი მეფის საგმირო საქმეები ზეპირად იცოდა... დღეს ამ ყველაფრის გამო მამის მადლიერია. დასძენს, რომ მამა ოდნავ მკაცრადაც ექცეოდა: „რომ არ დამეჯერებინა, შეიძლება წამოეთაქა კიდეც. მართალია მდიდრები არასდროს ვყოფილვართ, სამაგიეროდ, ოჯახში ბევრი წიგნი გვქონდა... თუმცა ყველაზე ნაკლებად განათლებული მე გამოვედი“; — ამბობს პაროდისტი ბესო ბერულაშვილი.

— გამორჩეულად რომელი ისტორიული გმირი გიყვართ?

— ბევრი სახელოვანი გმირი წინაპარი გვყავდა. ჩვენი მეფეები ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით ვახტანგ გორგასალი. ის დიდი არა მხოლოდ აღნაგობით, არამედ საქმეებითაც იყო. დედაქალაქის დაარსებაც ხომ მის სახელს უკავშირდება. მან ქვეყნისთვის ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა. შეუძლებელია, ქართველ კაცს დავით აღმაშენებელი არ გიყვარდეს. მე ასეთივე განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს მეფე ერეკლესთან. კარგად მაქვს შესწავლილი ჩინგიზ-ხანის ბიოგრაფიაც. საქართველოს ყველაზე პირსისხლიანი დამ-

პყრობელი ჯალალ ედ-დინი იყო, საქართველოში მსგავსი ცოდვა არც ერთ დამპყრობელს არ დაუტრიალებია. მარტო 100 ათასი მოწამე ქართველის გახსენება რად ღირს. ამ პირსისხლიან დამპყრობელს (კახურად გეტყვი) ჩინგიზ-ხანმა დედა უტირა, ზვარაზში დედაბუდიანად აიღო. ლაშა-გიორგიზე რომ ამბობენ, ქეიფს გადაყოლილი იყო, ჩემი აზრით, ეს ცოტა გაზვიადებულია, ის კარგი მეტროლი იყო, განუსაზღვრელად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. საქართველოს უკუსვლა მისი მეფობის შემდეგ დაიწყო. სამშობლოს ისტორიისადმი სიყვარული თაობაში არ უნდა ჩაკედეს. ვწუხვარ, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა კომპიუ-



ტერს მიეჯახვა და წიგნთან „მეგობრობა“ შეწყვიტა. წიგნიერ ადამიანთან ურთიერთობა განსაკუთრებით მიზიდავს. მაღლობა ღმერთს, ბევრი განათლებული მეგობარი მყავს. უნდა ვიცოდეთ, ვინ ვართ, საიდან მოვედით, ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები, რატომ გაწირეს თავი?... როგორ შეიძლება საკუთარი ქვეყნის ისტორია არ იცოდე...

— „ღმერთო ოღონდ მეფე მშვიდობიანად გაიყვანე ამ საშინელებიდან და მე მამულის ჭირის სანაცვლოდ ვიყო“, — ამ სიტყვებით გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე მეზარბაზნეთა მეთაური გიორგი გურამიშვილი. რომელ მეფეს გულისხმობდა იგი?

— ერეკლე II-ს. მგონი, ეს კრწანისის ბრძოლის დროს იყო.

— დიახ.

— ერეკლეს ამ ბრძოლაში მცირერიცხოვანი არმია ჰყავდა. გადმოცემით ცნობილია, რომ მეფის დაკრძალვაზე 20 ათასამდე კაცი შეიყარა. ერეკლეს შესახებ ცოტა ხნის წინ ლიტერატურას ვკითხულობდი. ის მე-40 დღეს დაუკრძალავთ. თბილისში მამინ შავი ჭირი მძვინვარებდა, მახათას მთაზე აიყვანეს, საყვარელ ქალაქს იქიდან გადმოახედეს და მერე სვეტიცხოველში წაასვენეს...

— ამ სამეფოს ქართველები ვერისს უწოდებდნენ, რას უწოდებდნენ მას ბიზანტიელები?

— უნდა გავიხსენო, ოდიში სამეგრელო იყო და...

— მიგანიშნებთ, დღეს ამ დასახელების ქალაქის აშენებაზეა ლაპარაკი.

— ლაზიკა? არ ვიცოდი.

— 1945 წლის მაისში, II მსოფლიო ომის დროს, ევროპაში განლაგებულმა ერთმა ქართულმა ბატალიონმა გერმანიის წინააღმდეგ ამბოხება მოაწყო. სად მოხდა ეს ცნობილი ამბავი?

— კუნძულ ტექსელზე.

— რა მეტსახელითაა ცნობილი მეფე დავით VII?

— დავით ულუ.

— რა ერქვა მცხეთელ ქალბატონს, რომელმაც იერუსალიმიდან ჩამოტანილი უფლისკვართი გულში ჩაიხუტა და სული განუტყვა?

— სიდონია.

— ვინ არის ისტორიული ფილმის „გიორგი სააკაძის“ რეჟისორი?

— მიხეილ ჭიაურელი.

— ვინ ასრულებს ამ ფილმში პატარა პატას როლს?

— რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი.

— „ყველა ჩემი ჯარისკაცის ზურგანთაში მარშალის კვერთხი დევს“. რომელი ცნობილი ფრანგი გენერალი ამბობდა ამ სიტყვებს?

— ნაპოლეონის მეტი ვინ იტყოდა?

— რომელმა წმინდანმა იცხოვრა სამ საუკუნეზე მეტი იესოს ხილვის მოლოდინში?

— წმინდა სვიმეონმა. როგორც მახსოვს, იესოს ხილვის შემდეგ გარდაიცვალა.

— დიახ, წმინდა სვიმეონ მიმრქმელმა. რომელი ცნობილი ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე იყო ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში?

— უინსტონ ჩერჩილი.

— საზოგადოების რომელი ფენა არ მონაწილეობდა 1819-1820 წლების დასავლეთ საქართველოს აჯანყებაში?

— ვერ გიპასუხებთ.

— ბურჟუაზია.

— მართალია, ბურჟუაზია საქართველოში XIX საუკუნის ბოლოს შეიქმნა.

— XVIII საუკუნის 70-იან წლებში რუსეთმა აზოვის ზღვიდან კასპიის ზღვამდე შექმნა ციხესიმაგრეთა სისტემა, რომელსაც „კავ-

კასიის ხაზი“ უწოდა. ვინ დაინიშნა მის მთავარსარდლად?

— ვერ გიპასუხებთ.

— მიგანიშნებთ, 1783 წელს გაფორმებულ გეორგიევსკის ტრაქტატს, რუსეთის მხრიდან ხელს სწორედ ის აწერდა.

— ქართველებიდან ტრაქტატს ხელი ვარსევან ჭავჭავაძემ მოაწერა და იქიდან ვინ იყო, ვერ ვიხსენებ. თუმცა არა, გამახსენდა. პოტიომკინი ხომ?

— დიახ, გენერალი პოტიომკინი. როგორ ბალიშებზე ეძინათ ძველ ეგვიპტელებს?

— არ ვიცი.

— რისგან იყო ბალოში დამზადებული?

— ალბათ ტყავისგან.

— ცდებით, ძველ ეგვიპტელებს ქვის ბალიშებზე ეძინათ. მსოფლიოში ცნობილი ეს გალერეა იტალიაში, ფლორენციაში მდებარეობს. სასახლე XVI საუკუნის მეორე ნახევარში აშენდა და იქ განთავსებულ მუზეუმს საფუძველი მედიჩების საოჯახო კოლექციით ჩაეყარა. რომელ გალერეაზეა ლაპარაკი?

— ვერ გეტყვით.

— უფიცის გალერეა. საიდან არიან წარმოშობით ბოშები?

— ინდოეთიდან მომდინარე ეთნიკური ჯგუფია, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში არიან მიმოფანტული.

— ძველ ბერძნულ წყაროებში რა სახელითაა მოხსენიებული ქალაქი სოხუმი?

— დიოსკურია.

— „და სანამ მხრებზე მემსხვერვა წვიმა, / გზები ნაბიჯებს სანამ მითვლიან, / მე დაკარგულად ვერ ჩავთვლი იმას, / რაც ჩემი ნებით არ დამითმია“. ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— ოთარ ჭილაძე.

— ძველ იუდეველებში არსებობდა ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ისინი თავიანთ ცოდვებს სიმბოლოურად თხას დააკისრებდნენ და უდაბნოში აგზავნიდნენ. ამ წეს-ჩვეულების თანახმად, ისინი თითქოს ცოდვებისგან თავისუფლდებოდნენ. რომელი გამოთქმა წარმოიშვა ამ ამბიდან?

— რა ვიცი (*ფიქრობს*). თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, განტყვევის ვაცი უნდა იყოს...

— თქვენ წარმოიდგინეთ, ასეა. როცა სსრკ-ში ეს ავტომანქანა შეიქმნა, აპირებდნენ მისთვის „როდინა“ დაერქმიათ. ამის შესახებ სტალინს რომ შეატყობინეს, მან კითხვა დასვა: „რა ეღირება სამშობლო“? ამის შემდეგ გა-

დაწყდა, ავტომანქანისთვის სახელი შეეცვალათ და დაარქვეს...

— „პობედა“.

— მაიას ტომის რომელი აღმონენა იქცა XX-XXI საუკუნის სენად?

— მინიშნებას ვერ მეტყვი?

— ის პირველად აბორიგენებმა კოლუმბს შესთავაზეს, მერე კი მან ვეროპას გააცნო. ეს XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისში მოხდა. დღეს მას მაგენ ჩვევას ვუწოდებთ.

— მგონი მივხვდი, თამბაქოს მოწევა, არა?

— გამოიცანით. რომელი ქართველი პოეტი მონაწილეობდა რუსეთის დაპყრობით ომებში ჩრდილოეთ კავკასიაში?

— გრიგოლ ორბელიანი.

— რას ვუწოდებთ წმინდა მიწაზე სალოცავად წასულ მორწმუნეებს?

— პილიგრიმებს.

— რომელი მეფის შვილი იყო გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი?

— არ მახსოვს.

— მეფის, რომელმაც თბილისში სტამბა დააარსა.

— ვახტანგ VI-ისა ყოფილა.

— რომელ ტაძარში დაიწერეს ჯვარი თამარ მეფემ და დავით სოსლანმა?

— დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში.

— საქართველოს რომელ კუთხეში მოხდა აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ 1802 წელს?

— კახეთში, არა?

— დიახ. „უკეთუ მეფემან თქუენმან დაუტეოს რჯული, იყერას სულტანმან ცოლად, და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულთნის“. ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

— ა! რუქნ-ად-დინის ელჩს, რომელიც მან საქართველოში გამოაგზავნა. მერე ამ ელჩს ზაქარია მხარგრძელმა სილა გააწვანა.

— ამ ამბავს საქართველოს რომელი ომი მოჰყვა?

— ბასიანის, სადაც ქართველებმა გაიმარჯვეს.

— დაასრულეთ გოდერძი ჩოხელის ცნობილი გამონათქვამი: „სანამ ცოცხალი ხარ, არ მოკვდები, და თუ მოკვდები, მერე აბა რისილა უნდა გეშინოდეს. სიკვდილის იქით ხომ კიდევ უფრო დიდი...“

— „...დიდი სიცოცხლეა“.

თამარ კვინიკაძე

სამხედრო ტყვეები

▼ ოთხკუთხედი ფართისა და მოკაუჭებუ-ლი მახვილით შეიარაღებული თრაკიელი დგას სამნიტის პირისპირ, რომელსაც უფრო დიდი ფარი და უფრო გრძელი, სწორი მახვილი უჭირავს.

207

არენაზე გამართულ ბრძოლაში სამხედრო ტყვე-ბიც მონაწილეობდნენ. ძვ. წ. 250-100 წლებში რომაე-ლებმა ბევრი ომი გადაიხადეს გარეშე მტრებთან. სამხედრო ტყვეებს რომში მონებად ყიდდნენ. დატყვე-ვებულებს ბრძოლას იმ იარაღითა და აღჭურვილობით აიძულებდნენ, რომლებიც თავიანთი ქვეყნიდან ჰქონდათ წამოღებული.

სამნიტი



თრაკიელი

208

სამნიტებს ყველაზე უკეთესი იარაღი ჰქონდათ. ძვ. წ. 343-290 წლებში რომაელები ხანგრძლივად ომობდნენ სამნიტებთან. თითოეულ სამნიტს ხელთ ეპყრა ხოლმე დიდი, ოვალური ფარი და ეხურა მუხარადი ლოყებზე დაშვებული დამცველი. სამნიტი გლადიატორები ცნობილი იყვნენ საუკეთესო მახვი-ლებითა და შუბებით.

209

თრაკიელებს ყველასგან განსხვავებული იარაღი ჰქონდათ. მამაკაცებს თრაკიის სამეფოდან პატარა ფარები ეჭირათ და კუხიანი მუხარადები ეხურათ. გულადებიც იყვნენ — შეუძლოთ თავიანთი შუბებითა და მოკლე, მოკაუჭებული მახვილებით თვალის დახამხამებაში მოეკლათ მეტოქე. თრაკიულმა იარაღმა დიდი პოპულარობა მოიპოვა და იგი ბევრმა გლადიატორმა გადაიღო. მათ იცნობ-დნენ, როგორც თრაკიელ გლადიატო-რებს, მიუხედავად იმისა, რომ წარმო-შობით შესაძლოა სულაც არ ყოფი-ლიყვნენ თრაკიიდან.

დაუჯერებელია!

ომის დასრულების შემდეგ სამხედრო ტყვეებს ფორუმზე (ბაზრობის მოედანზე) ყიდდნენ. ზოგჯერ ისე ბევრი ტყვე მოჰყავდათ, რომ აუქციონი რამდენიმე დღე გრძელდებოდა.



▶ მაღალი, თეთრი პირისკანის კელტები სხეულსა და ფარებს კაშკაშა ფერებით ინატავდნენ.



210

ბრძოლის წინ კელტები სხეულს ინატავდნენ. ისინი ერთადერთი ხალხი იყო, რომლებმაც ძვ. წ. 390 წელს რომი ხელთ იგდეს. კელტები ჩრდილოეთ იტალიასა და ევროპაში ცხოვრობდნენ. რომაელები კელტ სამხედრო ტყვეებს აიძულებდნენ, სამოსიც თავიანთი სცმოდან და თავიანთივე იარაღით ებრძოლათ.



◀ ნუმიდიელები კარგი მხედრები იყვნენ. არუნაზე გამოსვლისას ისინი მსუბუქ ზელშუბებს ხმარობდნენ.

211

ნუმიდიელები ცხენზე ამხედრებული იბრძოდნენ. ნუმიდია ჩრდილოეთ აფრიკაში, ახლანდელი ალჟირის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ეს მხარე ცნობილი იყო ჯიშისანი ცხენებით. ნუმიდიელთა ჯარის დიდ ნაწილს კავალერია (მხედრობა) შეადგენდა.

სამხედრო ტყვეები



▲ გარდაცვლილის ფერფლს დაკრძალვამდე თიხის ქოთანში ან ურნაში ინახავდნენ.

212

დაკრძალვას ზოგჯერ წლობით აყოვნებდნენ. გლადიატორთა ბრძოლები ეწყობოდა როგორც სანახაობები მდიდარი და დიდგვაროვანი მოქალაქეების დაკრძალვის ცერემონიებისას. თუმცა გარდაცვლილის შემკვიდრეს ზოგჯერ სანახაობის მოგვიანებით გამართვა ერჩივნა, მაშინ როცა არჩევნებში მონაწილეობდა და ამომრჩეველებზე შთაბეჭდილების მოხდენა სურდა.

213

გლადიატორთა შთამბეჭდავ სანახაობრივ ბრძოლას არჩევნების მოგებაც კი შეეძლო. ძველ რომში ხმის მიცემა ფარულად არ მიმდინარეობდა. თითოეული ამომრჩეველი თავის ვინაობას დაუსახელებდა ოფიციალურ პირს — ცენზორს, ანუ მეთვალყურეს, და ეტყოდა, ვის აძლევდა ხმას. ცენზორთან ერთად ხმის მიცემას აკვირდებოდნენ სხვა პირებიც. საგანგებოდ გამართულ გლადიატორთა შთამბეჭდავ სანახაობას ამომრჩეველთა ხმების მოპოვება შეეძლო.

▼ ხმის მისაცემად მისული მოქალაქე თავის ჯვრს ელოდება. ცენზორს ხელში უჭირავს ამომრჩეველთა საერთო სია, ხოლო მოქალაქემ თავისი ვინაობა უნდა დაადასტუროს.

დაუჯერებელია!

ძვ. წ. 165 წელს თეატრში წარმოდგენა მხოლოდ იმიტომ შეწყდა, რომ მაყურებელი გლადიატორთა ბრძოლის სანახაოდ წვიდა. მსახიობები ცარიელ თეატრში დარჩნენ!



214

ზოგიერთი პოლიტიკოსი გლადიატორთა ჯგუფს ქირაობდა ოპონენტთა დასამარცხებლად. თუკი მოქალაქეს გლადიატორთა საგანგებოდ გამართული ბრძოლითა და იმ გასამრჯელოთი ვერ დაიყოლიებდნენ, რომელსაც კანდიდატისთვის ხმის მისაცემად უზღიდნენ, მაშინ კანდიდატს შეეძლო, გლადიატორები მოქალაქის დასაშინებლად გამოეყენებინა. გლადიატორები ხელკეტებით იყვნენ შეიარაღებული და მათ იმ მოქალაქეთა სახელებს აცნობებდნენ, რომლებიც უნდა დაეშინებინათ. მსგავსი სახის ძალმომრეობა ყოველ არჩევნებს ახლდა.



▲ არენის შესასვლელში აცხადებენ, რომ მხოლოდ ამომრჩეველები უნდა შევიდნენ.

215

საკუთესო ადგილები მათ ეთმობოდა, ვინც საარჩევნო კამპანიას აფინანსებდა. არჩევნებისთვის მხარდაჭერა ძალიან ძვირად ფასობდა. მდიდარი მოქალაქეები იმ კანდიდატებს, რომლებსაც უპირატესობას ანიჭებდნენ, ფულს ჩუქნიდნენ ან სესხად აძლევდნენ. სამაგიეროდ, მათ გლადიატორთა ბრძოლაზე საკუთესო ადგილები უნდა რეგობრად და თუ მათთვის სასურველი კანდიდატი გაიმარჯვებდა, მთავრობისგან ფული ან ძაღალი წოდება მიეღოთ.

216

მხოლოდ ამომრჩეველებს შეეძლოთ გლადიატორთა ბრძოლაზე დასწრება. გლადიატორთა სანახაობის საგანგებოდ გამართვა ამომრჩეველებზე ზეგაულებას გულისხმობდა. მხოლოდ რომის მოქალაქეებს შეეძლოთ ხმის მიცემა და ამიტომაც ჰქონდათ სანახაობაზე დასწრების უფლება. იმ მოქალაქეებს კი, რომლებიც მეტოქე კანდიდატის მხარდამჭერები იყვნენ, უკან აბრუნებდნენ. ხმის მიცემა ეკრძალებოდათ აგრეთვე უცხოელებსა და მონებს.




◀ ოქროს, ვერცხლის ან ბრინჯაოსგან ნაჭედი რომაული მონეტების ცალ მხარეს იმპერატორი იყო გამოსახული.

სპარტაკი!

217

ყველაზე ცნობილი და გამორჩეული გლადიატორი სპარტაკი იყო. ის ძვ. წ. 73 წელს გლადიატორთა და მონათა აჯანყებას ხელმძღვანელობდა. თავდაპირველად მხოლოდ 70 გლადიატორი ამოუდგა მხარში, მაგრამ მოგვიანებით 40 ათასამდე გაქცეული მონა შეუერთდა.



▲ 1960 წელს გადაღებულ ფილმში „სპარტაკი“ მთავარი როლი კერკ დუგლასმა შეასრულა. სურათზე ნაჩვენებია სპარტაკი ჯართან ერთად, რომელიც მონებისა და გლადიატორებისგან შედგებოდა. ისინი ნაალაფარი საჭურველით არიან შეიარაღებული.

218

სპარტაკი იყო გლადიატორი თრაკიის სამეფოდან. ის რომაულ ჯარში მსახურობდა, მაგრამ არ მოეწონა და გაქცევა სცადა. დასჯის მიზნით იგი გლადიატორად გაამწესეს და თან ცოლის წყვანის უფლებაც მისცეს.

219

გლადიატორებმა, რომლებსაც სპარტაკი ედგა სათავეში, რომაული ჯარი დაამარცხეს. გლადიატორთა სკოლიდან (რომელსაც ლულუსი ერქვა) გაქცევის შემდეგ სპარტაკმა ნეაპოლთან ახლოს, ვეზუვის მთას შეაფარა თავი. მან ერთიანად ამოწვევითა მის დასატყვევებლად გაგზავნილი მცირე რომაული რაზმის წევრები და მერე თავის არმიას ჩრდილოეთი იტალიისკენ გაუძღვა. მოდენასთან ახლოს სპარტაკმა რომაელთა დიდი არმია დაამარცხა და დიდძალი ალაფი ჩაიგდო ხელთ.

220

სპარტაკმა ალპების გადალახვა გადაწყვიტა.

მოდენასთან რომაელთა დამარცხების შემდეგ სპარტაკმა თრაკიაში დაბრუნება განიზრახა, მაგრამ მის ჯარისკაცებს ქალაქების მარცვა-აწიოკება უნდოდათ. ამან სპარტაკი აიძულა, თავის ჯარს სამხრეთი იტალიისკენ გაძღოლოდა.

221

სპარტაკზე გამარჯვება სხვა რომაელმა სარდალმა მიიწერა. სპარტაკი და მონებისა და გლადიატორების არმია დამარცხდა ახალ რომაულ არმიასთან ლუკანიის ბრძოლაში. რომაელთა ჯარს სათავეში ედგა მარკუს ლიცინიუს კრასუსი. მონათა მცირე ჯგუფი ბრძოლის ველიდან გაიქცა, მაგრამ ისინი სარდალმა გნეუს პომპეუსმა შეიპყრო და რომში დაბრუნებულმა გამოაცხადა, აჯანყებულები მე დაუმარცხეო.



კეისრის თამაშები

222

იულიუს კეისარმა ფული ისესხა გლადიატორების საყიდლად. იულიუს კეისარი თავიდანვე იმ შეგნებით იზრდებოდა, რომ რომის იმპერიის მმართველი უნდა გამხდარიყო. კარიერის დასაწყისში, ამომრჩეველთა ხმები რომ მოეპოვებინა, საგანგებოდ აწვობდა თამაშებს, მაგრამ ამხელა ხარჯების დაფარვა არ შეეძლო და შეძლებული მოქალაქეებისგან სესხულობდა ფულს. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მან უხვად დაასაჩუქრა ფულის მსესხებელნი და ტიტულებიც უბოძა.



▲ იულიუს კეისარი (ძვ. წ. 102-44 წწ.) იყო პოლიტიკოსი, რომელმაც რამდენიმე არჩევნებში გაიმარჯვა მას შემდეგ, რაც ამომრჩეველებისთვის ბრწყინვალედ დადგმული თამაშები გამართა.

223

კეისრის გლადიატორები ვერცხლის საჭურველით იბრძოდნენ. ძვ. წ. 65 წელს იულიუს კეისარმა, რომელსაც მამა ოცი წლით ადრე ჰყავდა გარდაცვლილი, გამართა თამაშები, რომელსაც, ჩვეულებრივ, დაკრძალვის ცერემონიაზე მართავდნენ. კეისარი ამ დროს არჩევნებში რომის მთავარი ქურუმის წოდების მოსაპოვებლად იბრძოდა. თამაშები სანახაობრივად უფრო დიდებული და საუცხოო რომ ყოფილიყო, კეისარმა 640 გლადიატორი ვერცხლის აბჯრებით აღჭურვა.



▲ სპილოებთან შერკინება ძალიან პოპულარული სანახაობა იყო. გლადიატორებს საგანგებოდ წვრთნიდნენ მათთან საბრძოლველად.

224

კეისარმა რომში საბრძოლო სპილოები შემოიყვანა. ძვ. წ. 46 წელს ჩრდილოეთ აფრიკაში მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად მან რომში გლადიატორთა ბრძოლები მოაწყო. სამხედრო ტყვეებს აიძულებდნენ, არენაზე შერკინებოდნენ ორმოც საბრძოლო სპილოს, რომლებზეც კბილებამდე შეიარაღებული მეომრები იხდნენ.

225

კეისარმა სენატორებიც გლადიატორებად აქცია. ერთხელ კეისარმა ორი დიდგვაროვანი გაიყვანა არენაზე საბრძოლველად. სასამართლოს მათთვის სასიკვდილო განაჩენი ჰქონდა გამოტანილი, მაგრამ კეისრის ბრძანებით, ვინც ბრძოლაში გადაარჩებოდა, მას გაათავისუფლებდნენ.

226

კეისრის ბოლო სანახაობა მეტისმეტად დიდი იყო იმისთვის, რომ არენაზე დატეულიყო. კეისარმა რომის დიქტატორად გახდომა გადაწყვიტა და ამიტომაც ხალხის გულის მოსანადირებლად ყველაზე გრანდიოზული თამაშები გამართა, რაც კი ოდესმე მოწყობილა. რამდენიმეკვირიანი ზეიმისა და ნადიმების შემდეგ, კეისარმა ბოლო დღეს 500-კაცთან ქვეით ჯარსა და 30 მხედარს შორის ბრძოლა მოაწყო. შერკინებას იმდენად დიდი სივრცე დასჭირდა, რომ იგი სარბოლო ეტლების ვეებერთელა ასპარეზზე, მაქსიმუსის ცირკში გაიმართა.

უპასუხე კითხვებს

1. კეისრის გლადიატორებს ვერცხლის აბჯრები ეცვათ, ოქროსი თუ ბრინჯაოსი?
2. კეისრის ბოლო სანახაობა დიდი იყო თუ მცირე?
3. სად შოულობდა კეისარი გლადიატორთა ბრძოლის გასამართ ფულს?

ქვემოთ დაწვრილად მოწებდა
-აღ დაწვრილად მოწებდა
-აღ დაწვრილად მოწებდა

პუბლიუსი

▼ ეტლების რბოლა პოპულარული სანახაობა იყო ძველ რომში.





გვრამანიის კანცლერი

			1 ოქლაშვილი ...		2 ოფიცის უმაღლესი წოდება	3 რომის იმპერატორი
			4 ძველებური ხის სამხედრო გემი			
5 ისლამის წინადა ქალაქი	6 ისტორიული პროვინცია ესპანეთში			7 სასახლე ძეგლად	8 შოტლანდიის ეროვნული გმირი	
9 ძველი საბერძნეთი	10 ბასკური ტერიტორიული დაჯგუფება				11 ხელოვნური ენა	12 ეპოსი ლირიკული ნაწარმოების ფორმით
	13 ბელარუსის დედაქალაქი					
14 მარქსიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი					15 სამურაუბის ქვეყანა	
					16 როკ-ენ-როლის მუფე	
				17 ფეიბატის დედაქალაქი	18 აპონური აბანო	
19 ... ჟორდანია	20 საკლესიო ცენტრი ისტორიულ ტაოში	21 ქართული მამული საფრანგეთში				
22 რუსეთის ერთ-ერთი პრეზიდენტი					23 პრიტანეთის ყოფილი პრემიერი	

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

1. უსტარი; 2. ტიარა; 3. ჩაჩქანი; 4. იანუსი; 5. სურა; 6. არხილი; 7. სანა; 8. ტანკი; 9. კარაველა; 10. პორტა; 11. მანვერი; 12. რა; 13. ვა; 14. ერა; 15. ჩაპლინი; 16. სინოდი; 17. საბრა; 18. ჩავესი; 19. ორლეანი; 20. ეტა; 21. უნია; 22. ურდი; 23. ტადიჩი; 24. დუჩე; 25. ვეტერანი; 26. ალივი; 27. ოდემი. სურათზე: უინსტონ ჩერჩილი.